ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №24 (1725) 29 ივნისი — 5 ივლისი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი

## არძინბა სომეხი ყოფილა



მეცამეტე გვერდი

„ის დღე დაიქცა, როდესაც პატარა ვლადისლავი სომხების ოჯახისგან ვიშვილე...“

## აკაკი ბაქრაძე: დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ...

მეორე გვერდი



## ოტია იოსელიანი: ზანგი რაფრათაა ფრანგი?!

## კაკა ქვანია 83 წლის იყო, „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად რომ თარგმნა



მესამე გვერდი

## კუს როლში როდემდე ვიქნებით?

მესამე გვერდი

## დეპუტატთა შერჩევის „აქოური წესი“



მე-7 გვ.

### ყურადღება!

1993 წლის 3 ივლისს, დღის 11 საათზე შედგება საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის IV ყრილობა.

დღის წესრიგი მოიცავს დისკუსიას დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის ძირითად საკითხებზე.

ყრილობის პირველი ნაწილი მიეძღვნება საქართველოს სახალხო ფრონტის დაარსებიდან ათი წლისთავს.

ყრილობა შედგება მისამართით: თბილისი, რუსთაველის გამზირი №2, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი.

## მურმან ლებანიძე საზოგადოება „კოლხეთის“ წევრობიდან გარიცხეს



მეთორმეტე გვერდი

ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

## გვექნება კი ჩვენ ჩვენი დიდგორი?



გაზ. „ასავალ-დასავალთან" ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: „დავით აღმაშენებელი ორმოც წელიწადს ემზადებოდა თბილისის გასათავისუფლებლად. წარმოიდგენია, რამდენი ბოლმა და ბალღამი ინვნია იმ ორმოცი წლის განმავლობაში დიდმა მეფემ მაშინდელი წინდაუხედავი ოპოზიციონერებისგანო".

ამ ბოლო ჟამს ბატონი პრეზიდენტი ხშირ-ხშირად იგონებს საქართველოს ძლევამოსილი მეფის დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას, რადგან კარგად უწყის, რომ ქართველი კაცის ოცნების საგანი აღმაშენებლის დიდებულ საქმეთა თანამედროვე ეპოქაში გადმოტანას წარმოადგენს, ამ შემთხვევაში მოხდება მხოლოდ მისი სულიერი დაკმაყოფილება და აღგზნებული ეროვნული გრძნობის ჩაცხრობა. საქმით ვერ ახერხებს ამას პრეზიდენტი, მაგრამ გენეტიკურად ამგვარი მისწრაფებებით სავსე ქართველთა თვალში რომ წარმოჩნდეს აღმაშენებლის საქმეთა გამგრძელებლად, იძულებული ხდება თავისი უსუსური პოლიტიკის კომპენსაცია არჩევნების წინ მამულიშვილური ფრაზების რახარუხით მაინც მოახდინოს. ამიტომაც წამოუძახებია ხანდახან ქართველი ხალხისთვის — ჩვენ ჩვენი დიდგორი გვექნებაო, ან კიდევ — ჩვენ უკვე დავითისა და თამარის საქართველოზე ვფიქრობთ და არა მარტო ვოცნებობთო. ამ მიზნით იდგმება ხშირ-ხშირად დავითისა და თამარის ძეგლები, შემოგვხედეთ, რა პატრიოტები ვართ, ჩვენ ვცდილობთ დავითისა და თამარის სიმაღლეზე ასვლას და ამიტომაც ვაქცევთ მათ ჩვენი მოღვაწეობის ნიშანსვეტებადო.

მაგრამ ეს ყველაფერი რომ ხალხის მოსატყუებლად არის მოფიქრებული, დაკვირვებული თვალი უმალ შეამჩნევს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს თავისი მეფის ცხოვრებას და მოღვაწეობას და არსად არა აქვს მითითებული, რომ აღმაშენებელს ვინმე გაუნაწყენდა, რატომ თბილისის გათავისუფლებას აჭიანურებო. მოწინააღმდეგე კი ნამდვილად გასჩენია მეფეს ჯარისა და ხალხის მუდამ საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნისა და მუდმივი ლაშქრობების გამო: „ხოლო არიან ვინმე მაბრალებელნი მეფისანი ჯერეთცა ესოდენ მჭირხედ მოქალაქეობისა და მოლაშქრეობისათვის და მხედრობათა მისთა განუსუგნებელისა მიმოსვლისათვის და დაჭირებისა" — ამბობს მემატიანე. მაშასადამე, მცდარია ბატონ შევარდნაძის მოსაზრება ამ საკითხში და ის ქვეტექსტიც, რის გამოც ეს მოსაზრება გამოთქვა, რომ ლოდინია საჭირო და უმოქმედობა შესაფერისი დროის მოსვლამდე. არგუმენტად აღმაშენებლის მოღვაწეობის მოყვანა ამ აზრის განსამტკიცებლად მეტად მცდარი და უადგილოა.

პირიქით, სრულიად განსხვავებულ შეხედულებას ამტკიცებს დიდი მეფის საგმირო საქმენი. ეს იმაში გამოიხატება, რომ თბილისის გათავისუფლებამდე აღმაშენებელმა გადაიხადა ათობით დიდი და პატარა ომი, მათ შორის დიდგორის საარაკო ბრძოლა, რითაც შიშის ზარი დასცა მსოფლიოს მუსულმანურ სამყაროს. ამ ომამდე კი შექმნა უძლიერესი ქართული არმია, ქვეყანა მოაშენა, ეკონომიკურად და კულტურულად მოწინავე სახელმწიფო ჩამოაყალიბა და რაც მთავარია, საკუთარი ძალების რწმენა ჩაუნერგა ქართველ ხალხს. როგორც მწერალი ჯანსულ ღვინჯილია წერს: „მას აუცილებლად მიაჩნდა საკუთარი საყრდენი ეპოვა ქვეყანას თავის წიაღშივე, არ ყოფილიყო სხვისი ხელის შემყურე, დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკური ამინდის ჭირვეულობაზე." უფრო მეტიც, იმისთვის, რომ ქართველ კაცს შეეცნო საკუთარი ქვეყნისადმი მეტი პასუხისმგებლობა და საკუთარი ძალების რწმენა, დავით მეფემ დიდგორის ბრძოლაში მუსულმანთა ნახევარ მილიონიან არმიას დაუპირისპირა მხოლოდ ქართული 45-ათასიანი ჯარი — 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი და 200 ჯვაროსანი, ხოლო რეზერვში ჩააყენა 25 ათასი ყივჩაღი და უნდა ვიფიქროთ, კავკასიის სხვა მოკავშირე ხალხების დამხმარე ნაწილებიც.

დავით აღმაშენებელი იყო ამავე დროს საოცრად სასტიკი იარაღშემართული მტრის მიმართ. ისევ ბატონ ჯანსულ ღვინჯილიას დავესესხებით: „სხვისი ხელმყოფი უნდა განადგურდეს დაუნდობლად, შეუცოდებლად, როდესაც მოლაპარაკება, მუქარა, გაფრთხილება არ ჭრის, იარაღი გამოდის ასპარეზზე, უკანდახევა სიკვდილია, თავის ჩაღუნვა — მონობა. ნამდვილი ერის ღირსებას ეს არ ეკადრებაო და, ყოველივე ამას დავითის ქვეყანა ერთ დღესაც არ შეეგუებოდა. სამართლიანობა რომ დაემკვიდროს ამ ქვეყნად, ხელყოფისათვის მთლიანად უნდა მოისპოს მტერი, სანამ იგი შენს ქვეყანაში დგას ან სამშობლოზე მოსვლას არ იშლის. მას უნდა ელოდეს დაღუპვა. ამგვარი სისასტიკის გარეშე სამართლიანობა არ დამკვიდრდება. შენი საზღვრები დაბალ ღობედ მოეჩვენება მტერს, როცა სინამდვილეში შეუვალ ბასტიონად უნდა განიცდებოდეს". ჰგავს ამ საკითხში ოდნავ მაინც მეფე დავითის მოღვაწეობა პრეზიდენტ ედუარდის საქმიანობას, რომლის მმართველობის წლებში ქართულ ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს აფხუზებმა და ოსებმა? ჩვენის აზრით სხვაობა ისეთია, როგორც ცასა და დედამიწას შორის.

დავით აღმაშენებელს ამავე დროს ჰქონდა უბრწყინვალესი ნიჭი აღმოეჩინა და გვერდით დაეყენებინა ისეთი დიდი მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ: გიორგი ჭყონდიდელი, ნინია ბაკურიანი, არსენ იყალთოელი, ივანე ორბელი და სხვები. ამ მხრივაც მოიკოჭლებს ჩვენი უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც თურმე დავითისა და თამარის საქართველოზე ფიქრობს და არა მარტო ოცნებობს, გვერდით კი ჰყავს, თუ მათზე აგორებულ ჭორებს დავუჯერებთ, რომლებიც, როგორც წესი, უმეტესად სიმართლეა, ქვეყნის მძარცველთა და მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე გადაგებულთა გუნდი. შეძლებს კი ვითომ ამ გუნდით სახელმწიფოს მეთაური ქვეყნის აღმშენებლობას? ყოველივე ამის შემდეგ ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ საარჩევნო კამპანიაში წარმატებისათვის ანუ პირადი ინტერესებისათვის არ ღირს ჩვენი დიდებული წინაპრების სულების შეწუხება, მითუმეტეს, როცა საკუთარი მოღვაწეობა სრულიად საწინააღმდეგოა წინაპართა მოღვაწეობისა.



## ინტერვიუ

### აკაკი ბაქრაძე:

## დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ...



**— „ჟამი არს დუმილისაჲ და ჟამი სიტყვისაჲ". თქვენ დუმილით ხვდებოდით ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. იქნებ, დადგა „ჟამი სიტყვისაჲ"?**

— მოხდა ისე, რომ სიტყვა გაბითურდა, მან მნიშვნელობა, ღირებულება და ფასი დაკარგა. გინდ გითქვამს სიტყვა, გინდ არ გითქვამს. გინდ დაგიწერია, გინდ — არა. სულერთია, სიტყვის გამო ყურს არც ხელისუფლება აბარტყუნებს, არც ხალხი.

ხელისუფლება მოქმედებს პრინციპით: წერეთ და იკითხეთ, ყურზე ხახვი არ დამაჭრათო.

როგორც გინდათ ამხილეთ ხელისუფლების ბოროტმოქმედება, როგორც გინდათ ახადეთ ნილაბი მის შავსაქმიანობას, ამას არავითარი შედეგი არ ახლავს. ყველაფერი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მეორე მხრით, ხალხს დიდი ხანია დაკარგული აქვს სიტყვისადმი ნდობა. ჯერ, სამოცდაათი წლის მანძილზე კომუნისტები ატყუებდნენ. რასაც ისინი ჰპირდებოდნენ, ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. ყველაფერი ნაცარტუტად იქცა. კაცობრიობის „ბედნიერი" მომავალი — კომუნიზმი ისე გაქრა, რომ ნაკვალევიც კი არსად ჩანს. მერე დამოუკიდებელი საქართველოს სამოთხეს ელოდა ხალხი. ეს სამოთხეც ფუჭი ოცნება დარჩა. საქართველო ტერიტორიულად რაც იყო, ისიც აღარ არის. გაკრიჭეს და გაატყავეს. უამრავი ადამიანი მშობლიური მიწა-წყლიდან აჰყარეს და უსახლკარო ბოგანოდ აქციეს. არც იმათ დასდგომია კარგი დღე, ვისაც რბევა-აწიოკება არ შეხებია. არ არის ხელფასები. არ არის პენსიები. ლუკმა-პურის საშოვნელად ხალხმა წანწალი დაიწყო. რას არ კადრულობს ქართველი ორიოდე გროშის საშოვნელად — თაღლითობას, ქურდობას, ყაჩაღობას, როსკიპობას, მათხოვრობას... ამ საუკუნის დასაწყისში ნიკო ლორთქიფანიძე გოდებდა — იყიდებაო საქართველო! საუკუნის ბოლოს მისი შიში სრული რეალობა გახდა. საქართველოში ქართველს აღარაფერი დარჩა. ყველაფერი უცხოს ხელში გადავიდა. სულ მალე საქართველოში საქმე ისე იქნება, როგორც გიორგი ერისთავის კომედიებშია: მდიდარი უცხოელების სასახლეებში ქართველები ხელზე მოსამსახურე გოგოებად და ბიჭებად ირბენენ.

ამ ვითარებაში გვინდა ხალხს სიტყვის სჯეროდეს? უნდობლობა — ეს არის ხალხის პასიური პროტესტი. სხვა მას არაფერი შეუძლია.

სიტყვისადმი უნდობლობას თავად სიტყვის მსახურთა უპასუხისმგებლობამაც შეუწყო ხელი. იმის მაგიერ, რომ სიტყვის მსახური სიტყვას მოფრთხილებოდა, ფაქიზად მოქცეოდა, სიყვარულით მოჰკიდებოდა, პირიქით მოიქცა: გააპამპულა და დაამცირა იგი. რაკი ცენზურა გაქრა, თავაშვებული და ბილწი პრესის პარპაში დაიწყო. გამოდის, როგორი გაზეთიც გნებავთ. იბეჭდება, რაც გნებავთ. წამოვიდა უნიჭობის, უაზრობის, უგემოვნების ღვართქაფი, მან ყველაფერი წალეკა. ბუნებრივია, სიტყვაც.

ბალახტარობის იმ ზღვაში, რაც დღეს საქართველოში მძვინვარებს, სიტყვის გადარჩენა ძალიან ძნელია, თუ შეუძლებელი არა.

„დემოკრატიული" საქართველო უფრო მზაკვრულად მოექცა სიტყვას, ვიდრე კომუნისტური საქართველო. მართალია, კომუნისტური საქართველო კრძალავდა სიტყვას: თუ ცენზურას არ აკმაყოფილებდა, არ ბეჭდავდნენ წიგნებს, არ აჩვენებდნენ წარმოდგენებს, თაროზე დებდნენ ფილმებს, — მაგრამ, ამავე დროს, სი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## საორშაბათო ინტერვიუთა სერიალი



ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ინტერვალის გაკეთება მოგვიხდა ჩვენს კომენტარებში საქართველოს პრეზიდენტის ორშაბათის რადიოინტერვიუებზე. მკითხველს ვთავაზობთ კრებით კომენტარს ინტერვიუებზე, რომლებიც შედგა 31 მაისიდან დღემდე.

*რედაქცია*

### ბიუჯეტის თემა

ჩვეული ფუჭსიტყვაობა საქართველოს ფინანსური პერსპექტივებისა და გადასახადების აკრებაში მიღწეული „წარმატებების" შესახებ ამჯერად უფრო ავბედით ფერებში წარმოგვიდგება, ვინაიდან დღეს ეს რიტორიკა მსმენელს მიეწოდება იმ უდიდესი ეკონომიკური კატასტროფის ფონზე, რომელსაც საქართველოს საზღვაო ფლოტის განიავების მრავალწლიანი პროცესის დასრულება ჰქვია. საქართველოს ფლოტს ქვეყნის დღევანდელმა ხელისუფლებამ ბოლო მოუღო. როგორ ნაწილდება ეს ბრალი სმირბას, ადეიშვილსა და სხვა მათს მსგავსებს შორის, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფლოტის დავალიანება — 140 მილიონი დოლარი — დიდად აღემატება ყველა იმ „მიღწევათა" ჯამს, რომელსაც პრეზიდენტი თავის გამოსვლებში ახსენებს ხოლმე.

### ეკონომიკური პოლიტიკის თემა

რიტორიკას ეკონომიკურ თემებზე და ამ დარგში მოპოვებულ „მიღწევებზე" კვლავ თვალში საცემად აკლია მრეწველობის სტიმულირების თემა. ამ მხრივ ჩვენი უცხოელი მეგობრებისაგან რაიმე წახალისების ხსენება არ ჩანს. გადასახადთა არსებული სისტემის დამთრგუნველ როლზე მრეწველობისათვის პრეზიდენტი არ ლაპარაკობს საერთოდ.

იაპონელების ინიციატივა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანაზე და მისი ექსპლოატაციის ორგანიზებაზე კომერციული პრინციპით ყოველმხრივ მისასალმებელია. უფრო მეტიც: ეს პრაქტიკა სანიმუშოა.

### აფხაზეთის თემა

პრეზიდენტს რატომღაც მიაჩნია (რატომ? — ეს გაუგებარია), რომ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ ჩატარებული ეთნიკური წმენდის ფაქტის დაფიქსირება საკმარისია ამ პრობლემის გადაჭრაში ცივილიზებული მსოფლიოს თანადგომის მოსაპოვებლად, ხოლო იმის ხსენება, რომ აფხაზეთი ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიაა, რომ ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ქართულენოვანი ცივილიზაცია და მხოლოდ ქართველური ტერმინოლოგიით აღჭურვილი განვითარებული მეურნეობა არსებობს, რომ ქართულ-აფსუურ ურთიერთობებს არაფერი აქვს საერთო რუსულ-ჩეჩნურ ურთიერთობებთან, ამ კონტექსტში საჭირო არ არის. ეს აზრი პრეზიდენტის დიდი და დანაშაულებრივი ილუზიაა. პრეზიდენტის გეგმა და ოცნება აფხაზეთისთვის (რომელიც, ასე უნდა ვიგულისხმოთ, აფსუების მიწა-წყლად მიიჩნევა და არა ქართველებისად), მისი სიტყვით, „მაღალი პოლიტიკური სტატუსის" განსაზღვრისა იმგვარად, რომ ზემოხსენებული გარემოება მხედველობაში მიღებული არ იყოს, იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობა ვერ დამაგრდეს, ხოლო „აფხაზების" სახელით მას ჩრდილო კავკასიიდან და თურქეთიდან ქართველოფობური განწყობილებით შეპყრობილი მასები მიაწყდეს. გულუბრყვილობასა და მის სიმულაციას ამ საკითხისადმი მიდგომაში შეუძლებელია ახალი კატასტროფული შედეგები არ მოჰყვეს.

გენოციდით აღშფოთება ახალი არ გახლავთ. ეს გრძნობა მსოფლიოში მალე ცხრება ხოლმე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გენოციდმა ორმხრივი ხასიათი მიიღო (ასეა დღეს კოსოვოში). სეპარატისტთა მხარდაჭერის პრინციპი კი ახალია და ფეთქებადსაშიშია. ამ ბასრ იარაღთან მოპყრობაში საქართველოს პრეზიდენტს, თუკი იგი ერთგულია, დიდი სიფრთხილე ჰმართებს.

### აჭარის თემა

სასიხარულოა, რომ პრეზიდენტის ინტერვიუში ნახსენებია (თუ არ ვცდებით, პირველად) მეზობელი სახელმწიფოს როლი თბილისსა და ბათუმს შორის „კონფლიქტის" სიმულაციასა და ორგანიზებაში.

*შემატკივარი*

## განცხადება

### ბუნების დაცვის კავშირის (საზოგადოების) წევრთა საყურადღებოდ!

რეკვიზირებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავის გაუსაძლისად გაჭიანურების გამო დანიშნული საპროტესტო აქციის გამართვა 30 ივნისიდან გადატანილია 9 ივლისს და ექნება პერმანენტული ხასიათი.

მანამდე, 1999 წლის 2 ივლისს, დილის 11 საათზე, უზენაესი სასამართლოს შენობასთან გაიმართება გამაფრთხილებელი აქცია.

*საორგანიზაციო ჯგუფი*

## ინტერვიუ

### ოტია იოსელიანი:

# ზანგი რაფრათაა ფრანგი?!

**— ეს ერთი ხანია, პრესა, რადიო, ტელევიზია ერთობ ხშირად ეხმიანება პრობლემას — უნდა იყოს თუ არა პასპორტსა და პირადობის დამადასტურებელ სხვა საბუთებში ეროვნების გრაფა.**

**კამათი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ითქვა, რომ ეროვნების გრაფა უნდა შეიცვალოს გრაფით — „საქართველოს მოქალაქე". უცხოეთში ასეაო.**

**რას იტყოდით, თქვენს შვილიშვილს, ოტია იოსელიანს, პასპორტში „ქართველი" უნდა ეწეროს, თუ — „საქართველოს მოქალაქე"?**

— ძალიან მიკვირს, რატომ გახდა ეს საკითხი ასე სადავო და საპოლემიკო? დამოუკიდებლობას რომ ვეპოტინებით, რომ გვინდოდა და გვინდა, ამისათვის მარტო სურვილი როდი კმარა?.. შინაგანად უნდა იყო მზად ამ დამოუკიდებლობისათვის. მე მირჩევნია, მაგალითად, შიმშილით სულის ამოძრობა, მაგრამ დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება. „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი!" ეს დიდებულმა აკაკიმ ბრძანა. დამოუკიდებლობა რას ნიშნავს? ერის თავისუფლებას არ ნიშნავს? ზოგადად თავისუფლება ჩემთვის გაუგებარია. მასე, გაიქცევი სადღაც, ტყეში, ირბენ და იქნები თავისუფალი! თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის ეროვნული საკითხი, ერის გადარჩენა, ერის კულტურა, ენა, მისი არსებობა მსოფლიო რუკაზე, სადაც თვალნათლივ უნდა ჩანდეს, რომ ეს პუნქტირით ან უწყვეტი ხაზით შემოხაზული ქვეყანა არის ან ჩინელის, ან რუსის, გერმანელის, იტალიელის თუ ესპანელის ქვეყანა, მაგრამ, რავარც იქნა, ქართველისაც, ხომ?

შენ რომ შედიხარ იმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ეს ერების გაერთიანებაა, მოქალაქეებისა კი არა!.. ვინაა მოქალაქე, რას ნიშნავს „მოქალაქე"? სულერთია, რომელი ქვეყნისაც უნდა იყოს! გაეროში „საქართველოა" თუ „საქართველოს მოქალაქეთი"?

ჯერ კაცს არ გაუცვნიხარ მსოფლიოში, კაციშვილმა არ იცის შენი ასავალ-დასავალი, შენი არსებობა... ფრანგებს ვერ გავაგებინე, საფრანგეთში რომ ვიყავი შარშანწინ, ვიძახე, ჯორჯიან ვარ-მეთქი, მაგრამ ვერ გაიგეს ჩემი ეროვნება. „ჯორჯიან, ჯორჯიანის" გაგონებაზე, მგონი სულაც ამერიკელი ვეგონეთ. ერთი სიტყვით, ვინ, ვისი მოქალაქე ხარ შენ? ეს შეიძლება ფრანგს ეწეროს საბუთში, ფრანგი ფრანგია. ფრანგს არ სჭირდება გაცნობა. გაცნობილიცაა ის კაცი და გამოცნობილიც. ასევე ინგლისელიც თუ ესპანელიც. მაგრამ, ჯერ, ვიმეორებ, კაციშვილმა არ უწყის შენი არსებობა... ჩვენ თუ გველირსა ადგილი მსოფლიო რუკასა თუ გლობუსზე, იქნებ ძალიან მკვეთრი ფერი გვერგოს! ვერ ვიტან წითელ ფერს, მაგრამ, ალბათ, წითელი ფერი აჯობებს, რომ ადვილად მოვხვდეთ თვალში!..

ჰოდა, რომ გამოჩნდა ახლა ეს ახალი ქვეყანა, ვინაა ეს ხალხი, რა ჰქვია ამ სახელმწიფოს, „საქართველოს მოქალაქეთი"?!

**— ასე რომ, პირადობის დამადასტურებელ საბუთში გრაფა „ეროვნება" აუცილებლად უნდა აღდგეს?**

— რასაკვირველია!.. რავა, უკვე გააუქმეს?

**— დიახ და, ალბათ, რამდენიმე ათასი ქართველი ეროვნების გარეშე დარჩა, იმედია, ჯერჯერობით!**

— სრულიად გაუგებარია, რატომ არსებობს საპირისპირო აზრი? ვერც კი ამიხსნია ეს!..

თუ მაინცდამაინც ვერ შელევიან ამ „მოქალაქის" გრაფას, ერთ წერილში უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი და ახლაც ვიმეორებ, იყოს, ბატონო, ორივე გრაფა. ვთქვათ, ოტია იოსელიანი, ეროვნებით ქართველი და საქართველოს მოქალაქე.

**— რატომღაც წარმოიშვა, ამასთან დაკავშირებით, ერთი უცნაური აზრიც — ვითომც და, სხვადასხვა ერების წარმომადგენლები ჩვენთან რომ ეროვნების ნიშნით დავყოთ, სეპარატისტულ საშიშროებას შექმნისო.**

რა არგუმენტია ეს? ჯერ ერთი, რას ჰქვია „რომ დავყოთ", არაა დაყოფილი თუ? პირიქით, ახლა ცდილობს მავანი, ყველანი რომ ერთი სახელით მონათლოს, ყველანი რო გაასაქართველოსმოქალაქოს!.. კი მარა, ი კაცი სომეხი



როა? რატომ ვართმევთ თავის ეროვნებას? რატომ ვიბრიყვებთ? რა, შენზე ნაკლები ხნისაა თუ შენზე ნაკლები კულტურის!.. კი ბატონო, „საქართველოს მოქალაქეში" მექანიკურად იგულისხმება, შენ რომ ქართველი ხარ, მაგრამ ის? ის ხომ შეიძლება ოსიც იყოს, რუსიც, სომეხიც! ვთქვათ, მე რო გავუსინჯო ფრანგს პასპორტი და იქ ეწეროს „საფრანგეთის მოქალაქე", მე კი ვიგულისხმებ, რომ ის ფრანგია, მაგრამ ზანგებით რომაა საფრანგეთი სავსე! ზანგი რაფრათაა ფრანგი?!

დარწმუნებული ვარ, შეურაცხმყოფელი იქნება ეს ამბავი იმ ერების წარმომადგენლებისათვის, ჩვენთან რომ ცხოვრობენ და თავიანთ ენას, კულტურას, სარწმუნოებას და ტრადიციებს ინარჩუნებენ!..

შენ რომ ქართველი ხარ, რასაკვირველია, არ დაგჭირდება იმის მტკიცება, რომ მართლა ქართველი ხარ, მაგრამ სომეხს ხომ დასჭირდება იმის დამტკიცება, რომ, „საქართველოს მოქალაქე" ქეა, მაგრამ სად ჩანს, სომეხი როა ეროვნებით?! იწამოს ღმერთი და ამიხსნას ვინმემ, რანაირად მოხდება ამის დამტკიცება?..

— ასევე დიდი, მე ვიტყოდი, უკიდურესად მძაფრი შეხლა-შემოხლა გამოიწვია იმან, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „კაკა ქვანია 83 წლის იყო, „ვეფხისტყაოსანი" მეგრულად რომ თარგმნა"...

*ბავშვობაში ბებიაჩემისგან ხშირად მსმენია შოთა რუსთაველის აფორიზმები მეგრულად. საიდან იცი-მეთქი, რომ ვკითხე ერთხელ, მიპასუხა, კაკა ჟვანიამ თარგმნაო. ჩემი დაინტერესება ამაზე შორს „ვეფხისტყაოსნის" მეგრული თარგმანით, არ წასულა. დღეს კი, როცა ასეთი აჟიოტაჟი ატყდა ამ საკითხზე, თარგმანითაც დავინტერესდი და მისი ავტორითაც. თარგმანს რაც შეეხება, მისი სიავკარგე მკითხველმა განსაჯოს, მთარგმნელზე კი მისი შვილიშვილი,* ***ვახში ჟვანია*** *გვესაუბრება.*



— ბაბუაჩემი, კონსტანტინე (კაკა) ჟვანია, ნამდვილად კოლორიტული ფიგურა იყო. მას მთელი ზუგდიდი და სამეგრელო იცნობდა. გამოირჩეოდა შესანიშნავი გარეგნობით, ლამაზი სიტყვა-პასუხით, სხარტი გონებით. კარგი ლექსის თქმა იცოდა. დღესაც ბევრმა იცის მისი აფორიზმები, რომელიც ერთ დროს ხელნაწერის სახითაც ვრცელდებოდა. ყველაფერ ამის მიღმა იყო მაღალი ინტელექტი. ბრწყინვალედ იცოდა რუსული (კლასიკური რუსული) ენა. კარგად იცნობდა ქართულ, რუსულ და ევროპულ ლიტერატურას. საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

კაკა ჟვანია 16 წლის განმავლობაში (1898-1914 წ. წ.) სკოლის დირექტორი იყო. ამ სკოლას „ჟვანიას სკოლას" ეძახდნენ. მისი მოსწავლეები იყვნენ: ნიკოლოზ ანთელავა, კოტე გრიგოლია, ილია ვეკუა და სხვები. იმ დროს, მოგეხსენებათ, „როზგი" ყველა სკოლაში იყო მიღებული, როგორც აღმზრდელობითი სისტემის ერთ-ერთი ელემენტი. „ჟვანიას სკოლა" ამ მხრივ ჰუმანურობით გამოირჩეოდა — „როზგი" მასთან აკრძალული იყო.

ბაბუა მშვენივრად მღეროდა ქართულ, მეგრულ ხალხურ სიმღერებს. მე მახსოვს მისი გურული ურთულესი პოლიფონიური სიმღერის შესრულება. კიწი გეგეჭკორი, ცნობილი ლოტბარი, ბაბუაჩემის სახლში გაიზარდა და პირველი გაკვეთილებიც ბაბუაჩემისგან მიიღო. ძუკუ ლოლუა, კირილე პაჭკორია — კაკას მეგობრები იყვნენ. მათ 1914 წ. ჩაატარეს ქართული ხალხური სიმღერების პირველი ფესტივალი ზუგდიდში. ჟიურის წევრები (ზემოთდასახელებული პიროვნებები) ბოლო

გაგრძელება მე-12 გვერდზე

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### მაშენებლები თუ დივერსანტები?

აქამდე ასე ვიცოდით, რომ მეტალურგია მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლის გარეშეც ქვეყნის ეკონომიკა ვერ იქნება ავტონომიური და სრულყოფილი. ჩვენ ვამაყობდით, რომ საქართველოს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის სახით აქვს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ბურჯი და ახლა ვიგებთ, რომ მეტალურგია, თურმე სრულიად ზედმეტია საქართველოსთვის. მმართველი პარტიის ზოგიერთი ახალგაზრდა ლიდერი, მაგალითად, ლევან მამალაძე და ზურაბ ჟვანია ამ დარგის საერთოდ დახურვას მოითხოვენ, სამაგიეროდ, მის ადგილას თურმე შესაძლებელია „ნისანისა" და „ვოლვოს" ავტომობილების წარმოება. ღმერთო, შენ გვიხსენ ქვეყნის ამგვარი მაშენებლებისაგან. ახალი ქარხნის ასაშენებლად ტერიტორია ვერ იპოვეს, თუ რა ხდება, რომ ძველს, აშენებულს აუქმებენ და მის ადგილას ახალს აკეთებენ? რა ჰქვია ამას, თუ არა ქვეყნის ეკონომიკური დივერსია?



### ვენდოთ დიდ ფეხბურთელს



ჩვენს ხელისუფლებას პატრიოტობის საწინააღმდეგო ვაქცინა გაუკეთეს. ბატონებო, თქვენ არაეროვნულ პოლიტიკას ატარებთ. თქვენ ჩამოყალიბებული კოსმოპოლიტები ხართ! — განაცხადა ცნობილმა ფეხბურთელმა და ამჟამად პარლამენტარმა, ბატონმა მანუჩარ მაჩაიძემ. ალბათ, დაეჯერება ბატონ მანუჩარს, რადგან მას, როგორც ნიჭიერ ფეხბურთელს, აქვს ინტუიცია გაშიფროს მრავალი კომბინაცია, ტაქტიკა და სტრატეგია და ამოიცნოს საერთო გეგმა თამაშისა. ეტყობა, ბატონმა მანუჩარმა მოქკავშირის თამაშის მონახაზიც კარგად გაშიფრა და ასეთი განაცხადი მიტომაც გააკეთა.

### კუს როლში როდემდე ვიქნებით?

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყვარელში რუსებმა ვერტმფრენებით შხამიანი გველები ჩამოყარესო. თუ ეს სიმართლეს შეეფერება, მაშინ ამ ფაქტმა ცოტა უფრო მეტად უნდა დაგვაფიქროს, თუ ვისთან გვაქვს საქმე. გველი მითოლოგიურად სიბრძნის გამოხატულებაა, ღმერთმა სიბრძნე არ მოგვაკლოს, მაგრამ რუსები რომ გველებს ჩვენ, ქართველებს, სიბრძნის მოსამატებლად არ გადმოგვაყრიდნენ თავზე, ეს ალბათ უდაოა. მათი მხრიდან შხამისა და გესლის გადმოღვრის გამოხატულება უფროა ეს მოქმედება. ასე რომ, იმათ, ვისაც ჩვენთვის შხამი და გესლი ემეტებათ მხოლოდ, გუდა-ნაბადი დროზე უნდა ავუკრათ ჩვენი ქვეყნიდან, როგორც ეს გააკეთეს უნგრელებმა და ჩეხებმა, პოლონელებმა და ბალტიისპირელებმა, მოლდაველებმა და უკრაინელებმა, აზერბაიჯანელებმა და ბევრმა სხვამ. ეს ჩვენ ვართ დარჩენილები ჩვენი ხელისუფლების მარიონეტული პოლიტიკის წყალობით, კიდევ იმედის თვალით რომ შევცქერის რუსეთს.

სულხან-საბას იგავ-არაკის „კუ და მორიელი" არ იყოს, კუს როლში ვიმყოფებით, ამას ხედავს ხელისუფლება და მაინც აშხამიანებს ქვეყანას მორიელს რუსეთის სახით.



### სომხებმა რაც დათესეს, ის მოიმკეს

აფხაზეთში კვლავ გავრცელდა ანტისომხური პროკლამაციები, რომლებშიც სომხებს მოუწოდებენ, რომ გონს მოეგონ და დატოვონ აფხაზეთი. სომხების საკმაოდ დიდი ნაწილი იძულებულია საფრთხის გამო გაიქცეს აფხაზეთიდან და რუსეთში გადაიკარგოს.

სომხებს ვერც ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი შველის



და ვერც ის დამსახურება, რაც მათ აფხაზეთის მიმართ მიუძღვით ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ შემთხვევაში ნიშნის მოგების მეტი რა გვეთქმის. მსოფლიოში არ არის ისეთი ერი, რომელსაც ქართველებზე მეტად ჰქონდეს განვითარებული სხვა ერების წარმომადგენლებთან თანაცხოვრების უნარი, რელიგიური შემწყნარებლობა და ტოლერანტობა. ამიტომ სომხებისათვის უკეთესი იქნებოდა ქართველებთან ბრძოლის ნაცვლად, რაც უმადურობისა და ვერაგობის გამოხატულება იყო, ძმობა და სითბო ეჩვენებინათ, ამით უფრო მეტს მოიგებდნენ და დღესაც მშვიდობიანად იცხოვრებდნენ თავიანთ სახლებში.

### აი, ორიგინალი

ბატონმა რეზო ამაშუკელმა განაცხადა: „ეს თავისუფლება არ არის, ეს ზოგიერთის, მაპატიეთ, უკანალის თავისუფლებაა".

თავისუფლების განსაზღვრისას უკანალის თავისუფლება რომ მოაფიქრდება კაცს, რბილად რომ ვთქვათ, ამ კაცის აზროვნება საკმაოდ ორიგინალურად არის მოწყობილი, ოღონდ ეს ორიგინალობა არა გვგონია მას დადებითად ახასიათებდეს.

### ვიღაც გვჭირდება...

მსახიობ გურამ ფირცხალავას, ვფიქრობთ, უნდა დავეთანხმოთ, როცა აცხადებს — „მე არ ვიცი, ბერია გვჭირდება, თუ სტალინი, მაგრამ ვიღაც რომ გვჭირდება, ფაქტიაო".

ჰოდა, უნდა მოვძებნოთ ეს ვიღაც, ბატონო გურამ, თორემ გლახად რომაა ჩვენი საქმე, ამას უკვე დავა-კამათი აღარ სჭირდება.

მეორე გვერდიდან

## აკაკი ბაქრაძე:

# დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ...

ტყვის ეშინოდათ, ანგარიშს უწევდნენ, პატივს სცემდნენ. გრძნობდნენ სიტყვის იდუმალ ძალას. „დემოკრატიულმა" საქართველომ ცენზურა გააუქმა. თითქოს სიტყვა გაათავისუფლა, მაგრამ ღირსება ჩამოართვა, აბუჩად აიგდო, გააქარწყლა მაკულატურისა და ხალტურის მღვრიე ლანქერში.

ასეთ ვითარებაში სიტყვის ჟამი არ დადგება.

დღევანდელ საქართველოში სიტყვა მკვდარია. ამ დროს სიტყვას ის მეტ პატივს სცემს და აფასებს, ვინც დუმს, ვიდრე ის, ვინც ალვირახსნილი ლაქლაქებს.

**— „ჩემი გამარჯვების ყველაზე დიდ სიტკბოებას მაშინ განვიცდი, როცა განსაცდელიდან დავიხსნი იმათ, ვინც ჩემს წინააღმდეგ იბრძოდა" — ამბობდა კეისარი. შევარდნაძის მიერ ზვიადისტთა შეწყალებას რა შეფასებას მისცემდით?**

— ჯერ ერთი, კეისრის სიტყვებს არაფერი აქვთ საერთო საქართველოს ხელისუფლების ქმედებასთან. მეორეც, რამდენად სასიამოვნო და სასიხარულოა კომედიის ყურება-მოსმენა თეატრში, იმდენად საზიზღარია იგი ცხოვრებაში და პოლიტიკაში. ან დაჭერა რა იყო, ან განთავისუფლება რა არის? თუ დამნაშავენი არ იყვნენ, რა უფლებით დააპატიმრეს? თუ დანაშაული ჩაიდინეს, რა უფლებით ანთავისუფლებენ? ქვეყანა, სადაც უდანაშაულოს აპატიმრებენ, ქვეყანა არ არის. არც ის ქვეყანაა ქვეყანა, სადაც დამნაშავეს ციხიდან უშვებენ და არ სჯიან. ასე რომ, ტყუილად ნუ ვაწუხებთ კეისარს იმ აბსურდის ამოსაცნობად, რაც საქართველოში ხდება.

**— „არსენა მარაბდელში" ალექსანდრე ორბელიანი ამბობს: „რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოვრჩეთო. ჩვენც დასისხლიანებული მივრბივართ და გვგონია, რუსი სიკეთეს გვიშვება". დღეს რუსი არ მიგვათრევს, ჩვენ გავრბივართ ევროპისაკენ, გავხდით კიდევაც „ევროპელები". რა სიკეთის და რა სიავის მოტანა შეუძლია ჩვენთვის გაევროპელებას?**

— ჯერ ის გავარკვიოთ, რას ვგულისხმობთ ცნებაში — „გაევროპელება". რომელიმე ევროპულ პოლიტიკურ სტრუქტურაში შესვლა ან გეოგრაფიულად ევროპის კონტინენტზე ცხოვრება სრულიად არ ნიშნავს „ევროპელობას". არსებობის დაწყების დღიდან დღემდე გეოგრაფიულად ევროპაში ცხოვრობენ ყალმუხები, ჩუვაშები, ბაშკირები, კომი-ხალხი და სხვანიც, თუნდაც ალბანელები, მაგრამ რა აქვთ მათ საერთო ან ევროპასთან, ან ევროპულ კულტურასთან? თურქეთიც რამდენი ათეული წელიწადია უკვე ევროპულ პოლიტიკურ სტრუქტურებშია გაწევრიანებული, მაგრამ რა ეტყობა თურქეთის მოსახლეობას ევროპელობის? თუგინდ იმ თურქებს, რომელნიც წლობით ცხოვრობენ ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში?

ევროპული კულტურა და ცივილიზაცია ის არის, რაც რომანული და გერმანული მოდგმის ხალხებმა შექმნეს. გაევროპელებაც ამ კულტურა-ცივილიზაციის ათვისებას ნიშნავს. რამდენად ძნელია ეს, რუსებმა ცხადად დაგვანახვეს. პეტრე პირველის ძალდატანებით, ეკატერინე მეორის მონდომებით რუსებმა სულითა და გულით სცადეს გაევროპელება, მაგრამ ვერ შესძლეს, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც-რაღაცეები ისწავლეს. ევროპა ევროპად დარჩა, რუსეთი — რუსეთად, თუმცა სანკტ-პეტერბურგი და მისი მიდამოები გარეგნულად ევროპულად ააშენეს, მაგრამ კალუგა, რიაზანი, ტამბოვი და სხვანი და სხვანი, მოსკოვიც კი, მონღოლურ-რუსული დარჩა. ვერ მოახერხეს ეს რუსებმა იმიტომ, რომ ჯიში არ ეყოთ. ყველა საქმეში ჯიშია გადამწყვეტი. არის ძროხა, რომელიც ათ ლიტრს იწველის და არის ძროხა, რომელიც — ხუთ ლიტრს. ხუთლიტრიანი ძროხა, როგორც უნდა გამოკვებოთ იგი, როგორც უნდა დაბან-დარეცხოთ, როგორ კეთილმოწყობილ ბოსელში უნდა დააბათ, ათ ლიტრს ვერ მოიწველის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მისი ჯიში არ არის. ხალხებიც ასევე იყოფა ჯიშის მიხედვით. ნუ იფიქრებთ, რომ რაღაც საშინელ რასისტულს ვამბობ. არა, რასიზმი აქ არაფერ შუაშია. ჯიში სხვაა სრულიად და რასა — სხვა. მაგალითად, ზანგებს აღმოაჩნდათ ჯიში თანამედროვე ცივილიზაციის ათვისებისა. აითვისეს კიდეც. დააკვირდით ამერიკელ ზანგებს, სულერთია, სად ცხოვრობენ, აშშ-ში, კანადაში თუ ბრაზილიაში. ყველა საქმეში წარმატებით მონაწილეობენ, გარეგნულადაც დახვეწილი და რაფინირებული გახდნენ. თეთრკანიანისაგან უბრალოდ ფერით განსხვავდებიან, თორემ სხვა მხრივ არაფრით ჩამოუვარდებიან. მაგრამ ჯიშის იგივე თვისება, რაც ზანგებს აქვთ, არ აღმოაჩნდათ ამერიკელ ინდიელებს. ისინი ან სრულებით ვერ ეთვისებიან თანამედროვე ცივილიზაციას, ან ძალიან ძნელად და ტანჯვით. სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ამერიკის კონტინენტზე ზანგები და ინდიელები თანაბარ მდგომარეობაში არიან, მაგრამ რაც ზანგებმა მოახერხეს, ის ინდიელებმა ვერ შეძლეს. ჯიში არ აძლევს ამის საშუალებას.

მომავალი აჩვენებს, როგორ გაევროპელდება ქართველი. ბუნებრივად და ორგანულად აითვისებს ევროპულ კულტურა-ცივილიზაციას, თუ იმით დაკმაყოფილდება, რომ ქართულ ენას ინგლისური სიტყვებით დაანაგვიანებს, დაკაჩული კაბით იკვინტრიშებს და სოდომის ცოდვას ცივილიზაციის მწვერვალად ჩათვლის.

სიკეთისა თუ სიავის მოტანა ათვისების უნარზე იქნება დამოკიდებული. თუ ბუნებრივად და ორგანულად ავითვისებთ ევროპულ ცივილიზაციას, ნათლად და ცხადად გავაცნობიერებთ, რაა ევროპულ ცივილიზაციაში ჩვენთვის მისაღები და რა არა, მაშინ გაევროპელება დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოს. თუ ბრმა და ზერელე მიმბაძველობით დავკმაყოფილდებით, მაშინ დიდი ხიფათი გველის. ასე რომ, კარგიც და ავიც ჩვენზეა დამოკიდებული და არა სხვაზე.

**— დღეს საქართველოში უამრავი სექტაა, რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს. დიდ საშიშროებას გვიქმნის ვაჰაბიზმი. თქვენი აზრი მათი წარმოშობის მიზეზებზე და რას გვიქადის ეს საბოლოო ჯამში?**

— რაკი თქვენს კითხვაში კონკრეტულად ვაჰაბიზმია ნახსენები, ამით დავიწყოთ.

ვაჰაბიზმი სუნიტური ისლამის სექტაა. იგი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე. მისი დამაარსებელია მუჰამედ იბნ აბდულვაჰაბი. იგი 1766 წელს გარდაიცვალა. ვაჰაბიზმის გავრცელებასა და დამკვიდრებაში ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუჰამედ იბნ აბდულვაჰაბის შვილმა და შვილიშვილმა — აბდულ-აზიზმა და საუდმა. ვაჰაბიზმი დღეს საუდის არაბეთის მთავარი რელიგიური დოქტრინაა.

იმაზე საუბარი, რით განსხვავდება ვაჰაბიზმი ორთოდოქსული ისლამისაგან, ძალიან გაგვიჭიანურდებოდა, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი.

ვინც ისლამს თუნდაც ზერელედ იცნობს, ეცოდინება, რომ ისლამში ღმერთს 99 ეპითეტი აქვს. მუსლიმი ამ ეპითეტებს კრიალოსანზე ითვლის (ამიტომ გახლავთ მუსლიმის საყვარელი ნივთი კრიალოსანი). ვაჰაბისტები კი თითებზე ითვლიან და არა კრიალოსანზე. შეიძლება ეს სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ საქმე ასე უბრალოდ არ არის. ამის გამო შესაძლებელია ერთმანეთიც დახოცონ.

ვაჰაბისტები უარყოფენ იდშმას, ანუ უმაღლესი რანგის მუსლიმ იდეოლოგთა საერთო აზრს ეთიკისა და რელიგიის საკითხებზე. მათ მიაჩნიათ, რომ ყველას, ვინც იცის კითხვა, ყურანი და წმიდა ტრადიციები, თავად შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ ავტორიტეტებს ვაჰაბისტები არ ცნობენ.

ვაჰაბისტების აზრით, მხოლოდ ღმერთმა უწყის ადამიანთა საიდუმლოებანი. რაკი ასეა, წმიდანებისა და მოციქულებისადმი ლოცვას ღირებულება არა აქვს. ისინი უარს ამბობენ წმიდათა თაყვანისცემაზე. უფრო მეტიც: აუცილებლად არც მუჰამედის საფლავის პატივისცემა მიაჩნიათ. არც მისი დაბადების დღეს ზეიმობენ.

ვაჰაბიზმი ყოფილი სსრკ-ის მუსლიმურ რესპუბლიკებში (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში) სსრკ-ის დაქცევის შემდეგ შემოვიდა.

საუდის არაბეთი მძლავრი და მდიდარი ქვეყანაა. მას შეუძლია (და აკეთებს კიდეც ამას) ვაჰაბიზმის გავრცელებას აქტიურად შეუწყოს ხელი ყველა თვალსაზრისით — ფულითაც და პროპაგანდისტებითაც.

„რას გვიქადის ეს"? აბა, ისტორიას გავხედოთ. ისლამი მე-7 საუკუნეში დაიბადა. მას აქეთ ქრისტიანული საქართველო

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მესამე გვერდიდან

## ოტია იოსელიანი:

# ზანგი რაფრათაა ფრანგი?!

აპირებენ საქართველოდან ამერიკაში ჩვენი ეროვნული განძის: ხელოვნების უნიკალური ძეგლების, უძველესი ქართული ხელნაწერების, საეკლესიო ნივთების, მათ შორის, ხატებისა და ჯვრების გატანას საგამოფენოდ. ყურადსაღებია ის მომენტი, რომ გამოფენა შტატებში წლეულს, შემოდგომაზე დაიწყება და წელიწადნახევარს გასტანს.

პოლემიკაში საზოგადოების ფართო წრეები ჩაებნენ: სტუდენტი — ახალგაზრდობა, ჟურნალისტები თავისთავად, ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, პარლამენტარები და თვით საქართველოს პატრიარქიც.

აქვე დავსძენ, რომ უწმინდესის და უნეტარესის აზრით, ჯვარი და ხატი ახლა, როცა ასე ახლოა უდიდესი დღესასწაული — ქრისტესშობიდან 2000 წელი, საქართველოდან არ უნდა გავიდეს!..

— საერთოდ, კაციც და ქვეყანაც მოცემული სიტყვის ასრულებით ფასდება. სიტყვის კაციაო, იტყვიან ხოლმე. კაცი ხარ თუ სახელმწიფო ხარ, სიტყვის პატრონი უნდა იყო!.. კი მარა, ორი წლის წინეთ რო მოვიდა ი კაცი შენთან და მოგელაპარაკა, — ძალით ხო არ მიაქვს! — ეგერ რო კაი განძი გაქვთ, ამერიკაში გამოვფინოთო, თუ არ შეიძლებოდა მისი გატანა, ან რისი შეიძლებოდა და რისი — არა, მაშინ ვერ დაადგინეთ? როცა ჯვარი და ხატი მოითხოვეს, რატომ მაშინვე არ ვკითხეთ პატრიარქს? მე შენ გეტყვი, ვერ გვიპასუხებდა, თუ გონება ლალატობს ან ჭკუა!.. ახლა რომ წინააღმდეგია, მაშინაც ხომ წინააღმდეგი იქნებოდა! რო დაადევი თავი და მიგაქვს... მუზეუმის საკუთრებააო. კი ბატონო, არ გედავები, მარა, თუ სიმართლე გინდა, ერთიცა და მეორეც ქვეყნის საკუთრებაა, უფრო სწორად, ხალხის!..

კი ვთქვი, ჯერ კაციშვილმა არ იცის მსოფლიოში ჩვენი არსებობა-მეთქი და ასეთი ღონისძიება ძაანაც წაგვადგებოდა. კულტურით თუ წარმოვაჩენთ ჩვენს ერს, თუ არა, ზარბაზნებით შევაშინებთ ვინმეს თუ მოწესრიგებული ეკონომიკით გავაკვირვებთ!.. მაგრამ ქრისტეს დაბადების დღისთვის რო გვჭირდება, რა ვქნათ? ისევ უნდა ჩამოვიტანოთ, ალბათ, ან არ ვიცი... მაგრამ კიდევ ვიმეორებ: რატომ თავიდან შეიტანეს ნუსხაში? სად ვიყავით თავის დროზე? რატომ არ გვიყვარს თვალის დროულად გახელა? ახლა რაღა — თუ სიტყვა მიეცი ი კაცს, სიტყვა ზოგჯერ სიცოცხლეზედაც ძვირი ღირს!..

ყოველ შემთხვევაში, დავხედოთ ისევ იმ ნუსხას, აგერაა, რა ჰქვია, ეკლესია, აგერაა მეცნიერება, აგერაა ხელოვნება, კულტურა, მოაზროვნე ხალხი და ვნახოთ, შევათანხმოთ ეს საკითხი და ნუ გავხდით მსოფლიო მასშტაბის პოლემიკად!..

**— დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც შეუცდომლად დაასახელებდა პოლიტიკურ პარტიათა რიცხვს!.. უბრალოდ, საინტერესოა, რა სახსრებით არსებობენ ისინი?.. როგორ ფიქრობთ: რაც მეტია პარტია, მით მეტია დემოკრატია და საერთოდ, თქვენი აზრით, რამდენად პროგრესული მოვლენაა ეს?**

— ბატონებო! პარტია მე მესმის, როგორც, უპირველეს ყოვლისა, რაიმე ფილოსოფიაზე დაფუძნებული დაჯგუფება, რომელსაც გააჩნია საკუთარი მსოფლმხედველობა, იდეალი და მიზანი. შეუძლებელია ახალი ფილოსოფიური მოძღვრების ასე ჰაიჰარად ჩამოყალიბება. კლასიკური ფილოსოფიის ყველა ძირითადი მიმართულება ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა გვიანდერძეს. პარტიას უნდა ედოს აუცილებლად თავისი, საკუთარი ფილოსოფია. ამავე დროს, უნდა ჰყავდეს თანამედროვე, მოაზროვნე ფილოსოფოსები, რომლებიც ამ ფილოსოფიას თანამედროვეობას, ერს, მის სულს, მის კულტურას, მის პოტენციას უთავსებს, უსადაგებს, აანალიზებს და ქმნის. არ შეიძლება უფილოსოფიო პარტია!.. მოგვწონდა თუ არ მოგვწონდა, კომუნისტებს ვებერთელა ფილოსოფიური დოქტრინა ედოთ წინ. სხვა საკითხია, ასრულებდნენ თუ არა, მაგრამ მაინც ჰქონდათ!..

მოდიან ხოლმე ჩემთანაც — ახალ პარტიას ვქმნით და მხარს ხომ არ დაგვიჭერდითო. მე ვეუბნები: კი ბატონო, დამიდევით წინ თქვენი ფილოსოფია, რა გინდათ, რა მიზანი გაქვთ, როგორ აპირებთ მის შესრულებას და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. არაფერი!..

ახლა რა ხდება: ვიღაცა ვიღაცას არ მოეწონა, ვიღაცა ვიღაცას გამოეყო, ვინცხას ამბიცია გაუჩნდა — მაგი თუა, მეც უნდა ვიყოო და... შეიქმნა პოლიტიკური პარტია!.. ასე ამნაირად როგორ უნდა იქმნებოდეს ორგანიზაცია, რომელიც გათვალისწინებულია ქვეყნის სამართავად. სხვა დანიშნულება მას, წესით და რიგით, არ უნდა გააჩნდეს!..

ჩვენ ჯერ კიდევ ვერა ვართ მრავალპარტიული არჩევნებისათვის მზად. იმიტომ, რომ ... თითოეულმა ჩვენგანმა ხომ უნდა შეისწავლოს, გაიაზროს და გაითვალისწინოს ყოველი პარტიის მოთხოვნა, აბა, რანაირად შეარჩევს თავისათვის სასურველს!.. მერედა, რამდენიმე ათეული პარტიის შესწავლას მისი სიცოცხლე ეყოფა?

მახსოვს, საკრებულოების არჩევნები რო იყო, გამოვიდა ინგლისის ელჩი, ჩვენთან რომ არის, და გვითხრა იმ კაცმა: მერვე საუკუნიდანაა მუნიციპალური არჩევნები ჩვენში და ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ მოწესრიგებულიო!.. ჰოდა, ამ დროს, ამდენი პარტიის შემოყრა კი არა, ათი და თხუთმეტიც თავს გვდის!

ჩვენში დარჩეს და ვინ არიან ესენი, ახლა, არჩევნების წინ რო მსხვილდებიან და მერე ისევ იქსაქსებიან? ხომ ეტყობა, რომ თვითმიზნურია ეს!.. ბევრს არც ერი აინტერესებს და არც — ბერი. მხოლოდ ერთი უნდა — რამენაირად იშოვოს პარლამენტში ადგილი! ვერ გამიგია, პარლამენტში ასეთი რა ჯანდაბა ყრია!.. ერთადერთი მიზანი ჩვენში, ადრე თუ იყო, ალმასკომის თავჯდომარეობა, რაიკომის მდივნობა და ცეკას მდივნობა, ახლა — პარლამენტარობაა!.. არადა, პარლამენტი მე თავსატეხი და თავსამტვრევი მგონია. იყვნენ ჩემთანაც, კენჭს ხო არ იყრიო. რასაკვირველია, უარი ვთქვი. სა მცალია, მთელი ოცდაოთხი საათი მაგის ფიქრსა და ქაქანში გავატარო! არადა, სწორედ რომ მთელ ოცდაოთხ საათს მოითხოვს პარლამენტარის წესიერი მუშაობა. ვეკითხები: რა გინდათ თქვენ? მეუბნებიან: ქვეყნისათვის სასიკეთო კანონების მიღება! კეთილი და პატიოსანი!.. მაგრამ... აი, მიწის კანონის პროექტი იყო. ცოდვას ვერ ვიტყვი, მეც გამომიგზავნეს. იმიტომ რომ, იციან, ერთადერთი კაცი ვარ მე, წერა-კითხვაც რომ ვიცი და მიწაზეც რო ფეხი მიდგას. ორივე რომ ეხერხებოდეს, ამისთანას სხვას ვერ მოიძევ!.. ჰოდა, ის მიწის კანონი მიწასთან გავასწორე! სულ ავაჭრელე შენიშვნებით და კითხვის ნიშნებით!.. რაი მერე, გაითვალისწინეს რამე? თქვენც არ მომიკვდეთ!.. არადა, რას მეკითხებოდნენ, თუ ყურს არ დამიგდებდნენ?.. ან, თუ მტყუანი ვიყავი, რატომ არ მიპასუხეს და არ შემეკამათნენ?! ხოლო, თუ მართალი — რატომ არაფერი გაითვალისწინეს? თუნდაც ის ყბადაღებული „უზურფრუქტი"? რა უბედურებაა ეს უზურფრუქტი, გეიგებს ჩვენი გასაცოდავებული გლეხი? ან სადღაა გლეხი, რომ გეიგოს!.. მერე თავად პარლამენტმაც დააყენა ეს საკითხი სხდომაზე — ბატონი ოტია რომ კითხულობს, გავარკვიოთ, რას ნიშნავსო. იმტვრიეს თავი და მაინც ვერაფერი გაიგეს!.. ასე ბრმად რომ მოგაქვს საცხაიდან და საცხა რომ ყრი ამას, რად მინდა მე ამისთანა პარლამენტი! ჯერ ერთი, ან ამდენი ხალხი რა საჭიროა! 230 თუ 235 რაში ჭირია ამ ერთ მუჭა საქართველოს ეს!.. მარტო ამათი შენახვა არ გინდა? შენახვის გარდა, მგონი, კიდევ თავისითაც „ინახავენ თავს!".. არ სჯობია, 235-ის ნაცვლად, 35 ჭკუადამჯდარი იჯდეს? ჭეშმარიტად საქმის მცოდნენი? იმდენს ხომ უნდა ხვდებოდნენ, რომ მსოფლიოში რომ არავის სჭირდა, ის გვჭირს ჩვენ — საკოლმეურნეო წყობაზე მიღებული მემკვიდრეობა!.. ეს ავადმყოფობა კაცობრიობას არ შეხვედრია. ამიტომ ვერაფერ სახეიროს ვერ გადმოიწერ მისგან, იმიტომ, რო... არ სჭირვებია იმ კაცს და!.. მხოლოდ შენ გაგწირა განგებამ და შენ დაგემართა ეს წითელი ჭირი, ხომ? ამიტომ მიწის კანონის შექმნას განსაკუთრებული ერუდიცია და კულტურა, შენი ეროვნული სული და ეროვნული ხასიათი უნდა ჩაექსოვოს... მერე კიდევ, შენი გამამაძაღლებული და გაქურდული ქვეყანა რომ გაქვს, ამასაც უნდა გათვალისწინება და იმისთანა კანონების მიღება, რომელიც ჯერ კაცობრიობას არც მოლანდებია!.. შენ რა გეუზურფრუქტება, შე ცეცხლმოკიდებულო!..

დავუშვათ და, კიდევაც რო ჰქონდეს სხვას ამდაგვარი გამოცდილება, ეს იმ ქვეყნის გამოცდილება იქნება და შენსას ვერ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა ქართულ პოლიტიკაში

**ქვეყნის პრეზიდენტი კულტურის, როგორც ადამიანის, ცივილიზაციის გადარჩენის და კულტურის, როგორც, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გარანტი**

*გაზეთ „საქართველოს" №№15, 18, 19, 20, 21, 22, 23 ნომრებში მკითხველისადმი ჩვენი დაპირების მიხედვით გამოქვეყნდა მასალები მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან თემაზე: „პრეზიდენტობის ინსტიტუტის სრულყოფა, პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდის შექმნა ქართულ პოლიტიკაში", რამაც მკითხველებში დიდი ინტერესი გამოიწვია. კვლავ სიამოვნებით ვუთმობთ გაზეთის ერთ გვერდს პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირის" თავმჯდომარეს, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ქ-ნ ნარგიზ გვალიას ამ რუბრიკის წასაყვანად.*



**ძვირფასო მკითხველო!**

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა თვისებები უნდა გააჩნდეს პოლიტიკურ ლიდერს, უმაღლეს ხელისუფალს. ვისაუბრეთ პოლიტიკურ ლიდერზე, როგორც სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სოციალურ თანხმობის გარანტზე.

**დღეს მინდა შემოგთავაზოთ თემა იმის შესახებ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც იმყოფება ამ ქვეყნის პოლიტიკური პირამიდის უმაღლეს წერტილზე და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესს, სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სოციალური თანხმობის გარანტთან ერთად უნდა იყოს კულტურის, როგორც ადამიანის, ცივილიზაციის გადარჩენის და კულტურის, როგორც, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გარანტი.**

სადღეისოდ კულტურის ფენომენი, მისი შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა და გამოწვეულია კულტურის მნიშვნელობის ამაღლების ობიექტური ტენდენციით როგორც აწმყოში, ასევე მომავალში. **კერძოდ მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის მიჯნაზე მკვეთრად მაღლდება კულტურის, როგორც ადამიანის, ცივილიზაციის გადარჩენის ფაქტორის მნიშვნელობა და კულტურის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ფაქტორის მნიშვნელობა.**

აქ მხედველობაში მაქვს კულტურა, როგორც ფართო გაგებით, ისე ვიწრო გაგებით.

კულტურა ფართო გაგებით მოიცავს:

1. ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს — საზოგადოებრივს, პოლიტიკურს, ბუნების დაცვის კულტურას, შრომის კულტურის საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა: საწარმოო შრომის კულტურა, სამედიცინო კულტურა, ფიზიკური კულტურა, ყოფითი ცხოვრების კულტურა და ა. შ.

2. საკუთრივ კულტურის დარგებს, როგორიცაა: შემოქმედებითი სფერო — მწერლობა, ხელოვნება, კინემატოგრაფია, მხატვრობა, რადიო-ტელევიზია, პრესა, საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო ქსელი.

3. განათლებას.

4. მეცნიერებას.

კულტურა ვიწრო გაგებით მოიცავს მხოლოდ საკუთრივ კულტურის დარგებს.

**რამდენიმე სიტყვა კულტურაზე, როგორც ადამიანის, ცივილიზაციის გადარჩენის ფაქტორზე.**

ანალიზი ადასტურებს, რომ ცივილიზაცია და მსოფლიოს ყველა ქვეყანა გარდამტეხ ეპოქაშია, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის ცვლილებებით ხასიათდება. მატერიალური წარმოების ექსპანსიამ, ინდუსტრიალიზაციამ, ურბანიზაციამ, საქმიანობის ცენტრში კაპიტალის, მოგების წამოწევამ განაპირობა ისეთი ძლიერი ადამიანისეული ზემოქმედება ბუნებაზე, რომ შეიქმნა ეკოლოგიური კატასტროფის, ბუნების წონასწორობის დარღვევის ცალკეული შემთხვევების გაერთიანების, სინთეზის რეალური საფრთხე, რაც, თუ ასე მოხდა, გლობალურ ეკოლოგიურ კატასტროფად გადაიქცევა.

მეორეს მხრივ, ადამიანი უკვე ფლობს ისეთ ძალას, რომელიც (წყალბადის იარაღი, ატომური, ეკოლოგიური იარაღი და ა. შ.) ხშირად აღემატება ბუნების ძალებს და მისი არაგონივრული გამოყენება ცივილიზაციას განადგურებით ემუქრება.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცივი ომის შემდეგ მართალია, ტოტალური მსოფლიო ომი არ ყოფილა, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტები ხშირად იჩენს თავს. ბოლო ათწლეულების მანძილზე მსოფლიოში გაეროს მიერ ორმოცდაათამდე შეიარაღებული კონფლიქტია დაფიქსირებული, სწორედ ამ შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რომლებიც შეიძლება მსოფლიო ომებშიც გადაიზარდოს, კაცობრიობას უამრავი მატერიალური და მორალური ზარალი მოუტანა, მაგრამ უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ ომის პერიოდში ადამიანების ფსიქიკა დეგრადაციას განიცდის. ომი ორივე მხარისათვის საშინელებაა.

და ბოლოს, **თანამედროვე ცივილიზაცია ასტიმულირებს ადამიანის უკიდურეს ინდივიდუალიზმს, გაუცხოებას ბუნებისაგან, თვითონ ადამიანებს შორის, რაც საკუთრივ ადამიანის ფსიქოლოგიური გენოტიპის შეცვლის რეალურ საფრთხეს იწვევს.**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა გლობალური პრობლემაა, ახასიათებს ყველა ქვეყანას მეტ-ნაკლებად და მათი გადაწყვეტა მხოლოდ კაცობრიობის, თითოეული ადამიანის ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება. **მისი გადაწყვეტის ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანესი საშუალებაა რევოლუცია ადამიანში, საკუთრივ ადამიანის სრულყოფა, მისი შინაგანი თვისებების, ხარისხის გაუმჯობესება, უწინარეს ყოვლისა ზნეობრიობის, მორალის, კულტურის, განათლების თვალსაზრისით და ყოველივე ამის საფუძველზე ადამიანის საქმიანობის ჰუმანიზაცია, ჰუმანური, სოციალური, ეკოლოგიური კრიტერიუმებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მინიჭება ნებისმიერი საქმიანობის შეფასებისას და არა წმინდა ეკონომიკური, კაპიტალისა და მოგების გადიდების კრიტერიუმებით უპირატესად ხელმძღვანელობა, როგორც ეს დღემდე უპირატესად ხდებოდა და ხდება.**

**ადამიანის განვითარება, მისი ხარისხის ამაღლება კულტურის, განათლების, მეცნიერების ყოვლისმხრივი განვითარების საფუძველზე არის თანამედროვეობის ყველაზე უფრო მაღალი იმპერატივი, რადგანაც სწორედ ის გვევლინება თვით ადამიანის და საერთოდ, ცივილიზაციის გადარჩენის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.**

**ახლა განვიხილოთ კულტურა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ფაქტორი.**

დადასტურებულია, რომ დღეს წარმოების ეფექტიანობის თვალსაზრისით ე. ი. ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო რეზერვების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ყველაზე უფრო ეფექტიანია კაპიტალდაბანდებები ადამიანში. ეს ეფექტიანობა ათჯერ უფრო მაღალია, ვიდრე კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობა მატერიალურ წარმოებაში. აქედან წმინდა ეკონომიკური მიდგომითაც კი უპირველესი პრიორიტეტია ადამიანის აღწარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული დარგების კომპლექსის განვითარება: აგროსამრეწველო კომპლექსი, განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობა, ინფორმაციული კომპლექსი საერთოდ. შემთხვევითი არ არის, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები დღეს ინფორმაციული საზოგადოებებია და ინფორმაციულ კომპლექსზე განათლების, მეცნიერების და კულტურის ჩათვლით ეროვნული პროდუქტის ნახევარზე, 50%-ზე მეტი მოდის ან დაახლოებით ნახევარი. იგივე შეიძლება ითქვას დასაქმებასთან დაკავშირებითაც. ასევე კარდინალური ცვლილება წარმოების ფაქტორებში და სტრუქტურებში იწვევს სხვა კარდინალურ ცვლილებებს — მენეჯმენტის, ეკონომიკის მართვის წინა პლანზე წამოწევის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და, რაც მთავარია, მენეჯმენტის ჰუმანიზაციის პრობლემის წინ წამოწევას. **მენეჯმენტური მიდგომა მეურნეობრიობისადმი ნიშნავს საქმიანობის ცენტრში ადამიანის, მისი კეთილდღეობის, კულტურის, განათლების, მეცნიერების განვითარებისადმი, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორის — მაღალზნეობრივი პროფესიონალი სპეციალისტების და მენეჯმენტის უზრუნველყოფის საფუძველს.**

ადამიანის მაღალი პროფესიული მომზადება, **მენეჯმენტის მაღალი ხარისხი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მათი მაღალი ზნეობრიობით, ეს კი კულტურის ფენომენია, კულტურის განვითარების შედეგია. ამიტომ კულტურა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება.**

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სწორედ ქვეყნის პრეზიდენტმა, ქვეყნის ხელისუფალმა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების უმაღლეს პოლიტიკურ წერტილზე იმყოფება, თავის უპირველეს საქმედ უნდა გაიხადოს ზრუნვა კულტურაზე, როგორც ადამიანის, ცივილიზაციის გადარჩენის და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელ ფაქტორზე.

სწორედ ასეთი პოლიტიკური ლიდერია სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ქვეყნისა და ხალხზე ზრუნვის, მსოფლიოში სწორი ორიენტირების საიმედო გარანტი.

• • •

ვაგრძელებთ საუბარს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ნიუ-იორკში ახლახან გამოსულ უილიამ ა. დიგრეგორიოს წიგნზე: „ამერიკის პრეზიდენტების სრული შემადგენლობა".

შეგახსენებთ, რომ წიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ამერიკის ერთ-ერთი გამოჩენილი, რიგით 28-ე პრეზიდენტის — ვუდროუ ვილსონის სიტყვები:

„პრეზიდენტს კანონი და სინდისიერება აძლევს შესაძლებლობას რომ გახდეს იმდენად დიდი ადამიანი, რამდენადაც მას შეუძლია; ზღვარი მხოლოდ მისი ნიჭიერებაა".

წიგნში მოცემულია ორი საისტორიო რეიტინგი, რომელიც ჩატარდა 1962 და 1982 წლებში.

1962 წლის რეიტინგის მიხედვით ამერიკის 31 პრეზიდენტი განთავსებულია შემდეგი თანმიმდევრობით: 5 დიდი პრეზიდენტი, 6 თითქმის დიდი პრეზიდენტი, 12 საშუალო პრეზიდენტი, 6 საშუალოზე დაბალი დონის პრეზიდენტი, 2 ცუდი პრეზიდენტი.

გაზეთის წინა ნომრებში (№№19, 21) გამოვაქვეყნეთ ამერიკის 5 დიდი პრეზიდენტის და 6 თითქმის დიდი პრეზიდენტის ფოტოსურათები. ესენია: ამერიკის 5 დიდი პრეზიდენტი:

1. აბრაამ ლინკოლნი
2. ჯორჯ ვაშინგტონი
3. ფრანკლინ დელანო რუზველტი
4. ვუდროუ ვილსონი
5. თომას ჯეფერსონი.

ამერიკის 6 თითქმის დიდი პრეზიდენტია:

1. ენდრიუ ჯექსონი
2. თეოდორ რუზველტი
3. ჯეიმს კ. პოლკი
4. გარი ს. ტრუმენი
5. ჯონ ადამსი
6. გრუვერ კლივლენდი.

დღეს წარმოგიდგენთ 1962 წლის საისტორიო რეიტინგის მიხედვით განთავსებული ამერიკის 12 საშუალო პრეზიდენტს. ესენია:

1. ჯეიმს მედისონი
2. ჯონ ქვინსი ადამსი
3. რეზერფორდ ბ. ჰაიესი
4. ვილიამ მაქკინლი
5. ვილიამ ჰოვარდ ტაფტი
6. მარტინ ვან ბურენი
7. ჯეიმს მონრო
8. ჰერბერტ ჰუვერი
9. ბენჯამინ ჰარისონი
10. ჩესტერ ა. არტური
11. დუაიტ დ. ეიზენჰაუერი
12. ენდრიუ ჯონსონი.

**ნარგიზ გვალია**

გაგრძელება მომდევნო ნომერში



ჯეიმს მედისონი



ჯეიმს მონრო



ჯონ ქვინსი ადამსი



ჰერბერტ ჰუვერი



რეზერფორდ ბ. ჰაიესი



ბენჯამინ ჰარისონი



ვილიამ მაკკინლი



ჩესტერ ა. არტური



ვილიამ ჰოვარდ ტაფტი



დუაიტ დ. ეიზენჰაუერი



მარტინ ვან ბურენი



ენდრიუ ჯონსონი

# საქართველოს სახალხო ფრონტის ათი წლისთავი

სახალხო ფრონტი, როგორც ეროვნული ბრძოლის ფორმა, საქართველოში არ შექმნილა, იგი ბალტიისპირეთში შეიქმნა. მისი დაკანონება საბჭოთა იმპერიაში ბალტიისპირელებმა მოიპოვეს. საქართველომ ეს უკვე ლეგალიზებული ფორმა გამოიყენა და — სულ რამდენიმე თვით, როცა იგი ერთადერთი ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაცია იყო საქართველოში — იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე ფართო კალაპოტად გაიხადა. სახალხო ფრონტს მიაშურა ათიათასობით ადამიანმა — ყველამ, ვისაც სამშობლოს თავისუფლება უნდოდა, მაგრამ გმირული გადაწყვეტილება იატაკქვეშა პარტიაში შესვლისა მიღებული არ ჰქონდა, და ძალიან ბევრმა იმათგანმაც, ვისაც სამშობლოსათვის თავდადების გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და მის შესასრულებლად ორგანიზაციულ ფორმას ეძებდა.

კომუნისტურ ხელისუფლებასაც, რასაკვირველია, კარგად ესმოდა ამ ბალტიისპირული ფორმის წონა და შესაძლებლობა, ამიტომ ეცადა, იგი საკუთარი შინაარსით შეევსო. მის მიერ სანქცირებული ნაწილი სახალხო ფრონტის შექმნის აქტივისტებისა მოითხოვდა, რომ სამოქმედო პროგრამაში არ ყოფილიყო პუნქტი საქართველოს დამოუკიდებლობის, ანუ სსრკ-დან გამოსვლის შესახებ, მაგრამ ეროვნულმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა, საქართველოს დამოუკიდებლობა პროგრამის ძირითად პუნქტად და სახალხო ფრონტის ძირითად მიზნად გამოცხადდა.

სახალხო ფრონტის პირველი დამფუძნებელი ყრილობა ტარდებოდა 1988 წლის 28 ნოემბერს, მთავრობის სახლის წინ მიმდინარე აქციის დროს. ვერ ჩატარდა! კინოს სახლის დარბაზი წინასწარ გაივსო სუკის აგენტურით, რომელიც ფეხების ბაკუნითა და ღრიალით ლამობდა შეკრების გეზი შეეცვალა და შეკრე-



27 მაისი. 1990 წ. საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა

ბილი საზოგადოებისათვის ერთი კარგად ცნობილი, მაგრამ ხელისუფლებასთან ზედმეტად დაახლოებული მოღვაწის ფიგურა შეეთავაზებინა იდეურ ლიდერად და მესაჭედ. შეკრება ჩაიშალა და განახლდა მხოლოდ 1989 წლის 20 ივნისს, როცა 9 აპრილის ტრაგედია უკვე ორი თვის მომხდარი იყო, თბილისის ფილარმონიაში. ყრილობის დამთავრების დღე — 24 ივნისი — ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ქვემო ქართლში დაწყებული შეიარაღებული აქციის პირველი დღე იყო. სახალხო ფრონტი აქტიურად ჩაება ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში, მკლავითა და გონებით. მის მიერ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის დიდად წარმომადგენლობითი დელეგაციის მოწვევამ დიდი წვლილი დასდო პროვოკაციის ჩაქრობას და მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ არეალში (დელეგაციის შემადგენლობაში იყო აზერბაიჯანის მომავალი პრეზიდენტი ელჩიბეიც).

სახალხო ფრონტმა იხსნა საქართველო მასობრივი მოწამვლისაგან რადიაციული ხორცით, რომელიც „ცენტრმა" ჩვენს ქვეყანას გამოუგზავნა მისი თავისუფლებისმოყვარეობისათვის ანგარიშსწორების მიზნით (317,8 ტონა). ამ აქციაში მისი სიგნალის შემდეგ საქართველოს სხვა ეროვნული პარტიებიც გაერთიანდნენ, სახალხო ფრონტმა მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს სსრკ-ში ყოფნის უკანონობის პირველ აღიარებას — საქ. სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებას, რომლის თანახმადაც საქართველო ფაქტობრივად ანექსირებული ქვეყანაა. სახალხო ფრონტმა ალალად ზიდა საქართველოს შინაგანი ომების ტვირთი — რა თქმა უნდა, სამოქალაქო ომის გარდა, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიუღია და ვერ მიიღებდა — და საქართველოს მიწა-წყლის დაცვას არაერთი მისი წევრის სიცოცხლე შეეწირა, ღმერთმა ნათელში ამყოფოთ მათი სული. ღმერთმა გაუმარჯოს მათ საქმეს ამქვეყნად და უკვდავყოს მათი ხსოვნა იმქვეყნად.

სახალხო ფრონტს ბევრი მტრობა, ბევრი უგნურება, შური და მტრობა დაჰხვდა წინ, მითუმეტეს — მრავალი ფარული პროვოკაცია, რომლითაც მოწინააღმდეგე, ჩემი პირადი შთაბეჭდილებით, მას უფრო მეტად უმიზნებდა, ვიდრე რომელსამე სხვა პარტიას. ჰქონდა არა მცირე სასინანულოც, რაც მუდმივად რჩება ყოველი ჩვენგანის გულში. მისწრაფება პარტიული ან, მით უმეტეს, პირადი ინტერესის დაცვისკენ ზოგადეროვნული ინტერესის საზარალოდ არასოდეს ჰქონია, თუმცა ცდუნება ყოველთვის მრავლად იყო და ამ ცდუნებამ ჩვენი შემადგენლობა არაერთხელ გაცხრილა.

ის ამოცანები, რომლებიც მტრის მიერ ოკუპირებულ საქართველოს მაშინ ჰქონდა, ახლაც ძალაშია იურიდიული ამოცანის — დამოუკიდებლობის — გარდა. მთავარი საბრძოლველი ჯერ კიდევ წინაა და ამ ბრძოლაში გამარჯვებას უნდა მივაღწიოთ.

**ნოდარ ნათაძე**

მეოთხე გვერდიდან

# დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ...



ებრძვის ისლამურ სამყაროს. მაგრამ ისლამურმა სამყარომ საქართველო ვერ დაამარცხა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზიანი მიაყენა: წაართვა ტერიტორია — ე.წ. „თურქეთის საქართველო". გაამუსლიმა მოსახლეობის ერთი ნაწილი.

საუკუნეების მანძილზე მუსლიმური სამყაროს სამი ბურჯი — არაბეთი, სპარსეთი, თურქეთი — ეომებოდა საქართველოს. იპყრობდნენ, არბევდნენ, აწიოკებდნენ, ჟუჟავდნენ, მაგრამ საქართველო მაინც არსებობს. საქართველოს ისტორია და არსებობა ბრძოლას ნიშნავს, უსასრულო, გაუთავებელ ბრძოლას. საქართველოს არსებობა მაშინ შეწყდება, თუ მან ბრძოლას დაანება თავი. თუ თეიმურაზ ხევისთავის კაცთმოყვარეობა ამოიჩემა და დაუძინებელ მტრებს „მარადიული" ძმობა შესთავაზა. თუ დაავიწყდება ვაჟას უკვდავი ანდერძი: „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა".

თუ გონივრულად და ჭკუით მოვიქცევით, არც ვაჰაბიზმია საფრთხე და არც სექტები. ისევ ისტორიას მივმართოთ. 70 წელიწადი მძვინვარებდა საქართველოში ათეიზმი. მერე როგორი ათეიზმი! არაფერს რომ არ ინდობდა. ეკლესიებს ანგრევდა, წვავდა, ანადგურებდა. სასულიერო პირებს იჭერდნენ, კატორღაში ასახლებდნენ, ხვრეტდნენ, ხოცავდნენ.. სადღაა ეს მძვინვარე კომუნისტური ათეიზმი ახლა? სამუდამოდ გაქრა. ყოფილი კომკავშირელ-კომუნისტი ათეისტები ახლა ხატებს ეთაყვანებიან, გულზე ჯვრებს იკიდებენ და ეკლესიებში დარბიან. თუ წინათ თოფითა და ტყვიით დასდევდნენ მორწმუნეებს, ახლა მათ გვერდით დგანან და რწმენის სიმტკიცეში ეჯიბრებიან. ერთჯვრიანი დროშა არ ყოფნით და გულში ხელის ბრაგუნით გაიძახიან — ხუთჯვრიანი გვინდაო.

კომუნისტური ათეიზმისა და ქრისტიანობის 70-წლიანი ბრძოლა ქრისტიანობის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

რომელი სექტა შეედრება თავისი ძალით კომუნისტურ ათეიზმს? ვერცერთი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სექტის უკან მდიდარი და მძლავრი ორგანიზაცია დგას, რომელიც ფულს არ ზოგავს მრევლის გასამრავლებლად.

დღევანდელ საქართველოში სექტების სიმრავლე გასაკვირი არ უნდა იყოს. 70 წლის განმავლობაში ხალხის გრძნობა და გონება მხოლოდ ათეიზმს ეჭირა. სხვა რამ მისთვის არ არსებობდა. აკრძალული იყო. ახლა ათეიზმი გაქრა. ხალხის გრძნობა და გონება დაცარიელდა. ცარიელი ადგილი რაღაცამ უნდა დაიკავოს და ნაირნაირი რელიგიური მიმდინარეობანი ღია კარებში შემოიჭრნენ, ცარიელი ადგილი დაიკავეს. ამას დაემატა ნივთიერი სიდუხჭირე. ხალხს უჭირს. ლუკმა-პურზე ოცნებობს. ამით სარგებლობს ამა თუ იმ სექტის წარმომადგენელი. დაბნეულ და გაჭირვებულ ადამიანს სთავაზობს დახმარებას, ფინანსურ ხელშეწყობას, ზრუნვას. ეს საუკუნეებით გამოცდილი ხერხებია ადამიანთა გადაბირების.

უკვე გითხარით, რომ საქართველოს არსებობა ბრძოლას ნიშნავს-მეთქი, ბრძოლა გრძელდება. ქართველს არსებობა თუ უნდა, ბრძოლა უნდა მოიგოს.

**— უნდა იჯდეს თუ არა ინტელიგენცია ხელმწიფის ნავში?**

— თუ შეიძლება მეც ვიკითხავ: თვითონ ხელმწიფე ინტელიგენტი არ არის? მეეჭვება, ესპანეთში დღეს ბევრი იყოს ისეთი დახვეწილი ინტელიგენტი, როგორიც მეფე ხუან-კარლოსია. განა ინტელიგენტობამ მას ხელი უნდა შეუშალოს ქვეყნის მართვაში ანდა ესპანელმა ინტელექტუალებმა მას ზურგი უნდა შეაქციონ, რაკი ხელმწიფეა?

მე მესმის, რასაც გულისხმობთ. ამიტომ, ხელმწიფეს გააჩნია. დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ გიორგი მეთორმეტის ნავში — არა. იმაზეც ბევრია დამოკიდებული, თავად ინტელიგენტი რას წარმოადგენს. არიან ადამიანები, რომელთაც ხელმწიფის ნავში ჯდომით ქვეყნისა და ხალხისათვის დიდი სიკეთის გაკეთება შეუძლიათ. არიან ადამიანები, რომელნიც ხელმწიფის ნავში ჯდომით ბოროტების მეტს არაფერს მოიმოქმედებენ. ამიტომ რაღაც ერთი საზომის ამოჩემება არ გამოდგება. იმით უნდა გავზომოთ, რას აკეთებს ესა თუ ის კაცი და არა იმით — სად ზის. შალვა ნუცუბიძემ თქვა ერთხელ ლექციაზე: საქმე ის კი არ არის, თავზე რა გახურავს, არამედ თავში რა გაქვს. საქმე ის კი არ არის, ტანზე რა გაცვია, არამედ გულში რა გაქვს. ამ ბჭობას თუ გავაგრძელებთ, შეიძლება ითქვას: საქმე ის კი არ არის, სად ზიხარ, არამედ, რას აკეთებ.

**— თქვენეული პროგნოზი მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისა.**

— პროგნოზირება უმადური საქმეა, მაგრამ, რაკი კითხვა დაისვა, გიპასუხებთ: გაიმარჯვებენ მოქალაქეთა კავშირი და ედ. შევარდნაძე. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოქალაქეთა კავშირი და ედ. შევარდნაძე ამჟამად გაბატონებული ძალაა და შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ არჩევნების პროცესზე, გააყალბონ მისი შედეგები, არა. მოქალაქეთა კავშირმა და ედ. შევარდნაძემ ყურიც რომ არ გააბარტყუნონ, ხალხი მაინც მათ აირჩევს. შევეცდები ავხსნა — რატომ.

ჯერ ერთი, ქართველმა არ იცის, რა არის არჩევნები, რა პოლიტიკური იარაღია იგი და როგორ უნდა გამოიყენოს. ან საიდან უნდა იცოდეს. ქართველს არასოდეს უცხოვრია დემოკრატიის ვითარებაში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ბედს არჩევნები წყვეტს. ამიტომ ქართველი ამომრჩევლის მართვა ძალიან იოლია. როგორი შედეგიც გინდა, ისეთ შედეგს მიიღებ მისგან.

მეორეც, ქართველი ხელისუფლებაში ყოფნას არ უყურებს, როგორც ქვეყნისა და ხალხის მსახურებას, როგორც მძიმე მოვალეობას და ტვირთს. ხელისუფლებაში ყოფნა ქართველისათვის ნიშნავს ბევრი ფულის შოვნას და პირადი კეთილდღეობის მოწყობას. რაკი ასე მიაჩნია, ახალს ძველი გულწრფელად ურჩევნია. დარწმუნებულია: ძველს თავის საქმე უკვე მოკვარახჭინებული აქვს. რაც წასაღები იყო, წაღებული აქვს. გამძღარია. მისი სიხარბე, ნაწილობრივ მაინც, დამშვიდებულია, ახალმა კი ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. გამგელებული უნდა ეცეს ქვეყნისა და ხალხის ქონებას. რაც მისათვისებელია, უნდა მიითვისოს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ძველის, გამძღარ-დამშვიდებულის, არჩევა სჯობს ახლის, მშიერ-გამგელებულის არჩევას.

მესამეც, პარტიები იდეისათვის არ იბრძვიან. იბრძვიან პარლამენტში ადგილის მოსაპოვებლად. პარლამენტში მოსახვედრად კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ედ. შევარდნაძის კეთილგანწყობილება. ამიტომ, არჩევნების დროს, პარტიები ერთმანეთს უფრო ჩაძირავენ, ვიდრე მოქალაქეთა კავშირს.

მეოთხეც, ოპოზიციურ პარტიათა შორის მეტი წინააღმდეგობაა, ვიდრე რომელიმე ოპოზიციურ პარტიასა და მოქალაქეთა კავშირს შორის. ამის გამო ოპოზიციური პარტიები ვერ გაერთიანდებიან. ცალ-ცალკე კი ისინი მოქალაქეთა კავშირს ვერ დაამარცხებენ. ოპოზიციურ პარტიათა შორის შინაგანი წინააღმდეგობის გამოყენება მოქალაქეთა კავშირმა კარგად იცის. მოქალაქეთა კავშირის ძირითადი ნაწილი ძველი კომუნისტები და კომკავშირლებია. მართალია, კონიუნქტურული მოსაზრებით მათ კომუნისტურ იდეას ზურგი შეაქციეს, მაგრამ კომუნისტურ-კომკავშირული ინტრიგები, ხრიკები და ფანდები დავიწყებისათვის არ მიუციათ. სამწუხაროდ, ამას ხალხი ვერ ამჩნევს.

მეხუთეც, საქართველოში არსებობს პოლიტიკური მირაჟი — მოქალაქეთა კავშირი და ედ. შევარდნაძე ხალხს არ უყვარს. მწარე შეცდომაა და თავისთავის მოტყუება. უყვარს და ძალიანაც. ცალკეულ ადამიანთა ანდა ადამიანთა მთელი ჯგუფების წუწუნი, ლანძღვა-გინება, უკმაყოფილება ვითარებას არ ცვლის. ხომ გაგიგონიათ, ზოგჯერ გაბრაზებული დედა შვილს როგორ წყევლის — რატომ მუცელში არ გამიწყალდი, შენ მომიკვდი, შენ არ დასარჩენო და სხვა, — მაგრამ ეს ხომ ნამდვილი წყევლა არ არის. ამ სიტყვებში მეტი სიყვარულია, ვიდრე სიძულვილი. ამიტომ სიტყვებმა არ უნდა შეგვაცდინონ. საქმით კი მოქალაქეთა კავშირისა და ედ. შევარდნაძის სიძულვილი (ლიანგის მხრით და არა ცალკეულ მოქალაქეთა მხრიდან) არ გამომჟღავნებულა.

ერთი სიტყვით, ასე ვფიქრობ, თუ შევცდები და გავმტყუნდები, ძალიან გამიხარდება.

**ამრიტა ჯანაშია**

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენებით ხდებოდეს საქართველოს მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა სურსათით გამოკვება.

4. საქართველოს მიწის ოპტიმალური გამოყენების მიზნით მისით სარგებლობაში თავისუფალი ეკონომიკის მექანიზმებისათვის მოქმედების სრული თავისუფლების უზრუნველყოფა ზემოხსენებული შეზღუდვის გარდა.

## ეკონომიკური პოლიტიკის არსებული მდგომარეობა

ეკონომიკის აუცილებელი რეფორმირების ფონზე და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ საბაზრო ეკონომიკის შექმნის საჭიროების შეგნების, ამ ამოცანის გადაჭრისადმი ხალხის მძლავრი მისწრაფების პირობებში ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი წინასწარგანზრახული მოქმედების და კორუფციის შედეგად საქართველოში ფაქტობრივად მოხდა სამეურნეო საქმიანობის უმთავრესი დარგების ან ჩახშობა, ან მონოპოლიზაცია სახელმწიფო სტრუქტურებთან შეზრდილი მაფიების მიერ.

ხელისუფლებამ არ აირჩია ქვეყნის ეკონომიკური რეფორმირების ოპტიმალური კურსი, არ განახორციელა რაციონალური საპრივატიზაციო პოლიტიკა, არ შექმნა სრულფასოვანი საგადასახადო და საბაჟო სისტემები, აღორძინების და განვითარების ნაცვლად მან ჩაკლა ეროვნული წარმოება. საქართველოს წარმოებამ დაკარგა ბაზარი არა მხოლოდ უცხოეთში, არამედ ქვეყნის შიგნითაც. საქართველოს ბაზარი იაფფასიანი კონტრაბანდული გზით შემოსული დაბალი ხარისხის უცხოური პროდუქციის ხელშია. ეროვნული მუშახელი დაუსაქმებელია. უმუშევრობა მოსახლეობის 70%-ს აჭარბებს. 800000-მდე თანამემამულე უცხოეთშია გადახიზნული სამუშაოს საძებრად. განუხრელად იზრდება ქვეყნის საგარეო ვალები. მათმა რაოდენობამ მიაღწია ორ მილიარდ დოლარს, რაც ერთ სულ მოსახლეზე 400 დოლარს აჭარბებს. მთავრობის მოქმედება მათ გახარჯვაში არ არის გამჭვირვალე. მოსახლეობა ვერ ხედავს, რას რა თანხა ხმარდება და რა მიდის უკანონოდ კერძო პირთა და მოხელეთა ხელში.

კორუფცია განუყოფლად გაბატონებულია ყველა სფეროში და ყველა დონეზე, მის წინააღმდეგ ბრძოლა მოჩვენებითია. პირიქით, ხელისუფლების მხრიდან მისი სტიმულირება ხდება. ჩამოყალიბებულია ჩრდილოვანი, ანუ სახელმწიფო გადასახადებისაგან დამალული, ეკონომიკის განშტოებული სისტემა. ვერ ჩამოყალიბდა საშუალო კლასი — ყოველი ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების საყრდენი. თვალში საცემია საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაცია: მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობა ფლობს ქვეყნის შემოსავლის უდიდეს ნაწილს, მრავალრიცხოვანი ნაწილი შიმშილობს.

სახელმწიფო ხაზინის ძარცვა შეუფერხებლად მიმდინარეობს. იკრიბება გადასახადების მხოლოდ [illegible]

## 1. საქართველოსთვის მიზანშეწონილი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები

[illegible]

## 2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პროგრამა

### (ძირითადი მიმართულებები და ღონისძიებები)

[illegible]

ა). გრძელვადიანი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები

[illegible]

ბ). სრულყოფილი ფასწარმოქმნის მექანიზმის შემუშავება

[illegible]

გ). ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

[illegible]

დ). [illegible] საინვესტიციო პოლიტიკა

[illegible]

ე). სოციალური პოლიტიკა

[illegible]

ვ). მოხდეს მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება
ამ მიზნით აუცილებელია:

— პრივატიზირებულ საწარმოთა საქმიანობის ანალიზი და პრივატიზირებული საწარმოების ინსპექცია;

— ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ფარგლებში მეწარმეობის ხელშეწყობის ინსტიტუტების ფორმირება და განვითარება;

— სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი აქციათა პაკეტის მართვის სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება;

— მცირე საწარმოებისათვის შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის ფორმირება და შესაბამისი საგარანტიო ფორმების შექმნა;

— სპეციალური სახელმწიფო ფონდის შექმნა დამწყებ მეწარმეთა ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით;

— უცხოური ტექნიკური დახმარებების კონტროლისა და კოორდინაციის მექანიზმის შემუშავება.

ზ). საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფა
აუცილებელია:

— დსთ-ს ფარგლებში დადებული ეკონომიკური შეთანხმებების ინსპექცია;

— საერთაშორისო და შიდა ბაზრების კონიუნქტურის სისტემური შესწავლა, სათანადო ინფორმაციული ბანკების ფორმირება, შესაბამისი მონაცემების და ანალიტიკური მიმოხილვის პერიოდული გამოქვეყნება;

— წარმოების მოდერნიზაცია უახლესი ტექნოლოგიებით, საექსპორტო პროდუქციის თვისობრივი გაუმჯობესება, პროდუქციის ახალი სახეობების ათვისება;

— საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოსათვის მინიჭებული პრეფერენციების ეფექტური გამოყენება;

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად ღონისძიებების დაჩქარება;

— სატრანსპორტო, ტურისტული, საბანკო, სავაჭრო-საშუამავლო მომსახურების ექსპორტის მაქსიმალური განვითარება.

თ). მოხდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ინსპექცია
(ვინაიდან პარლამენტისა და მთავრობის მიერ მიღებული იქნა, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ისეთი განკარგულებები, ბრძანებები და ბრძანებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს ეკონომიკის ინტერესებს. მაგალითად, ნათვობპროდუქტებზე „ლოტების წესის" შემოღება, რაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველია).

ი). შემუშავდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მკაცრი პოლიტიკა

კ). საერთო ეკონომიკური პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ კონკრეტულ ღონისძიებებს:

კა) „საქართველოს ენერგეტიკა"
პროგრამა უნდა მოიცავდეს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის რეაბილიტაციას, პრიორიტეტების დადგენას.

სათბობ-ენერგეტიკული პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების წილის ოდენობას. წილის განსაზღვრის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივ ინვესტორებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადახედვას მოითხოვს დღევანდელი წილობრივი გადანაწილება სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში.

კბ) „ოქრო"
განისაზღვროს ოქროს რეალური შემცველობა საქართველოს საბადოებზე.

მადნეულის ოქროსშემცველი კვარციტების გადამუშავებასთან დაკავშირებით, შემოწმდეს მოგების წილობრივი განაწილება და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება.

კგ) „მანგანუმი"
შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ შეღავათიანი კრედიტის გამოყოფას, რომელიც მიმართული იქნება მანგანუმის მადნის ელექტროქიმიური და ქიმიური გადამუშავებით ძვირადღირებული, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მანგანუმისა და მანგანუმის სხვადასხვა ნაერთების, მშრალი გალვანური ელემენტების წარმოების განვითარებისაკენ.

კდ) „ბაზალტი"
ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ძებნა, რომლებიც განახორციელებენ ინვესტიციების დაბანდებას ისეთ საქმიანობაში, როგორიცაა: ბაზალტების კვლევა ბოჭკოვანი მასალების მიღებისა და მათ საფუძველზე თბოსაიზოლაციო ნაკეთობების, კომპოზიციური მასალების წარმოების მიზნით, შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება.

კე) „ტუფი", „გრანიტი", „მარმარილო"
მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობენ. საქართველოს ხელისუფლებამ სრული კონტროლი უნდა დააწესოს მათ დამუშავებაზე და გატანაზე. სასურველია დიდი საბადოები სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მოექცნენ.

კვ) „ფერადი მეტალურგია", „დარიშხანი"
საქართველოს ეროვნული სიმდიდრის-ლუხუნის დარიშხან-შემცველი მადნების ბაზაზე შეკრული ციკლით გალიუმ-არსენიდის წარმოება, ელექტრონული ხელსაწყოების შექმნა და მათი სერიული გამოშვება, შესაბამისი დარგების (ქიმიური, ელექტრონული, მანქანათმშენებლობა და სხვა) განვითარება.

ორიენტაცია მხოლოდ არსებული სანედლეულო ბაზების ფარგლებში განვითარებაზე, რისთვისაც აუცილებელია ჩატარებული გეოლოგიურ-საძიებო, ტექნოლოგიური და გეოლოგიურ-ეკონომიკური სამუშაოების ინსპექცია.

კზ) „ელექტრონიკა და ელექტრონული ხელსაწყოები"
განსაკუთრებით გერმანიის ან იაპონიის ინვესტორების მოზიდვა.

არსი: ენერგეტიკის, თავდაცვის, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის უნდა შეიქმნას სამამულო ელექტრონული ტექნიკა.

ბაზა: სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „მიონი", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სხვანი.

კთ) „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მცირე ქარხნებისათვის მოწყობილობის შექმნა"
გამოცხადებულ იქნას საერთაშორისო ტენდერი.

ტენდერის პირობები უნდა ითვალისწინებდეს მაღალხარისხიანი სპეციალიზირებული ტექნოლოგიური მოწყობილობის შექმნას რძის, ხორცის, ციტრუსების, ხილ-ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებისათვის, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მცირე ქარხნებისა და საამქროების მიერ, აგრეთვე ფერმერულ და ინდივიდუალურ მეურნეობაში.

ტენდერში გამარჯვებულის მოწყობილობები გრძელვადიანი იჯარით გამოსყიდვის უფლებით შეეთავაზოს საქართველოს მეურნე სუბიექტებს.

კი) „მცირე ქიმია"
როგორც საქართველოს სახელმწიფო დაფინანსების, ისე საერთაშორისო კრედიტების საფუძველზე, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით დამზადდეს სასოფლო-სამეურნეო და ქიმიური ფარმაცევტული პრეპარატები.

კკ) „შაქარი"
ინვესტიციების მოზიდვის და ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე საქართველოში შაქარზე მოთხოვნილებასა და წარმოებას შორის არსებული დისპროპორციის შერბილება. ასევე, მეცნიერული პოტენციალის გამოყენებით უმოკლეს ვადაში გამოვლენილ იქნას შაქრის წარმოების რეზერვები. მოხდეს არატრადიციული ნედლეულის რესურსების გამოვლენა მათი სამრეწველო ათვისების მიზნით.

კლ) „მარცვალი"
ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ადგილობრივი მარცვლეულის წარმოების გაზრდა 3 მილიონ ტონამდე. ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ფერმერების დაცვის პროგრამა. (პროდუქციის გარანტირებული შესყიდვის ჩათვლით). შესაძლებელია აშშ-ში არსებული მაგალითის გამოყენება.

კმ) „მელიორაცია და წყალთა მეურნეობა"
შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა სარწყავი და დაშრობილი მიწების და საირიგაციო სისტემების მელიორაციული და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გამოიყოს ფულადი სახსრები წყალდიდობების და ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ღონისძიებების განსახორციელებლად.

კნ) „მეცხვარეობის განვითარება"
შემუშავდეს კანონი „მეცხვარეობის დარგის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ".

კო) „სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება"
განხორციელდეს მცენარეებისათვის მინერალური სასუქების დოზების, მათი ნიადაგში შეტანის ჯერადობის კონტროლი.

კპ) „ბავშვთა კვება"
საქართველო განიცდის ბავშვთა კვების ადგილობრივი პროდუქტების მწვავე დეფიციტს. საზღვარგარეთიდან შემოსული ბავშვთა საკვები ძვირადღირებულია და დაბალი ხარისხისაა. ამდენად, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშაოს პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეღავათები იმ ადგილობრივი მეურნე სუბიექტების მიმართ, ვინც აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა ბავშვთა კვების პროდუქტს.

კჟ) „ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ავტომაგისტრალი"
საჭიროა განისაზღვროს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ავტომაგისტრალის სრული ამოქმედების შემთხვევაში შესაძლო ეკოლოგიური ზარალი. მოხდეს სათანადო დამცავი ღონისძიებების გატარება.

კრ) „საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის განვითარება"
გამოიძებნოს სახსრები მთაგორიანი რაიონების ინფრასტრუქტურის ძირითადი დარგების ძნელად მისასვლელი ობიექტების სატრანსპორტო უზრუნველყოფისათვის.

მოსალოდნელი ეფექტი: ტურიზმის განვითარება და სავალუტო შემოსავლების ზრდა, მოსახლეობის დამაგრება ადგილზე.

კს) „შავი ზღვის აუზის რესურსების ათვისება და რეგიონის მდგრადი განვითარება"
„ბისეკის" წევრ ქვეყნების ჩართვა შავი ზღვის აკვატორიის და აუზის ხმელეთის ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაციის ამოცანაში.

აუცილებელია შავი ზღვის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის ძირითადი გზების დასახვა, რაც საჭიროებს როგორც სამეურნეო-საორგანიზაციო, ასევე სამეცნიერო სამუშაოების ღონისძიებების დასახვას.

კტ) „მოსახლეობის სასმელი წყლით, თბო, გაზ- და ელმომარაგებით უზრუნველყოფა"
საქართველოს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებების კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება. მისი ქვედარგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების, აგრეთვე საწარმოების და ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობით.

კუ) „საქართველოს წყლის რესურსების დაცვა დაბინძურებისაგან"
სახელმწიფო ფინანსური ხარჯებით ინფექციური და სხვა დაავადებების საწინააღმდეგოდ სპეციალური დანადგარების და სხვა გამწმენდი საშუალებების შეძენა.

კფ) „საქართველოს ტერიტორიაზე შავი და კასპიის ზღვების აუზების გაჭუჭყიანებისაგან დაცვა"
საქართველოს ხელისუფლების მიერ ფინანსური სახსრების გამოყოფა ქვეყნის ტერიტორიაზე შავი და კასპიის ზღვების აუზების მდინარეებისა და წყალსატევების სამეურნეო და ფეკალური წყლებით გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით. ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში შესაბამისი ნაგებობების ქსელის მშენებლობა.

კქ) „საქართველოს მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა"
შემუშავდეს ღონისძიებები საქართველოს მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების დაცვის მიზნით:

— რადიაციული კონტროლის განსახორციელებლად საბაჟოებზე;

— სსრკ-ს დროინდელი რადიო-იზოტოპური ხელსაწყოების ნარჩენების საქართველოდან გასატანად;

— საქართველოში რადიაციული ფონის შესასწავლად და ჩერნობილის ავარიის შედეგების ლიკვიდაციისათვის;

— სათანადო აპარატურული და მეთოდოლოგიური აღჭურვილობის მქონე საკონტროლო-საზომი პუნქტების და ზონალური ლაბორატორიების შესაქმნელად მეზობელ ქვეყნებში ატომურ ელექტროსადგურებში შესაძლო ავარიების დროს.

კღ) „სამშენებლო ინდუსტრია"
სამოქალაქო, სამრეწველო და საგზაო სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით. საქართველო პრაქტიკულად მთლიანად უზრუნველყოფილია სხვადასხვა ტიპის საშენი, ინერტული და მეტალურგიული რესურსებით.

კყ) „მინერალური და სასმელი წყლები"
მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე (არაბეთი და მთელი რიგი აზიის ქვეყნები), საქართველომ უნდა შეიმუშაოს მინერალური და სასმელი წყლების ათვისებისა და მათი გაყიდვის სახელმწიფო პროგრამა.

კშ) „თევზის მრეწველობა"
თევზის მრეწველობის განვითარება. შავ ზღვასა და შიდა წყალსატევებში თევზის რეწვის აღდგენა 1988 წლის მდგომარეობამდე და პროდუქციის ფართო ასორტიმენტით დამზადება (დამარილებული, შებოლილი, ცოცხალი, ტომატის წვენსა და ზეთში დაკონსერვებული, თევზის ფქვილი) რეალიზაციის მიზნით, როგორც შიდა ბაზარზე, ასევე ექსპორტის გზით.

# გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

## პროგრამა
(პროექტი)

### დარეგულირება აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში /ძირითადი ხაზები/

**I. შეუვალი იურიდიული თავდაცვა**

[illegible]

**II. რუსეთის შეიარაღებული და სხვა სახის ჩარევის ბლოკირება**

[illegible]

**III. რუსეთის შეიარაღებული ძალებისაგან და დივერსანტებისაგან საქართველოს შეიარაღებული ძალების ზურგის გამოჩენა**

[illegible]

**IV. ნაგებული „საპროპაგანდო ომის" განახლება და მოგება**

[illegible]

**V. შეიარაღებული ძალების შექმნა**

[illegible]

**VI. საქართველოს გამოსვლა „ენგურ"-ში**

[illegible]

**VII. რუსეთიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება**

[illegible]

### საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრინციპები

[illegible]

### სახელმწიფო მოწყობა

[illegible]

### სექტანტებთან ბრძოლა

[illegible]

### ადგილობრივი თვითმმართველობა

[illegible]

### ეროვნება

[illegible]

### კულტურის პოლიტიკა

[illegible]

### ჯანდაცვა

[illegible]

### დემოგრაფია

[illegible]

### მესხეთის პრობლემა

— საქართველოდან არაა პასუხისმგებელი 1944 წელს ჩადენილ დანაშაულზე — მესხეთის მუსლიმანი მოსახლეობის [illegible]

[illegible]

### ეკოლოგია

— ეკოლოგიური უსაფრთხოება სახელმწიფო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. საქართველოს ეკონომიკის არსებული სტრუქტურა (მრეწველობის ნაკლებობა) და სასურველი პერსპექტივა (აქცენტი გონებატევად და მეცნიერებატევად დარგებზე) საშუალებას იძლევა საქართველოში სავსებით ჯანსაღი ეკოლოგიური ვითარების შექმნისათვის. ამისათვის საჭიროა ერთიანი მუდმივი სამსახურის დაარსება საქართველოზე ყოველგვარი ზემოქმედების დასაფიქსირებლად და მასთან საბრძოლველად.

— საჭიროა ეკოლოგიური კონტროლის, ლიცენზირების და სერტიფიცირების ერთიანი სახელმწიფო პასუხისმგებელი სისტემის შექმნა და უმკაცრესი მატერიალური და სისხლის სამართლის სანქციების შემოღება. ეკოლოგიური მიმართულებით საზოგადოებრივი საქმიანობის სტიმულირება.

### ინფორმაციული ბრძოლა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ევალება მუდმივი მოხსენება არა მარტო ხელისუფლებისათვის, არამედ საზოგადოებრიობისთვისაც საინფორმაციო ბრძოლაში არსებული მდგომარეობის შესახებ; მოსახლეობისაგან მასალების, მოსაზრებების, არგუმენტების მუდმივი მიღება, უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებზე გასვლის წინადადებათა ჩათვლით. სახელმწიფოს მოვალეობაა ყველა შესაძლო საშუალებათა გამოყენება საინფორმაციო ომის საწარმოებლად და მუდმივი ანგარიშგება საზოგადოების წინაშე.

### საინგილო და სხვა რეგიონები

— საქართველოს გარეთ მაცხოვრებელ ქართველებთან ურთიერთობის ორგანიზება, მათთან მუშაობის ოპტიმალური მეთოდების განსაზღვრა და გამოყენება. მთავრობებთან მუდმივი კონტაქტი მათი მდგომარეობის თაობაზე და შესაბამისი სახელმწიფოების მიმართ პოლიტიკის წარმართვაში ამ ქართველი მოსახლეობისადმი მათი დამოკიდებულების გათვალისწინება. სპეციალური სახელმწიფო უწყების შექმნა ამ მიზნისათვის.

### ნარკობიზნესთან და ნარკომანიასთან ბრძოლა

— ნარკობიზნესის წინაალმდეგ კანონმდებლობის გამკაცრება.
— ნარკომანიის მკურნალობის სისტემის სრულყოფა და პროფილაქტიკა.
— მუდმივი საპარლამენტო კომისიის შექმნა საზოგადოების წინაშე პერიოდული ანგარიშგების გათვალისწინებით.
— საპროპაგანდო ბრძოლა მეცნიერული ინფორმაციის ფართო გამოყენებით.
— პარალელური მოქმედება როგორც ადგილობრივი პოლიციის ხაზით, ისე საგანგებო ზომების ხაზით. საზოგადოების წინაშე საჯარო პერიოდული ანგარიშგება შექმნილ მდგომარეობაზე.

### განათლება

— სკოლამდელი და საყოველთაო საშუალო განათლება სახელმწიფო ხარჯზე.
— საშუალო განათლების ორიენტაცია ფუნდამენტურ მეცნიერებაზე, ანუ განათლების გაგრძელებისა და გაღრმავებისაკენ ახალგაზრდების მისწრაფებაზე.
— პროფესიული (დარგობრივი) ცოდნის მინიმუმის მიცემა სკოლაში (არჩევით).
— პროფესიული საშუალო განათლების სისტემის შექმნის ხელშეწყობა (სახელმწიფოსი და კერძოსი).
— უმაღლესი და საშუალო კერძო სასწავლებლების ფუნქციობა. მათში სწავლა ა) უფასო; ბ) ფასიანი (მთლიან ან ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსებით) და გ) ფასიანი (მთლიანად კერძო დაფინანსებით).
დ) უშეღავათობა ატესტატებისა და დიპლომების გაცემაში, აგრეთვე კომერციულ სასწავლებელთა ლიცენზირებაში. სახელმწიფო სერტიფიკაციის პრინციპის გავრცელება მთელ სისტემაზე ტესტირების ფართო გამოყენებით.
ე) განათლების სისტემაში მექრთამეობის რადიკალური აღმოფხვრა (კანონმდებლობის გამკაცრებით და კონტროლის ეფექტიანობის გაზრდით).
ვ) პროგრამების ძირეული გადახალისება საშუალო სკოლაში.

### შეიარაღებული ძალების მშენებლობა

I. შეიარაღებული ძალების საფუძველია საყოველთაო სათავდაცვო ვალდებულებაზე აგებული განწვევით დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალები. კონტრაქტით სამსახური, აგრეთვე პოლიციაში (და სხვა ყველა შეიარაღებული) სამსახური ხდება მხოლოდ სავალდებულო სათავდაცვო სამსახურის გავლის შემდეგ.
II. იქმნება და ფართოვდება რეზერვისტების მზაობის სისტემა (შვეიცარიული მეთოდით).
III. კანონმდებლობითი წესით განისაზღვრება როგორც ჯარისკაცის მოვალეობები სახელმწიფოს წინაშე, ისე სახელმწიფოს მოვალეობები ჯარისკაცის წინაშე: კვება, ჯანდაცვა, სოცდაცვა, ჩაცმა-დახურვა, შეიარაღება, გაწვრთნა ბრძოლაში გამოყვანამდე და ერთგული კვალიფიციური სარდლობითა და მეთაურობით უზრუნველყოფა.
IV. კანონმდებლობითი წესით განისაზღვრება სათავდაცვო ვალდებულებამოხდილთათვის სოციალური შეღავათების სისტემა (მიწის მიცემაში, სახელმწიფო სამსახურში, უფასო განათლებაში, საპენსიო უზრუნველყოფაში და ა.შ.) და შეზღუდვები სახელმწიფოსმიერი სოციალური დახმარებისა სათავდაცვო მოვალეობამოუხდელთათვის.
V. სამხედრო სწავლება შემოიღება საშუალო სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში. ამ საგნის წარმატებული დაძლევა ამოკლებს სავალდებულო სათავდაცვო სამსახურის ვადას.
VI. არსებითი ცვლილებები შეიტანება საქართველოს შეიარაღებული ძალების დისციპლინარულ წესდებაში. პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევა სამხედრო მოსამსახურის დაცვა შეურაცხყოფისაგან. ამისთვის კანონმდებლობითი წესით მკაცრდება სასჯელი სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფისათვის და სასჯელის განსაზღვრაში არსებითი როლი ენიჭება დაზარალებულის აზრს.
VII. სათავდაცვო ვალდებულების მოხდად ითვლება ალტერნატიული სათავდაცვო სამსახური სამხედროვალდებულის სურვილით და სახელმწიფოს დასტურით.

**აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა**

მინისტრთა საბჭო აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, მისი თავმჯდომარე — სახელმწიფოს პირველი პირი.
ადგილებზე (რაიონებში და ქვემოთ) ადგილობრივი კომპეტენციის ფუნქციები არჩევითი ორგანოების და პირების ხელშია.
ცენტრალური კომპეტენციის ფუნქციები ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დანიშნულ პირთა ხელშია.
საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა.

### სახელმწიფო იდეოლოგია

სახელმწიფოს სჭირდება თავისი იდეოლოგია ანუ მოსახლეობისათვის ფართოდ ცნობილი და სისტემაში მოყვანილი პასუხი სახელმწიფოს მხრიდან კითხვებზე იმის შესახებ, თუ რისთვის და რატომ არის საჭირო საქართველოში სახელმწიფო, რა არის მისი მიზანი დღეს და ისტორიულ პერსპექტივაში, რატომ სჯობია მისი არსებობა არარსებობას, როგორ არის დაკავშირებული მისი ბედი მოქალაქის ბედთან, რა საშიშროებები ემუქრება მას და რატომ არის მოქალაქე ვალდებული და დაინტერესებული, რომ მის დასაცავად სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდოს. საქართველოს სახელმწიფოს მიზნებია:
ა) ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის შემადგენელი ერთ-ერთი პრინციპულად თანასწორი სუბიექტის, სამარადისოდ შენარჩუნების (მისი გადარჩენის), მისი საარსებო სივრცის (ტერიტორიის), მისი თავისუფლების (სხვათაგან დამოუკიდებლად მის მიერ საკუთარი თავის და საკუთარი ტერიტორიის მართვის) ორგანიზაცია;
ბ) საქართველოს ყველა მოქალაქის, განურჩევლად ეთნიკური და ეროვნული კუთვნილებისა, პირადი თავისუფლების, ღირსების, ხელშეუხებლობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, შრომითი, სოციალური, კულტურული და ზნეობრივი თვითრეალიზაციის, უსამართლობისგან დაცვის ორგანიზაცია მისთვის მართვის დემოკრატიული ნორმებითა და იდეალებით გათვალისწინებული ყველა სიკეთისა და უპირატესობის გარანტირებული მიცემა.
გ) კაცობრიობის მთლიან სისტემაში (მსოფლიოში) საქართველოს, როგორც ქვეყნის, და მისი მოქალაქეების, როგორც პიროვნებების, დაწინაურების, ანუ მათი ეკონომიკური, მეცნიერული და ტექნიკური წინსვლის, სხვა ქვეყნებთან და სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან მეგობრულ შეჯიბრებასა და ჯანსაღ კონკურენციაში მათი წარმატების, მათი პრესტიჟის, გავლენისუნარიანობისა და ავტორიტეტის განუხრელი ამაღლების ორგანიზაცია.

### თავისუფალი მასმედია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალნი არიან პოლიტიკური კონცეფციების გამოთქმაში და დასაბუთებაში, ხელისუფლების შეუზღუდველი კრიტიკის ჩათვლით, გარდა სახელმწიფოს ძალადობით დამხობისაკენ, საქართველოს დაშლისაკენ და ქართველი ერის დაშლისკენ მოწოდებისა. ამ თავისუფლების საჭიროებას განაპირობებს ის, რომ არც ქართულ, არც მსოფლიო პოლიტიკურ აზრს არ შეუმუშავებია კრიტერიუმი, რომლითაც შეიძლებოდეს ხელისუფლების კონსტრუქციული (შემოქმედებითი) კრიტიკის და დესტრუქციული (დამანგრეველი) კრიტიკის გარჩევა. საქართველოს დაშლისაკენ და ქართველი ერის დაშლისაკენ მოწოდების არდაშვების საჭიროება მასმედიაში განპირობებულია იმით, რომ საქართველოს სახელმწიფოს წინაალმდეგ მოქმედების ეს საშუალებები დღეს უფრო დიდი მასშტაბით ფინანსდება საქართველოსადმი მტრულ სახელმწიფოთა მიერ, ვიდრე საქართველოს შეუძლია თავისი პროპაგანდის დაფინანსება, რის გამოც პოლემიკისათვის არათანაბარი პირობებია შექმნილი.
მასმედიაში ანტიპედაგოგიური პროპაგანდის წინაალმდეგ სახელმწიფო იბრძვის:
ა) მკაცრი სანქციებით ყალბი ინფორმაციის მიწოდებაზე საზოგადოებისათვის (სიყალბის ფაქტს ადგენს სასამართლო);
ბ) პედაგოგიური ამოცანების საწინაალმდეგოდ მიმართული ინფორმაციის დაბეგვრით (დადგენილი ჩამონათვლის მიხედვით) და მისი გამაწონასწორებელი პედაგოგიურად მიზანშეწონილი ინფორმაციის ორგანიზებით სახელმწიფო უწყებების (სახელმწიფო ტელევიზია, განათლების სისტემა, ფსიქოლოგიური სამსახური ...) მიერ.

### პროსტიტუციასთან ბრძოლა

— პროსტიტუციის ორგანიზებისათვის მატერიალური და სისხლის სამართლის სასჯელის შემოღება კანონმდებლობითი წესით.

### სპორტი

— მასობრივი სპორტის სტიმულირება. მისი განვითარების მიჩნევა განათლების სახელმწიფო პროგრამის აუცილებელ ელემენტად.
— დიდი სპორტის პროპაგანდა და მასში საქართველოს მაღალი დონის სტიმულირება, მისი ფინანსური დახმარების ჩათვლით.

### ეკონომიკა (ზოგადი პრინციპი)

— საბაზრო (თავისუფალი) ეკონომიკის მსოფლიო სისტემაში საქართველოს ორგანული და სამუდამო ჩართვის მომზადება.
— საქართველოში თავისუფალი ეკონომიკის მექანიზმთა რაციონალური ამუშავება სახელმწიფოებრივი დიქტატის ფაქტობრივი მოხსნის და სახელმწიფოს კორუმპირებულ აპარატთან შეზრდილი მაფიური მონოპოლიების აღმოფხვრის გზით. სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის, შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად. მის მიერ საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკით ეკონომიკურ პროცესთა ეფექტიანი რეგულირება. საქართველოს საგადასახადო ბაზის (იგი, კომპეტენტური წყაროებით, არანაკლებია ორ მილიარდ ლარზე წელიწადში 1998 წლის ზაფხულის კურსით) ეფექტიანი ამუშავება ბიუჯეტის შესავსებად და ამ ბაზაზე სათანადო სოცდაცვის, ჯანდაცვის და განათლების სისტემათა საჭიროების დაკმაყოფილება. გადასახადთა სისტემის რეფორმირება, მათი ტვირთის შემსუბუქება და სამაგიეროდ საგადასახადო ბაზის გაფართოება. საბაჟო პოლიტიკის ორიენტაცია საქართველოს წარმოების (პირველ ყოვლისა — მრეწველობის) გონივრულ დაცვაზე შიდა ბაზარში.

**მიწის პოლიტიკა**

1. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის განხილვა, როგორც ქართველი ერისა და საქართველოს სხვა მოქალაქეების ძირითადი საარსებო ბაზისა აწ და მარადის.
2. აბსოლუტური გამორიცხვა საქართველოს მიწის გაყიდვისა არა საქართველოს მოქალაქეებზე პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით.
3. მიღწევა და მუდმივი კონტროლი - სახელმწიფოს ხელთ არსებული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბაჟო და საგადასახადო საშუალებათა მთელი სპექტრის გამოყენებით — იმისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

### უღრმესი პატივისცემით და ოპტიმიზმით — ქვეყნის ინტელიგენციას!

# SOS! მახრჩობელა ილეთის ჩატარება უკვე დაგვიწყეს!...

უმძიმესია მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში, მაგრამ ვალდებულნი ვართ უარესისთვისაც ვიყოთ მზად. ვფიქრობთ, ახლოვდება საბედისწეროდ კრიტიკული პერიოდი დიდი კატაკლიზმებისა და სამწუხაროდ, „არის შანსი" მის ეპიცენტრში ჩვენი მოხვედრისა...

ისტორიულად ახლო წარსულში (და დღესაც) რუსეთით ჩვენი გამწარება, თუნდაც მისგან აშკარა მტრობა ნუ დაგვაბრმავებს, (ყველაფრის მხოლოდ მასზე გადაბრალებით ნუ შემოვიფარგლებით) — ვფიქრობთ, ჩვენს რეგიონს უკვე სხვა, გაცილებით საშიში დიდი ძალა, მსოფლიო მასონურ-კლანური ალიანსი გვიპირისპირდება და მეთოდურად გვანადგურებს; თანაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ ამ გამანადგურებელი პოლიტიკის უკან რომელიღაც ჩვენი მეზობლის ძველი, უკვე ღრმა პათოლოგიად ჩამოყალიბებული ექსპანსიური ნაციონალური პრეტენზიებიცაა ხელოვნურად მიბმულ-თანხვედრილი მსოფლიოს ამ ე. წ. „ჩრდილოვანი ფაქტობრივი ხელისუფლების" ფართო მიზნებთან.

არის, როგორც ჩანს, შესაბამისი „უზენაესი ნებაც" კავკასიის ფედერალიზაცია-ინტეგრაციაზე და ახალი საკუთარი წესრიგის დამკვიდრებაზე.

— ჯერ კიდევ 1992 თუ 1993 წწ. ერევანში ვიზიტისას ჩვენს მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ჩიკვაიძეს იქ რამდენჯერმე ღიად დაუსვეს შეკითხვა (პრესკონფერენციაზეც) საქართველო-სომხეთის ფედერაციის პერსპექტივის შესახებ, რაც, სხვათა შორის, საშა ჩიკვაიძეს არც გაუოცებია — ჯერ ნაადრევია, — მხოლოდ ეს თქვა.

— ახლახანს ევროსაბჭოში ჩვენი ერთხმად მიღებისას ეს თემა რამდენჯერმე გაჟღერდა და ესპანეთის დელეგატმა კი პირდაპირ ახსენა კავკასიის ფედერალიზაცია და საქართველოს ფუნქცია კავკასიის მომავალ საერთო რეგიონალურ ფედერაციაში (იხ. ჩანაწერი). იყო ლაპარაკი საპარლამენტო ასამბლეაზეც.

— ეს თემა ირიბად იკითხებოდა სომხეთის პრეზიდენტის ამასწინანდელი ვიზიტის ღია მასალებშიც (საინტერესოა, რა ითქვა დახურულ კარს მიღმა, სომხეთის პრეზიდენტის მიერ განსაკუთრებით აქცენტირებულ „ახალ რეალობებთან" დაკავშირებით).

— გრძელდება ეს თემა „სხვა ვიზიტებისასაც" და მათ შორის აგერ ახლაც ისევ სომხეთის თავდაცვის მინისტრის სტუმრობისას, თუმცა, მან საუბარი შეწყვიტა — პარლამენტების თავმჯდომარეთა მ/წ. 15 მარტს სტრასბურგში მომავალ შეხვედრამდეო და აღარ დააკონკრეტა(?!!) და ა. შ. და ა. შ.

ცხადია, სომხეთი თავად ესწრაფვის კავკასიის რეგიონალურ ფედერაციას (ყოველმხრივ მზადაა და მომგებიანადაც შევა); საქართველო წინააღმდეგი უნდა იყოს (განსაკუთრებით ამ ეტაპზე), თუმცა ყველაზე მრავალრიცხოვანი, ასე ვთქვათ, ფედერალური სუბიექტით იქნება წარმოდგენილი — ე. წ. გუბერნატორებით, (ალბათ ამიტომაც იქმნებოდნენ!); არც აზერბაიჯანი იკლავს ჯერჯერობით თავს. ე. ი. იკვეთება სტრატეგია: საქართველოში მის შემდგომ დაძაბუნება-მართვად დესტაბილიზაციასთან ერთად უნდა მომწიფდეს და შეიქმნას, დამკვიდრდეს საერთო კავკასიური, რეგიონალური, ფედერალიზაციისათვის, ლოგიკურად გამამართლებელი საყრდენი პუნქტები — ე. წ. საერთო სივრცეები: ჩრდ. ოსეთი — სამხრეთ ოსეთი; აფხაზეთი — ადიღე, ჩერქეზეთი, ბალყარეთი და სხვ.; ჩეჩნეთი — პანკისის ხეობა (ახმეტის რაიონი); დაღესტანი — კახეთის წინა ზონა; შემდეგ ჯავახეთი, ქვემო ქართლი და სხვ. და სხვ...

საერთაშორისო მასონური ძალებისათვის ჩვენ, (ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალით), მათთვის სასურველ სივრცე-ტერიტორიაზე ზედმეტად თვითმყოფადი მრავალათსწლოვანი კულტურული წარმონაქმნი — არასაჭირო, ხელისშემშლელი სუბიექტი ვართ და მივყევართ კიდეც აბსოლუტურად დაუცველ, უსუსურ პოლტიკურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე — ფაქტობრივ გენოციდამდე(!).

...და აი („ერთ-ერთი"?) ახსნა იმისი, თუ რატომ გვექცევა „ეუთო", „გაერო" და ჩვენი „მეგობარი" გერმანელი, ფრანგი თუ ინგლისელი (საერთოდ ე. წ. „დასავლეთი" და არა მარტო დასავლეთი), თუნდაც იმავე „რუსის და სხვების ხელითაც", ასე მზაკვრულად და დაუნდობლად. დიახ, მათ, სამწუხაროდ, სხვა გზას არ აძლევენ — ისინიც „უზენაეს ნებას"



მორჩილად ასრულებენ...

ამ მხრივ ნიშანდობლივია ჯერ კიდევ 1992 წელი: 25 სექტემბერს რუსეთის პარლამენტი თავისი გადაწყვეტილებით ე. წ. აფხაზეთის საკითხზე (ე. ი. სხვა ქვეყნის რეგიონის შესახებ), ფაქტობრივად ლებულობს მოწოდებას საქართველოს მიმართ სამხედრო ინტერვენციის თაობაზე(?!). ორი დღის შემდეგ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი ტრიბუნიდან მსოფლიოს წინაშე გამოსული საქართველოს სახელმწიფოს მეთაური — ქვეყნის სრულუფლებიანი ოფიციალური ლიდერი, აღნიშნულზე საერთოდ დუმს(?!), თითქოს არაფერი მომხდარა! შედეგად კი რამდენიმე დღეში (1-5 ოქტომბრის) გაუგონარი რუსულ-აფსუური ვანდალიზმი გაგრაში — დასაწყისი საქართველოს დიდი ტრაგედიისა აფხაზეთში. ხელისუფლება ისევ „გაუგებრად" არაადექვატურად რეაგირებს და ასე გაგრძელდა 1993 წ. სექტემბრამდე და შემდეგაც... დღემდე!

იქნებ ზემოთხსენებული „უზენაესი მითითებით" აიხსნება გაუგებარი იგნორირება თავსდამტყდარი რეალური საფრთხისა, როცა „გაეროში" დუმილი ამჯობინა ჩვენმა სახელმწიფოს მეთაურმა, თუმცა საერთაშორისო არენაზე ამ ყველაფრის საჯაროდ ფარდის ახდა, თანაც ასეთი წონადი და დიდი ტრიბუნიდან ვერც იდეოლოგიურ ფრონტს წაგვაგებინებდა და ამ ბოროტებასაც, თუნდაც დრომდე, წარმატებულ ბლოკირებას გაუკეთებდა (ხომ გამორიცხულია, რომ დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაციის ჯანსაღ ძალებს საერთოდ და სულ არაფერი ეკითხებოდეს მასონური კლანების მიზეზით). ...მაგრამ იქ თავშეყრილთა მოთავე (წამყვანი) ბირთვის წევრები თუ თავად იყვნენ და არიან ყოველივე ამის უტყვი მონაწილენი, ხომ გასაგები ხდება გაეროს უშიშროების საბჭოს და „ეუთოს" ფორუმებზე, აფხაზეთში ინსპირირებული ტრაგედიის ე. წ. მოგვარება-განხილვის, „დადგმული სპექტაკლებიც"?

...„დაყავი და იბატონე"-ს ნაცადი პრინციპის რეალიზაციის დაჟინებითი მცდელობა იკითხება ფედერალიზებული უსახური სახელმწიფოებრივობის ჩვენთვის მათგან შემოთავაზებაში, როგორც საერთოდ მთელ მათ პოლიტიკასა და ყველა ე. წ. „რეკომენდაციაში".

და კიდევ... „მე ძლიერ მაშინებს, (თუ მაფიქრებსო), თქვენი ბედი, რა გელით მომავალში"... (ჯონ მეიჯორის წერილიდან ე. შევარდნაძეს — ალბათ, სადღაც 1993 წელს). რას ნიშნავდა ეს სიტყვები! საკუთარ ქვეყანაში პრეზიდენტისათვის რაღაც რთულ, ამ უცხოელისათვის ცნობილ იძულებით საჩოთირო ფუნქციას ხომ არ გულისხმობდა ეს სამძიმარი?! რა აშინებდა ეგზომ „სოლიდარულად" ინგლისელს პირადად ბ-ნი ედუარდის მიმართ, როცა უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ მის სახელმწიფოს არ დაუფიქსირებია საერთაშორისო დონეზე თავისი პრინციპული პოლიტიკური ნება ჩვენს მიმართ უცხო ქვეყნის მხრიდან წარმართული აშკარა სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ, თუმცა ჩვენც ხომ არ დაგვისვამს ეს საკითხი რუსეთთან მიმართებაში ოფიციალურად(?!) (ჰიპოთეზების დონეზე აქ მეტის თქმა ჩვენი მხრიდან არასერიოზული იქნება).

სხვათა შორის, ორი ქვეყნის უმაღლესი დონის ერთ-ერთი შეხვედრის შემდგომ პრესკონფერენციაზე არც ჯავახეთის (ახალქალაქის) ნეიტრალურ ტერიტორიად მკრეხელურად გაცხადება-დასახელებას მიეცა იქვე ჩვენი ხელმძღვანელობისაგან აუცილებელი მკაცრი და კატეგორიული, სახელმწიფოებრივად ცალსახა ადექვატური შეფასება(?!), არც სტუმარ პრეზიდენტს შეუწუხებია ამაზე თავი, შამბას ცნობილი ყბადაღებული დისერტაციის ერევანში თავხედურად დაცვის შეფასებისა არ იყოს. რას გვაჩვევენ ნეტავ და თანაც ჩვენსავე სახლში?... და საერთოდ, სად გაგონილა ან სად გვინახავს ჩვენი პრეზიდენტი სხვა ქვეყანაში (თურქეთში, ირანში, აზერბაიჯანში და საერთოდ სადმე) იქაურ ლიდერს ქართულ დიასპორაში გაეტარებინოს და ასე ვთქვათ, „ანგარიში ჩაებარებინოს", თუ როგორ ექცევიან იქ ქართველებს!!! ჩვენ რა მოგვდის, რა გვემართება, ყველას რომ ცხვირს ვაყოფინებთ ჩვენს შინასახელმწიფოებრივ საკითხებში. ესეც, ალბათ, ზოგიერთთათვის თანდაყოლილი კომპლექსი, საკუთარი არასრულყოფილების სინდრომი და პოლიტიკური ცვედანობაა!

და კიდევ, ჯავახეთში საწრთნელად გადამავალი ჩვენი საჯარისო ქვედანაყოფის გახმაურებული თავხედური ბლოკირება, მისი გადაადგილების ასე „მოუმზადებლობით", ხელისუფლების მიერ შეგნებულად ინსპირირებული პროვოკაცია გვგონია,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# დეპუტატთა შერჩევის «აქოური წესი»

არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ურიგო არ უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის რიგ თავისებურებებსაც გავცნობოდით.

ჟურნალისტის კითხვას, "როგორ უყურებთ კულტურის მოღვაწეთა პოლიტიკოსობას და თავად ხომ არ გსურთ მათ რიგებში ჩადგომა? ", ცნობილმა მსახიობმა, გოგი ხარაბაძემ სავსებით გონივრული პასუხი გასცა: „ჩემს ცხოვრებაში პოლიტიკაში აქტიურად არ ჩავრეულვარ. არაა ეს ჩემი საქმე". ამასთან ბატონმა გოგიმ დეპუტატთა კორპუსის დაკომპლექტების ერთი „აქოური წესიც" გაგვაცნო: „პარლამენტის წევრობაც რამდენჯერმე შემომთავაზეს, მაგრამ არ ვთანხმდები"-ო („რეზონანს-ექსკლუზივი", №2, 1999).

როგორც ჩანს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნაწილი ცდუნებას ვერ უძლებს (ისევე, როგორც ეკონომიკისა და სამართლისაგან ძალზე შორს მდგარი სხვა სფეროების ზოგიერთი წარმომადგენელი). ისიც ფაქტია, რომ „ზემდგომი სელექციონერები" უფრო მეტი წარმატებით თეატრისა და კინოს რეჟისორებს იზიდავენ. შედეგად, წესით, არც პარლამენტში დადგმულ „პოლიტიკურ შოუ-სანახაობებს" უნდა აკლდეს სანახაობრიობა და სხდომებიც „დიდების ზღაპრივით" უნდა გამოირჩეოდეს ენამახვილობით. ამასთან, სხდომებზე გამართული ორთაბრძოლებიც და „ძალადობის სცენებიც" გაცილებით ეფექტურად უნდა იყოს დადგმული, ხოლო გმირები უფრო ხანგრძლივ აპლოდისმენტებს იმსახურებდნენ.

მართალია, ხალხის „რჩეულთა" შორის, რეჟისორებთან ერთად, მწერლებიც და პოეტებიც გვყავს, მაგრამ აშკარაა, ყველაზე წარმატებულად ჩვენი კანონმდებლები მაინც სპორტში მოღვაწეობენ. თურმე, „პარლამენტის საფეხბურთო გუნდს 25 მატჩი აქვს ჩატარებული. ოფიციალური თამაშებიდან მათ ანგარიშზე არც ერთი წაგება არ ირიცხება". „უდიდესი



პოლიტიკური მნიშვნელობის ორთაბრძოლაში თვით რუსეთის დუმა დაუმარცხებიათ" („საქართველო", 15. 04. 99).

უჩვეულო არაფერია. ჩვენი პარლამენტის საფეხბურთო კომიტეტის თავმჯდომარე ... ბოდიშს ვიხდი, გუნდის კაპიტანი ხომ მანუჩარ მაჩაიძეა (25 მატჩში 45 გოლის ავტორი ...).

რუს პოლიტიკოსებთან მწვანე მინდორზე პაექრობისას კი ჩვენს „პროფესიონალს" თანაგუნდელები „ქვეყნის ინტერესებში" ასე დაუმოძღვრავს: „ყველას წინა ხაზზე რომ მოგინდათ სირბილი, ეგრე არ არის, ბატონებო. აქ პარლამენტი არ გეგონოთ, ფეხბურთში მკაცრი დისციპლინა უნდა იყოს. კაპიტანი ვარ, პროფესიონალი ფეხბურთელი და უნდა დამემორჩილოთ". ამის შემდეგ, ბ-ნ მანუჩარს კარში მდგომი „გენერალური მდივნისათვის" მიშა მაჭავარიანისთვის 9 კაცი დაუყენებია მცველად და მოწინააღმდეგეზე მარტოს მიუტანია იერიში. შედეგსაც არ დაუყოვნებია და პირველი ტაიმის შემდეგ, წასაგებად განწირულებს (1:3), ღირსეულად გაუმარჯვნიათ (4:3).

გასულ შაბათს, ამომრჩეველგულშემატკივარმა ბ-ნ მანუჩარს 50 წლის იუბილე სტადიონზე მიულოცა. ტელემაყურებელს საშუალება მიეცა, მორიგი არჩევნების წინ პარლამენტარის დიდოსტატობაში კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო. იმ დღეს ხალხის რჩეულმა საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა და „დინამოს" ვეტერანებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების დამარცხებაში დაეხმარა. მანამდე პარლამენტის ნაკრებმა იზეიმა მორიგი გამარჯვება ჟურნალისტებზე და როგორც ჩანს, კრიტიკა არ შეარჩინა.

ჩვენი დეპუტატები, სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას, იურისპრუდენციასა და ეკონომიკას ისეთივე ოსტატობით რომ ფლობდნენ, როგორც მაჩაიძე ბურთაობას, ხარაბაძე — დეკლამაციას, შენგელაია — რეჟისურას, ამირეჯიბი — პროზას, ხოლო



ჩარკვიანი — „კალც-ლექსებისა თუ ლექს-პრომტების" (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 12. 05. 99) შეთხზვის ხელოვნებას, ევროსაბჭოში კი არა, ევროკავშირში ვიქნებოდით დიდი ხნის შესულები.

სხვათა შორის, ერთ-ერთ ინტერვიუში „პარლამენტში პოეტური ოხუნჯობებით ცნობილმა" დეპუტატმა ერთი თავისი კოლეგის, წარსულში მაღალჩინოსანი პარტიული ფუნქციონერის დღევანდელი სადეპუტატო „მოღვაწეობის" შესახებაც გვამცნო: „ჩემს გვერდით ზის ბ-ნი ზურაბ ჩხეიძე, რომელიც გადაწერს ჩემს ჩანაწერებს და იქვე გააჭრცელებს. ზოგჯერ ლექსი შენიღბულია და გამოცანას ჰგავს, ხან ალეგორიასაც აქვს ადგილი, მაგრამ, ვისაც ეხება, თავის თავს ადვილად ამოიცნობს" („კვირის პალიტრა", 17. 05. 99).

ჩარკვიანის „სადეპუტატო პერიოდის შემოქმედების" გაცნობით არა მარტო მომავალი თაობები, არამედ, დღევანდელი ამომრჩეველიც შეიქმნიდა მკაფიო წარმოდგენას ავტორისა და მისი კოლეგა-პოლიტიკოსების ზნეობრივ მხარესა და პროფესიონალიზმზე. ერთი, თურმე

*„ზის ამბიციით და, სადაც ზის,*
*ბატის ცოდნით ზის,*
*აქვს ვაშინგტონში,*
*ლექციები პატრიოტიზმის ..."*

მეორეს, პოეტი-პარლამენტარი „პურივით აზრს უყოფს" და ასე აფასებს:

*„კაცი არ ვიყო, კაცი არ ვიყო,*
*თუ შენზე დიდი ქაჯი მენახოს ..."*

მესამე თურმე

*„ჩამოჰგავს ბრიყვი, ეშმაკის*
*ნახატს,*
*ზოგი კენჭს იყრის, ზოგი კი*
*მახათს".*

როგორც ჟურნალისტი გვამცნობს, „კაცი-პოეტი, კაცი-დეპუტატი (პოლიტიკოსობას, მგონი, არც თვითონ იბრალებს, თუმცა, ახლახან ერთი პატარა პარტია „ვჩპ" („ვაი, ჩვენ პატრონს" გააჩალიჩა ...), კაცი-მოქალაქე, იუმორით, ხუთსაც რომ ეყოფა, იმაზე მეტად დაჯილდოვებული" ... ერთ-ერთ კოლეგა-დეპუტატს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

*„დახვალ „ჟუვაჩკის" ტკაცანით,*
*გაქვს გამოხედვა ჯვარცმული,*

გაგრძელება მე-9 გვერდზე

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №35(998წ.)

# ნოდარ ნათაძე:

# რაც ვიცი

გვარდია რომ ზღვაზე ავიდა, ოთხასიდან ხუთასამდე კაცს ითვლიდა (რკონში, როგორც ვთქვი, იგი შვიდი ათასი კაცისგან შედგებოდა). თუ მისი გადარჩენა იყო საჭირო (მისი გადარჩენა კი, რა თქმა უნდა, საჭირო იყო), — მაშინ მას კვებაც სჭირდებოდა. რალაც მითქმა-მოთქმის სახით (ვერც ვიტყვი ზუსტად, ვისგან და ვისგან ითქვა ეს), გავრცელდა ამბავი, რომ გვარდიას აქ პროდუქტი არ ამოუვა და იგი კვებას ვერ შეძლებს. რამდენად უწყობდა ეს ხელს ბიჭების დაშოშმინებას და მხარეთა შორის შეტაკების არდაწყებას ამ წუთში ან ცოტა ხნის შემდეგ, როცა ყოველი მათგანი დადგებოდა ერთის მხრივ ლია კაპიტულაციის და მეორე მხრივ შიმშილის არჩევანის წინაშე, ეს ღმერთმა იცის და იმ ალყის ორგანიზატორებსაც დაახლოებით მაინც უნდა სცოდნოდათ, ისევე, როგორც იმ გასვლის ორგანიზატორებს უნდა სცოდნოდათ, რამდენად იყვნენ დამოკიდებულნი თვითონ ისინიც და მათი ნაწილების სისხლისღვრაში არჩაბმის ამოცანაც პროდუქტის გაშვება-არგამოშვებაზე ხელისუფლების მიერ. იმ დღის განმავლობაში მე ბევრჯერ შევედი და გამოვედი გვარდიის განლაგების ტერიტორიაზე და ერთი გამოსვლის დროს პურით დატვირთული „გაზ-56" გავატარებინე მილიციელების ჯგუფს, რომელიც მის გაშვება-არგაშვებაზე ყოყმანობდა. ეს მოქმედება ბევრჯერ წამომაყვედრეს, პირში და ზურგს უკან, შემდგომში, მას შემდეგ, რაც სხვა ბრალდებები ჩემი მისამართით, „რატომ გვარდიის განადგურებაში ხელი შეუშალე პრეზიდენტის მხარეს" და „რატომ მოუწოდე ამ მიზნით ხალხს? მაშინ რომ პრეზიდენტის განდგომილი გვარდია გაენადგურებინა, ხომ მას შემდეგ მოსულ ყველა უბედურებას გადავრჩებოდითო", გახუნდა, თავისი ეფექტურობის მიუხედავად, თავისი უსაფუძვლობის გამო. (როცა ვამბობ „ეფექტურობის"-მეთქი, მხედველობაში მაქვს ის დიდი სიამოვნება, რომელსაც სასოწარკვეთილ ადამიანს ძალიან ხშირად ანიჭებს, სამწუხაროდ, იმის შესაძლებლობა, რომ უბედურება შინაურს დააბრალოს და ამით მოყვასის ზნეობრივად ჩაქოლვის ჟინი — სამწუხაროდ, ერთ-ერთი ძლიერ ადამიანურ ლტოლვათაგანი — დაიკმაყოფილოს).

ამ ორივე ბრალდების მართებულობა-უმართებულობაზე აქვე ქვემოთ ვიტყვი ჩემს სათქმელს. მაგრამ მანამდე ორიოდე ეპიზოდი უნდა მოგითხროთ.

ერთი ის გახლავთ, რომ იმ დღეს საათის თორმეტზე, ჩემი იქ არყოფნის დროს, გვარდიის განლაგების თავზე შვეულმფრენი გაჩნდა და დაბალ სიმაღლეზე წრეების კეთება დაიწყო. თან ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნა ისე, რომ კაცისთვის არ მოუხვედრებია, მათ შორის — არც ორ და სამსართულიანი კორპუსების სახურავებზე მჯდომთათვის, რომლებიც იქ გუშაგობდნენ. ტყვიამფრქვევის ცეცხლი მან გამოაყოლა გზებს კორპუსებს შორის (ამ გზებს ფართო გაზონები მოსდევდა), ასე რომ შენობები, ერთგვარად, ამ ცეცხლის მოხაზულ მართკუთხედებში მოათავსა. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება — რომ ცეცხლი დაზიანებაზე გამიზნული არ იყო — ალყაში მყოფებმა, ბუნებრივია, იმ წუთს ვერ გაიცნობიერეს. მაინც აუცილებელია ალინიშნოს, რომ ის ტყვიები მებრძოლებთან ძალიან ახლოს ხვდებოდა, რაც ასე დიდი სიზუსტით ვერ გაითვლებოდა მსროლელთა მიერ. ასე რომ იმ ცეცხლის გახსნის მიზანი მთელი სისრულით მხოლოდ ღმერთმა და თვითონ მსროლელმა იცის.

ამ ამბავმა გვარდიელები არა თუ ააშფოთა, არამედ ააფეთქა. ის, რაც მოხდა, ღია თავდასხმად მიიღეს და სრულებით უანგარიშოდ, უბრძანებოდ, შეუთანხმებლად, წმინდა იმპულსურად (რადგან იმისგან, რასაც სამხედრო დისციპლინა ჰქვია, გვარდია, ცხადია, ძალიან შორს იყო) და ერთსულოვნად, რითაც და როგორც შეეძლოთ, შვეულმფრენს ქვემოდან ცეცხლი გაუხსნეს. შვეულმფრენი წავიდა (და როგორც მითხრეს, მრავალი ნატყვიარი წაიღო თავის კორპუსზე).

წავიდა და დატოვა იმის მკაფიო ცნობიერება გვარდიელებში, რომ, ჯერ ერთი, პრეზიდენტმა გვარდიას დაარტყა, მეორეც, რომ გვარდიამ ეს დარტყმა მოიგერია და, ამგვარად, ამ ჯერ ბრძოლაში არგამოცდილმა სამხედრო შენაერთმა თავისი პირველი „გამარჯვება" საქართველოს პრეზიდენტზე მოიპოვა. ამაზე უარესი, მომავალი სისხლისღვრის არდაშვების თვალსაზრისით, ცხადია, ვერაფერი მოხდებოდა. ვისი და რა მოტივით გაცემული ბრძანება იყო იმ შვეულმფრენის მოფრენა და ცეცხლის გახსნა, არ ვიცი. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ამ გადაწყვეტილებაში (ისევე, როგორც ერთ სხვაში, რომელსაც აქვე ქვემოთ ვახსენებ) მონაწილეობდა მიზანმიმართული პროვოკაცია, რომლითაც სამოქალაქო ომის ორგანიზება ხდებოდა.

მეორე ეპიზოდი უმნიშვნელოა და კომიკური. რომ შევედი გვარდიის განლაგებაში და მისი ხელმძღვანელობა მოვნახე, იქ, მათს ოთახში, დამხვდა რომან გვენცაძეც, რომელიც იმ რამდენიმე კვირის მანძილზე (უფრო ზუსტად კი — „თბილისის ომის" პირველი ორი მესამედის დამთავრებამდისაც კი) — პრეზიდენტის მხარის მთავარი მაორგანიზებელი ძალა იყო, — ან ასეთად ითვლებოდა — პრაქტიკული მოქმედების საქმეში და იმ ძირითად ფიგურას წარმოადგენდა, რომელმაც ხელისუფლებას — წმინდა ადმინისტრაციული და პოლიციური თვალსაზრისით — იმ ერთ ეტაპზე, სახელდობრ, სექტემბერ-ოქტომბრის ეტაპზე სტაბილობა შეუნარჩუნა. ამჯერად გვენცაძე „მოწინააღმდეგეთა" ცენტრში იჯდა მშვიდად და საერთო მსუბუქ საუბარში მონაწილეობას იღებდა. ვინაიდან ურთიერთობები იმ ამბების მეტ-ნაკლებად მსხვილ მონაწილეთა შორის ამ დროს, ასე თუ ისე, მაინც „ძმაბიჭური" ტონალობით აწყობილი იყო (ზოგი ყალბად, და ზოგიც — მეტ-ნაკლებად გულწრფელად) გვენცაძის იქ ყოფნა არ გამკვირვებია (უფრო ზუსტად: იგი რალაცა მოლაპარაკებისათვის ამოსულად ჩავთვალე, რომლის შინაარსსაც, ბუნებრივია, ვერ ჩავეძიებოდი), მით უმეტეს, რომ წარმოდგენა არ მქონდა, გვენცაძე თუ იქ რეალურად თავის განზრახვით მისული კი არ იყო, არამედ როგორც მერე მითხრეს, გვარდიელებს სადღაც შემთხვევით გადასწყდომოდა და აქ ცოტა არ იყოს, „მეგობარი ტყვის" სტატუსში იმყოფებოდა. ტელევიზორი ჩართული ჰქონდათ და სწორედ იმ დროს, მე რომ შევედი, ეკრანზე ცხადდებოდა, ნოდარ ნათაძე ქუჩებში მიკროფონით დადის და ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებსო. რეაქცია იყო საერთო სიცილი, რადგან ეს განცხადება მთავრობისმიერი დეზინფორმაციის მკაფიო ნიმუშად იყო მიჩნეული. თუმცა სინამდვილეში საქმე საცინლად არ იყო, გვენცაძის იქ ყოფნამ ჩემზე მაინც დამამშვიდებლად იმოქმედა. ჯერ ერთი, ჩავთვალე, რომ, რაკი იგი აქ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩუმი მოლაპარაკება წარმოებს. მეორეც, ჩავთვალე, რომ, რაკი ეს მოლაპარაკება ჩემი (და სხვა ე. წ. ოპოზიციონერი დეპუტატების) გარეშე წარმოებს, მე მოვლენათა განვითარებაზე პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ტვირთისგან თავისუფალი ვარ, ხოლო თუ რამეს ჩემი მხრიდანაც შევძლებ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას, მით უკეთესი ჩემთვის და ჩემი, ასე ვთქვათ, პირადი ცოდვა-მადლის ჯამისათვის: თუ ერთი, და სხვა ყოველივე დაშვებული ამოცანა, რომელზედაც ვლაპარაკობ, იმ წუთში იყო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ამოცანა, როგორც ვთქვი (ხელისუფლების შენარჩუნების ამოცანა იქ არ იდგა და არ უნდა მდგარიყო, რადგან მისი დანგრევის მცდელობა ვერ უნდა მომხდარიყო და ლოგიკური არ იყო, რომ ვინმეს მონაწილეთაგანს მისი მცდელობა ჰქონოდა), არამედ გვარდიის გადარჩენის ამოცანა ანუ იმ ხიფათის აცილების ამოცანა, რომ ვილაცას სიბოროტით, უჭკუობით, შურისძიებით, შიშით, გამოუცდელობით ან სხვა რამ მოტივით თუ მიზეზით ამ საქართველოს იმ დროს ერთადერთი სამხედრო ძალის თანამემამულეთა ხელით განადგურებაზე ხელი არ წაცსდომოდა, მაშინ, ცხადია, გვენცაძის იქ ყოფნა წარმატების დიდი იმედი იყო.



ეს ეპიზოდები, რომლებსაც უკვე მოვყევი, ანალიზს მოითხოვს და ამიტომ ჩემი აზრი მათ შესახებ აქვე უნდა გამოვთქვა. ჯერ რაც შეეხება საკვებით გვარდიელების მომარაგების ბლოკირებას, რომლის ჩაშლაც, როგორც ზემოთ ვთქვი, მავანმა და მავანმა ჩემ მიერ 3 ოქტომბერს გვარდიელებისთვის პურით დატვირთული მანქანის გატარებას მიაწერეს. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ გვარდიის პირად შემადგენლობასა და ხელისუფლებას შორის არ იყო იმგვარი ურთიერთობა, რომ პირველებს მეორისათვის მათი დამშევის განზრახვა მიეწერათ და ჩაეთვალათ იგი თავის მტრად ამ სიტყვის სრული აზრით. სასურსათო ბლოკადა შექმნიდა ამ დამოკიდებულებას, რომელიც მით უფრო გაძლიერდებოდა, რაც უფრო საგრძნობი გახდებოდა სურსათის ნაკლებობა გვარდიელთა კუჭისათვის. ძალიან მცირე ალბათობაა იმისა, რომ ეს მდგომარეობა გამოიწვევდა გვარდიელთა პასიურ რეაქციას, ანუ მათი ნებისყოფის გატეხასა და კაპიტულაციისკენ მისწრაფებას, და არა, პირუკუ, აქტიურს. ხოლო თუ აქტიურ რეაქციას გამოიწვევდა, ეს იქნებოდა კორდონის გარღვევის და სურსათის ძალად გამოტარების მცდელობა, მაშასადამე, შეიარაღებული შეტაკების მცდელობა და არა სხვა რამ. იმ დროს, როცა გვარდია თბილისის ზღვაზე ავიდა, მასში იყო დაახლოებით 450 კაცი. იმ დროს, როცა გვარდიამ „თბილისის ომი" დაიწყო, მასში იყო დაახლოებით 160 კაცი. დროის იმ შუალედში ხელისუფლებას ძალა არ მოჰმატებია (და ვერც მოემატებოდა, რადგან არცერთი ქვეყნისგან, რომელიც იარაღს აწარმოებს ან იარაღი აქვს — და არა მხოლოდ რუსეთისაგან — არ იყო მინიმალური შანსიც კი ან ერთი ვინმეს პასუხისმგებლობა, ან ერთი ვაზნის, ან ერთი ჯავშნის მიღების უფლებას თუ კაპიტ მიღებისა). ძალთა შეფარდება რა იყო „თბილისის ომის" დროს, ვიცით, რომ პრეზიდენტის გვარდიაზე ძლიერი არ იყო. აქედან ადვილი გასაკეთებელია დასკვნა: სიკეთე იყო პურის მანქანის გატარება გვარდიასთან თუ ბოროტება?! ჩემი უყოყმანო აზრია, რომ ეს სიკეთე იყო.

ახლა მეორე და მთავარ საკითხს მივუბრუნდები: გადარჩებოდა თუ არა საქართველო შემდგომ უბედურებებს, პრეზიდენტს რომ თბილისის ზღვაზე გვარდიის განადგურება მოეწადინება?

მომხდარიდან უკვე რამდენიმე წლის შემდეგ — სადღაც 1994 თუ 1995 წლების მიდამოებში — ერთმა ძალიან სერიოზულმა და პრეზიდენტის დიდად თაყვანისმცემელმა პიროვნებამ მითხრა, რომ იმ ღამეს, გვარდია რომ თბილისის ზღვაზე ავიდა, პრეზიდენტს თავდაცვის საბჭო მოუწვევია და თათბირი ჩაუტარებია შექმნილი მდგომარეობის გამო. ორადორი წინადადება გამოთქმულა. პირველი: გასული გვარდია ალყაში მოვაქციოთო /რაც შეასრულეს კიდეც იმ აურაცხელი მილიციელის იქ თავმოყრის სახით, წელან რომ ვახსენე/. მეორე: ჩამოვიყვანოთ /ესე იგი: ჩამოვიტყუოთ/ გვარდია მისი იარაღით ქალაქში და გავანადგუროთო. მესამე წინადადება (მაგალითად: ავიდეთ ესა და ეს პიროვნებები და შევუთანხმდეთ ამა და ამ პირობებითო) არ ყოფილა. გადაწყდა პირველი ვარიანტი, მაგრამ მეორის რალაცა ელემენტიც, ფაქტობრივად, განხორციელდა ორიოდე კვირის შემდეგ, როცა თბილისის ზღვიდან ქალაქში „კოლმეურნით" პურისათვის ჩამოსული ოთხი გვარდიელი მილიციამ მანქანაში დაცხრილა მალაზიის წინ. ეს რომ შემთხვევითი გაუგებრობა არ იყო, ჩემთვის ნათელია მას შემდეგ, რაც შემთხვევით შევესწარი ერთი მილიციელის ძალიან პრეტენზიულ ლაპარაკს ერთ დიდ უფროსთან. მილიციელი რალაცა ძალიან დიდ შელავათს მოითხოვდა (ბინას თუ რალაცა ამის მაგვარს), ის უფროსი კი ეუბნებოდა „ჰო, სიმამაცე გამოიჩინე, მართალია, მაგრამ ამდენი მაინც არ გეკუთვნისო". — გავიგე, რომ ეს მილიციელი იმ დაცხრილვის მონაწილე ყოფილა. როგორც მერე მითხრეს, იგი აფხაზეთში მოიკლა — ბუნებრივად თუ ხელოვნურად, არ ვიცი.

ამ ორწევროვანმა თითქოსდა არჩევანმა — გაანადგუროს პრეზიდენტის შეიარაღებულმა ძალამ გამდგარი გვარდია თუ ხელუხლებელი დატოვოს და შემდგომი ამბოხების საშუალება მისცეს?" ან, უფრო მარტივად და უფრო რეალისტურად რომ ვთქვათ — „დაარტყას თუ არა პრეზიდენტმა გვარდიას?" — შემდგომში ადამიანთა ცნობიერებაში სახე იცვალა და ასეთ ბრალდებად ჩამოყალიბდა პირადად ჩემ მიმართ: „იმ ხალხს რომ მოუწოდე თბილისის ზღვისკენ მოსასვლელად ან ქუჩაში გამოსასვლელად, რათა გვარდიაზე თავდასხმა არ დაეშვა, განა უკეთესი არ იქნებოდა, გვარდია რომ იქვე გაენადგურებინათ და შემდგომ გადატრიალება აღარ მომხდარიყოო?!". პასუხს ვაძლევ: არა, უკეთესი არ იყო. ეს აბსოლუტურად მიუღებელი გეგმა იყო და მისი განხორციელების მცდელობა აბსოლუტურად მცდარი ნაბიჯი იქნებოდა. ჯერ ერთი, ის გვარდიელები გასანადგურებელნი არ იყვნენ. ესენი იყვნენ არა მობილიზებული, არამედ მოხალისედ მოსული, და არა ძალაუფლებისა და პატივის საძებრად, არამედ მხოლოდ საქართველოს დასაცავად მოსული ახალგაზრდები და ოდნავ უფროსები, რომელნიც ქართველი ერის ერთ ყველაზე უფრო აქტიურსა და მებრძოლ ნაწილს ეკუთვნოდნენ. რუსული აგენტურა, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვი, სადღაც ჩრდილიდან მოქმედებდა და მოვლენათა მიმართულებას საზღვრავდა, გვარდიელთა ეს შემადგენლობა არ იყო. მეორე. გვარდიას ვერ გაანადგურებდნენ, რადგან, თავისი ცუდი მომზადების მიუხედავად, იგი მილიციაზე და პრეზიდენტის მიერ მოყვანილ ახალ ჭყინტ შემადგენლობაზე მაინც შეუდარებლად უკეთ იყო მომზადებული. გარდა ამისა, იგი თავის თავსაც იცავდა და, ამასთან ერთად, თავის ღირსებასაც (სხვათა შორის, იცავდა მას შეურაცხყოფისგანაც, საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებთო). გარდა ამისა, შემტევ მხარეს დიდი უპირატესობა სჭირდება დამცველ მხარესთან შედარებით, რეალურად კი, როგორც ვთქვით, მდგომარეობა სწორედ საპირისპირო იყო. მესამეც, მეორის შედეგად: ოთხასორცომდაათი გვარდიელის განადგურებისას, თუკი ეს მოხდებოდა, დაიღუპებოდა სამჯერ ამდენი კაცი ხელისუფლების მხარეს. ყოველ მათგანს ეყოლებოდა ერთი-ორი ძმა და ბიძაშვილი, რომელიც მათ დამხოცავზე შურისძიებას მოინდომებდა (რადგან ქართველი კაცი დღეს, სამწუხაროდ, ბევრად უფრო მკაცრი და მომთხოვნია სისხლის ძიებაში მეორე ქართველისაგან, ვიდრე უცხოსაგან, როგორიცაა როდიონოვი, არძინბა, გორბაჩოვი და არაერთი სხვა) და საქართველოში ატყდებოდა არა ბუტაფორული, თუმცა მსხვერპლიანი ომი, როგორიც თბილისში ჩატარდა ორი თვის თავზე, არამედ მწარე და ბევრად უფრო სისხლიანი ომი, რომლის შედეგად ხელისუფლება უსათუოდ დაემხობოდა, როგორც კატასტროფის ვერამცილებელი (რადგან იმას, რასაც ვამბობ, სხვა არაფრად ჩათვლიდნენ, თუ არ კატასტროფად), და პრეზიდენტი წავიდოდა არა როგორც წამებული, როგორც წავიდა, არამედ როგორიც დამნაშავე და ქვეშევრდომთა სისხლის დამქცევი. იმის საჩვენებლად, რომ ხელისუფლებისა და გვარდიის კონფლიქტის ჩაქრობა შეუძლებელი იყო ძალისმიერი ზემოქმედების გზით, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ზემოხსენებული კითხვა კმარა: მოემატა თუ არა ძალა გვარდიას 3 ოქტომბრიდან 22 დეკემბრამდე, როცა სროლა დაიწყო? არა, არ მოჰმატებია (თქმული არ ეხება ტყვია-წამლით მომარაგებას რუსული საწყობებიდან, რაც, ცხადია, არ შეიძლებოდა არ მომხდარიყო არაერთი ქართველი ნაძირალის ხელით. მხედველობაში მყავს ცოცხალი ძალა, რაც გადამწყვეტია. ტყვია-წამალი, როგორც ქვემოთ ვიტყვი, ორივე მხარეს ჰქონდა). დააკლდა რამე ხელისუფლების ძალას დროის ამავე მონაკვეთში? არა, არ დაჰკლებია (გამესამედდა გვარდიის ცოცხალი ძალა და არა ხელისუფლებისა). დასკვნა, მე მგონი, ნათელია.

ასე რომ ერთადერთი გამოსავალი ხელისუფლების მხრიდან ამ ვითარებაში მოლაპარაკება იყო. მთელი პასუხისმგებლობითა და ხაზგასმით ვამბობ: გამოსავალი იყო. ეს გამოსავალი იყო მხოლოდ რალაცა არაორდინარული, თუ გნებავთ — გმირული ნაბიჯის გადადგმა, თუნდაც ზღვაზე თვით პრეზიდენტის ასვლის ან მისი რალაცა განსაკუთრებით წონიანი მოციქულობის ასვლის სახით, რალაცა არაორდინარული გარიგების სახით და ასე შემდეგ. როგორც მინიმუმი, ეს იყო ქალთა შთამბეჭდავი დელეგაცია უმაღლეს დონეზე, რაც ნაყოფიერი იქნებოდა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# საჭირო წიგნი

პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველად საქართველოში დაიწერა და გამოიცა პოლიტოლოგიის სახელმძღვანელო. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის ხელშეწყობით და ამავე უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის ინიციატივით შესაძლებელი გახდა პოლიტოლოგიის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში. 1991 წელს გამოცემული პირველი სახელმძღვანელოს „პოლიტოლოგიის" ავტორები არიან ბატონები: **ი. რეხვიაშვილი, ჯ. ჯალიაშვილი და მ. ხოჭოლავა**. პოლიტოლოგიის კათედრის გამგეა ბ-ნ **ირაკლი რეხვიაშვილი**, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. კათედრაზე მოღვაწეობენ ცნობილი მეცნიერები: ვ. ჭანუყვაძე, მ.თეთვაძე ჯ. ჯალიაშვილი, კ. ტოტოჩავა, ს. ბაქანიძე, ო. გოგიაშვილი, შ. ვანიშვილი, ნ. მებონია, ა. ციციშვილი, ვ. ხოჭოლავა და სხვები.

ახლახანს ამ კათედრის ინიციატივით მკითხველმა მიიღო შესანიშნავი წიგნი „პოლიტიკა. კვინტესენცია", რომელშიც მოცემულია კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე ცნობილ პოლიტიკოსთა, სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერთა, ფილოსოფოსთა, პოეტთა და მწერალთა მიერ გამოთქმული აზრები პოლიტიკის რაობაზე საერთოდ, სახელმწიფოებრივ წყობილებებზე, სახელმწიფოს მართვის მექანიზმებზე, პოლიტიკურ ლიდერთა თვისებებზე და ა. შ.

წიგნის შესავალში ბ-ნი ირ. რეხვიაშვილი, ამ წიგნის ერთ-ერთი თანაავტორი და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, აღნიშნავს, რომ ... „ეს მეცნიერება (პოლიტიკა) უაღრესად მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც ეხლა მოიხსენებენ ლათინური სიტყვით „ელექტორატი". მის ცხოვრებაში ძალიან ბევრი, თუ ყველაფერი არა, დამოკიდებულია იმაზე, როგორ გაერკვევა იგი პოლიტიკის, ხელისუფლებისა და არჩევნების ურთულეს პრობლემებში".

ბ-ნ ირაკლის ეს სიტყვები, ფაქტიურად, მიმართულია ქართველი ამომრჩევლებისაკენ, რომელთა პოლიტიკური ცნობიერების დონე, სამწუხაროდ, ძალზე დაბალია და ვფიქრობთ, ეს წიგნი დიდად დაეხმარება მათ გაერკვიონ ქვეყნის პოლიტიკური ცნობიერების სხვადასხვა ასპექტებში და ამდენად, მართებული არჩევანიც გააკეთონ კარსმომდგარ არჩევნებში.

ვუსურვებთ ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის თანამშრომლებს კვლავაც ბევრჯერ გაეხარებინოთ მკითხველი მათ მიერ მომზადებული შესანიშნავი წიგნებით და იმედია, უნივერსიტეტის რექტორატი მომავალშიც მათი აქტიური თანამდგომი იქნება.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

პოლიტიკა

კვინტესენცია

# დეპუტატთა შერჩევის «აქოური წესი»

მე-7 გვერდიდან

*ისე, დაცვაც გყავს, „დაცუნიც“ ხარ სუკის ხეზე დაცმული“.*

როგორც ჩანს, „მშვენიერ ფრაზებს“ ბ-ნი „ჯანუკი“ მხოლოდ პოლიტიკოსებს არ უძღვნის და ყურადღებას არც იმ ახალგაზრდობას აკლებს (იმედი მაქვს, მხოლოდ პარლამენტს გარეთ დარჩენილებს გულისხმობს ...), რომელთაგანაც, თურმე, „ზოგი იმპოტენციას უჩივის, ზოგი პირიქით ...“. ალბათ, პარლამენტში გამართულმა „ინტელექტუალურმა დებატებმა“ მიიყვანა პოეტი შემდეგ დასკვნამდე:

***„კაცმა რომ თქვას, სუყველაფერს უნდა თავისი ნიჭი,***
***როცა ბიჭი ბიჭზე აფრენს, გოგო ხდება ბიჭი.***
***... როცა გოგო გოგოს ყვარობს, ბიჭი ხდება გოგო“.***

ცხადია, ამის დამწერი, მართლაც



განსაკუთრებული ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოვებული და, უთუოდ, დღევანდელ პარალამენტში უნდა იჯდეს. ვთქვათ, გასაგებია, რომ სქესთა შორის ურთიერთობები „ევროპულად მოაზროვნე“ კაცისათვის (როგორც თავად აცხადებს „ზეპარტიულ-პოლიტიკური პარტიის „ვე.ჩე.პე“-ს პრეზიდენტისათვის.), უაღრესად აქტუალური საკითხია და მისმა პოეტურმა „დეფინიციამ“ შეიძლება სააკაშვილის მორიგ „რევოლუციურ კანონსაც“ დაუდოს სათავე, მაგრამ როგორ ავხსნათ ზოგიერთი დეპუტატის „კუთხური აზროვნება“.

მაგალითად, ვიცესპიკერმა, გიორგი კობახიძემ, გაიხსენა, რომ, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ ერთ-ერთ დეპუტატს „კანონზე სასუბროდ“ მიკროფონი ჩაურთო, დარბაზში, თურმე, „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო ...“ გაისმა. როგორც ალმოჩნდა, ოპერატორს შეშლია და სხვა კლავიში ჩაურთავს, ხოლო, დარბაზში მყოფს, ფეხი ფეხზე გადაედო და, მისი აზრით, თავისთვის ღილინებდა. ამის შემდეგ, მეორე დეპუტატს 5 ლარიანი უსქრია „ერთი, თუ ძმა ხარ, „ბათუმს ქათქათას“ დაამღერეო ...“ („ახალგაზრდა ივერიელი“, 20. 04. 99).

მართალია, დღევანდელ პარლამენტში იურიდიულ კომიტეტს ადრინდელივით ზოოტექნიკოსი არ ხელმძღვანელობს, მაგრამ სახელმწიფოსა და სამართლის სპეციალისტები, როგორც ჩანს, „სელექციონერებს“ არ აინტერესებთ. სხვათა შორის, არც ამომრჩეველი და მასმედია უნდა იყოს მათ მიმართ სიმპატიით განწყობილი. ფაქტია, დეპუტატთა შორის ამ დარგის სულ რამოდენიმე პროფესიონალია, ხოლო 10-მდე პარლამენტარი შეთავსებით თსუ იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტია.

თუ ასევე გავაგრძელებთ, ცხადია, საშემოდგომო არჩევნებში რეჟისორებთან და პოეტებთან, ისტორიკოსებთან და ფიზიკოსებთან ერთად, ალბათ, კვლავინდებურად არც ბაზრობების დირექტორებს, სიგარეტისა და საწვავის მსხვილ იმპორტიორებს, გამაგრილებელი სასმელების ადგილობრივ მწარმოებლებს, ჩინოსან პოლიციელებს და სკოლის მასწავლებლებს დავივიწყებთ.

პარლამენტის მძაფრსიუჟეტიან სხდომებზე „ძალადობის სცენების“ სიმრავლეს თუ გავითვალისწინებთ, უპრიანი იქნებოდა საკანონმდებლო ორგანოში კულტურის, მეცნიერებისა თუ ბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად შეძლებისდაგვარად მეტი კუნთმაგარი სპორტსმენიც წარმოგვეჩინა. მაგ. ფეხბურთელებთან ერთად, დეპუტატებად მკლავჭიდელების, სამბისტების და საერთოდ სხვა ძალოსნების არჩევა რეალურ შანსს მოგვცემდა არა მარტო რუსეთის დუმა დაგვემარცხებინა „ბურთაობაში“, არამედ თურქეთის მეჯლისსაც და თუნდაც ამერიკის კონგრესსაც „გავმკლავებოდით“, ან მარჯვე ილეთით მთელი ბუნდესტაგი „ბეჭებზე გაგვეკრა“.

ამასთან, თუ აქცენტს მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ქართველ მოჭადრაკე ქალებზეც ავილებდით, პარლამენტში გამართული „ინტელექტუალური დებატების“ დონის გაასმაგებასთან ერთად, ნებისმიერი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსაც ან თუნდაც ევროპარლამენტსაც უთუოდ „დავაშამათებდით“.

ცხადია, არც მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის დამპყრობლები უნდა დაგვრჩეს პარლამენტს გარეთ. მითუმეტეს, რომ ალპინისტთა ფედერაციის საპატიო თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ყოფილა, ჰიმალაებზე ექსპედიციის საორგანიზაციო კომიტეტს თურმე ის ხელმძღვანელობდა და როგორც ჩანს, მართლაც უმაღლეს დონეზე გაურთმევია თავი (სამწუხაროდ, საკანონმდებლო საქმიანობაზე ვერ ვიტყვი იგივეს). მართალია, ჯერჯერობით ამერიკელებს ვერც მარსზე ან თუნდაც მთვარეზე გაფრენაში გავეჯიბრებით, სამაგიეროდ „კომუნიზმისა“ თუ „გამარჯვების“ პიკებზე ნამდვილად ვერავინ აგვასწრებს. პარლამენტის დაკომპლექტება თუ ადრინდელივით გაგრძელდა ცნობილ მსახიობებთან და რეჟისორებთან ერთად, დეპუტატთა შორის მომღერალ-მოცეკვავეებსაც, ალბათ, საკმაოდ ვიხილავთ. ცხადია, პარტიულ სიებში სახელოვანი სპორტსმენებიც გავლენ მოწინავე პოზიციებზე და მოსახლეობაში მათი პოპულარობის გათვალისწინებით, წესით არც მაჟორიტარებში უნდა გაუჭირდეთ ლიდერობა. დარჩენილ ადგილებს, ალბათ, ჩვეულებისამებრ, „პოლიციელები და ქურდები“ დაიკავებენ. ასე რომ, გამორიცხული არ არის დავით სალარიძის, კახა თარგამაძისა და თემურ მღებრიშვილის გვერდით დეპუტატთა სავარძლები „ძებნილმა“ იგორ გიორგაძემ, „ბოევიკმა“ თენგიზ კიტოვანმა და „ტერორისტმა“ აკაკი ელიავამ დაიკავონ.

ამასთან, არცთუ უსაფუძვლოა მასმედიის შეშფოთება მომავალი არჩევნებისათვის „საბრძოლო რაზმების“ შექმნისა და პოლიტიკურ მოწინაალმდეგეთა შორის „მუშტი-კრივისა“ თუ „ხოცვა-ჟლეტის“ საკმაოდ მაღალი ალბათობის თაობაზე. გასულ წელს ლაგოდეხში, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებისას გამართულმა „ბატალიებმა“ და წელს უკვე ტრადიციად დამკვიდრებულმა სამშაბათის „სპარინგებმა“, როგორც ჩანს, „რეფორმის მამებიც“ კი ჩააფიქრა. სააკაშვილმაც აღიარა, ჩვენს მაყურებელს „ბევრი არაეთიკური სურათის ნახვა უწევსო“.

ამდენად, ბ-ნ გოგი ხარაბაძისა და მისი კოლეგების — შემოქმედებითი ელიტის პარლამენტის წევრებად მოწვევაში, უდავოდ დიდი სიბრძნე უნდა იყოს ჩადებული.

ჯერ ერთი, მსახიობებით, მომღერლებითა და მოცეკვავეებით პარლამენტის დაკომპლექტების შემთხვევაში (ცხადია, პოპულარული „პასეანსელებიც“ და „დიდების ზღაპრის“ პერსონაჟების გამხმოვანებლებიც არ უნდა გამოგვრჩეს ...) პარლამენტის სხდომები სანახაობრივადაც და მოსასმენადაც გაცილებით ეთიკურიც და ესთეტიკურიც გახდება.

მეორეც, არაფერი დაშავდება, თუ მომავალი დეპუტატები მხოლოდ 50-მდე, ან თუნდაც სულაც 5-იოდე კანონს მიიღებენ. თუ პარლამენტმა კანონის უზენაესობა ვერ დაამკვიდრა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები გონივრულად ვერ განსაზღვრა და მთავრობის საქმიანობასაც ვერ გაუწია ჯეროვანი კონტროლი, მართლაც გინდ 500 კანონი მიუღია, გინდ 1500 ...

მთავარია, ცეკვა-თამაშით დაკავებული დეპუტატები სახელმწიფოს გაცილებით ნაკლებ ზიანს მიაყენებენ, ვიდრე დღევანდელი, ფაქტობრივად, „ბიზნესმენები“.

**ავთანდილ კახნიაშვილი,**
თსუ დოცენტი

## თვალსაზრისი

# SOS! მახრჩობელა ილეთის ჩატარება უკვე დაგვიწყეს!...

მე-7 გვერდიდან

ისევ ჩვენი ხალხის დემორალიზების სულმდაბალი მიზნით! (იგივეთი დაიწყო და მოხდა თავის დროზე აფხაზეთში, ოღონდ გაცილებით შენილბულად).

თავჩარგული სირაქლემას პოზიცია ყოველთვის დამღუპველია და მითუმეტეს, როცა მახრჩობელა ილეთის გაკეთება უკვე კარგახანია დაგვიწყეს!...

თავსმოხვეულ ე. წ. მსოფლიო წესრიგის მოთხოვნებს, ფაქტობრივად, ხშირად (და უმეტესადაც) მასონურ-კლანური და მაფიოზური ინტერესები განსაზღვრავენ — ე. ი. არ შეიძლება ბრმად თავწახრილები ყველაფრის დათმობის ხარჯზე უზენაეს დოგმად მათ აღიარებაზე ვიდოდეთ... ჩვენი სახელმწიფოებრივი საპასუხო სამთავრობო ქმედებანი კი უმთავრესად ანტისახელმწიფოებრივად არაადექვატურია.

სწორედ ანტისახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით და დანაშაულებრივი საგარეო თუ საშინაო სახელმწიფო პოლიტიკით ხელისუფლებამ აბსურდის რეალიზების არენად აქცია სახელმწიფო „საქართველო“...

...ეროვნული თანხმობა (და მთელი ერის აუცილებელი მობილიზება) ილუზიაა, შეუძლებელია საკუთარ ხალხთან მართალი (შინაგანად გულწრფელი) ხელისუფლების გარეშე. სხვაგვარად... მარცხი გარდაუვალი და ლოგიკურია!!!

ყოველგვარი პოლიტიკის არსი ადრე თუ გვიან შედეგით ცხადდება და თუ ჩვენში ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში ჩვენი ხელისუფლება (საკუთარი ხალხის მიმართ შეფარული გენოციდის მთელი კომპლექსის ფაქტობრივი შედეგებით, ანტიეროვნულად შეირაცხება... აქედან გამომდინარე ყველა მისაგებელით! (რამეთუ თითოეული ერი მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიული რეალობაა, მონაპოვარია და მითუმეტეს, პლანეტის ყველა ქარტეხილგამოვლილი მყარი ერთიანი ეროვნული ცნობიერების მატარებელი ერი ოთხიათასწლოვანი (თუ უფრო მეტი ხნის), თვითმყოფადი კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით).



ერთხელაც, ჩვენი ხელისუფლების პასუხად (რომ მზადდება მასალები არძინბას გადასაცემად საერთაშორისო ტრიბუნალისთვისო), ნიშანდობლივი იყო მუქარა არძინბას ერთ-ერთ საპასუხო ინტერვიუში: „საერთაშორისო ტრიბუნალზე გადასაცემ სიაში გაცილებით მაღალი თანამდებობის პირები მოხვდებიანო საქართველოდან“ — მკვახე და კატეგორიული იყო ეს მინიშნება (თარილი არ გვაგონდება, თუმცა შეიძლება დაზუსტებაც). სხვათაშორის, ამის შემდეგ იგი „ბ-ნი არძინბა“ გახდა ჩვენს პრესაში.

ამაზრზენი და ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლება კვლავ შეგნებულად და პერმანენტულად ძაბავს მდგომარეობას, ერთმანეთისაგან თიშავს საზოგადოებას — ახერხებს საერთაშორისო არენაზე ერის იმიჯის, მისი კულტურული სახის დამაკნინებელი ფონის შექმნას(?!). ავიღოთ თუნდაც ბოლო დროს მწვავე ვნებათაღელვის გამომწვევი ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტებიდან ეროვნების გრაფის ამოღებას ეხებოდა და გაუგებარ პრობლემად იქცა. რა თქმა უნდა, ეს პრობლემაც გადაწყდება, მაგრამ მთავარი სხვაა — რატომ შეიქმნა იგი, რატომ და ვინ გაგვიხადა „უკვანტავი საკვანტავად“, საიდან მოდის მისი „აგორების“ მიზეზ-საფუძველი?! ვინ შექმნა პრობლემა და თავად ჩრდილში დარჩა... დიახ, ეს საკითხი ადრე თუ გვიან გადაწყდება, მაგრამ ის ზიანი, რაც ქვეყნის პრესტიჟს ამ მზაკვრულმა აყალ-მაყალმა მოუტანა, ძნელად გამოსწორდება.

დიახ, დღეს გაცილებით დახვეწილად ხდება მსოფლიოს თვალში ინსპირირება ჩვენი „უმწიფარობისა“, „უკულტურობისა“ და „ველურობისაც“ კი...

თვით დავითისა თუ გორგასალისადმი (რომ არაფერი ვთქვათ აბო ტფილელზე), უპატივცემულობა-შეურაცხყოფაც(?!) კი დასწამეს და საქვეყნოდ უკიჟინეს ამ კანონის ოპონენტებს (გამყიდველ ბუნებას ჭეშმარიტად არა აქვს ზღვარი — ყველაფერს იკადრებს 30 ვერცხლისათვის! ასეთების დანდობა არ ეგების და ისე, რომ სხვას ამის გაბედვის თავი აღარასოდეს ჰქონდეს). ასეთი პროვოკაციების ავტორი ხელისუფლების ხელში ჩვენ ვერასოდეს მოვიგებთ იდეოლოგიურ ომს — დღეს კი ყველა დიდი საქმის წამოსაწყებად ესაა უმთავრესი მსოფლიოში.

ხვალ იგივე ეიფორია-ქაოსი უკვე სხვა მტკივნეული, ისევ ხელოვნურად „შექმნილი“, პრობლემებით ახლად აგორდება, ქუჩებში გადმოიღვრება და ისევ მსოფლიოს თვალში ქვეყნის პრესტიჟის საზიანოდ! მაშინ, როცა ასეთი საკითხები ნორმალური ხელისუფლების ხელში წყნარ, საქმიან, აკადემიურ და უმთავრესად კონფიდენციალურ ვითარებაში წყდება და არა რადიო-ტელევიზიითა და ქუჩის პირობებში (ეს მზაკვრობაც „დემოკრატობანას“ ნიღბით ხორციელდება ჩვენში და ეს ნიღაბია ხელისუფლებისაგან სასწრაფოდ ჩამოსაგლეჯი, თორემ საზოგადოებისა და ქვეყნის გადაგვარება-რღვევა, ნგრევის პროცესი კატასტროფულია).

საქართველოსათვის ზედგამოჭრილია: ძლიერი ცენტრი — ძლიერი რეგიონებით! ეს ძალზე რეალური და ადვილია საქართველოში, ოღონდ ძალუძს მხოლოდ ნამდვილად გონიერ, ჭეშმარიტ მამულიშვილს და ძლიერ ხელისუფალს!... სულ სხვაა დღევანდელობის რეალობა. დიახ, ქვეყნის უბედურებათა სათავე უმთავრესად სისტემატურად არაჯანსაღი იმპულსებია ცენტრიდან...

...შეიქმნა არაკონსტიტუციური ე. წ. მხარეები (რეგიონები), რაც, ალბათ, პრობლემებს შექმნის „ერა“-სთან მიმართებით მათთან ერთად ზოგიერთი სხვა „ხელოვნური“ რეგიონების სავარაუდო სპონტანური ლტოლვა-ურთიერთობებით... ასე შეიძლება ქვეყნის მასშტაბით ცენტრიდანული სტიქიური მოძრაობა წინასწარ გათვლილ („დაგეგმილ“, პროვოცირებულ) საყოველთაო ანარქიაში გადაიზარდოს... „თავის დროზე“. (ყველა კუთხეში „მოიძებნება“ ასალზევებლად მედროვე სეპარატისტი „გუგულის ბარტყი“ ლიდერი). სხვათა შორის, ე. წ. „არაკონსტიტუციური რეგიონის“ „ერა“-ში განევრიანების პრეცენდენტიც ჩვენგან დაიწყო (ჯერჯერობით იმერეთით. ხვალ??).

ძალზე საინტერესოა, რას ეხებოდა ის ე. წ. კონფიდენციალური შეხვედრა (ასე მოიხსენია იგი პრეზიდენტმა), ბატონების — შევარდნაძისა და ჭაჭიას შორის, ამ უკანასკნელის აჭარაში „მივლინებამდე“. ნიშანდობლივია რომ, თუ გავიხსენებთ, ადრინდელი ერთი შეხვედრა ბ. ბ. შევარდნაძესა და ჩიბიროვს შორის რამდენიმე დღის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნით დამთავრდა...(?!) (ეს ბუნჩულა კაცი, არც თუ ცენტრის „წაქეზების“, მისგან გარანტიების გარეშე, უკიდურეს რადიკალად გარდაისახა).

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი ანალოგიისაგან (არც გვინდა დავიჯეროთ), მაგრამ ხომ არ მოეცარა ჭაჭიას ფეხი ასეთივე ფარსისათვის აჭარაში (რაც ისეთი ერისკაცისა და ფხიზელი პოლიტიკოსისათვის, როგორიც ბ-ნი ასლანია, ჭკუათმყოფელთ ვერც უნდა შეებედნათ), და ამბიცია-სეპარატისტული დავალების რეალიზება ფოთში განიზრახა?! (წინასწარვე უმდაბლესად ვიხდით ბოდიშს ასეთი მკრეხელური ჰიპოთეზისათვის, თუ კი იგი, ღვთის წყალობით, არასწორი აღმოჩნდა და ჩვენი ეს შეშფოთება-ეჭვი არა გვგონია ბატონი პრეზიდენტისა და ბატონ ჭაჭიასათვისაც გაუგებარ მოულოდნელობად დარჩეს. თუმცა, თუ ადრინდელს გავიხსენებთ, კვლავ ღიად რჩება კითხვა: მაინც „ვინ არის“ დღევანდელი ჭაჭია?!). ლეგენდად მოარული ქუჯისა და ცოტნე დადიანის ნაგრამი მაინც ვერ წარმოგვიდგენია სრულიად ქართული დიდი საქმის (ერთობის) ავის მოსურნე ბრმა იარაღად (თანაც ნიჭიერი კოლხი!) — პირიქით, გვინდა გვჯეროდეს ჩვენ და ასეც იქნება!... თუ პროვინციულმა პოლიტიკურმა ამბიცია-ისტერიებმა მასაც არ გაუმრუდა ხედვა... არა გვგონია, შეხსენება გვჭირდებოდეს, რომ ყოველგვარი სეპარატიზმი (ცენტრისგან განდგომა), რაგინდ კეთილშობილი მიზნებითაც არ სულდგმულობდეს, ასუსტებს და თავისი არსით დამანგრეველია ქვეყნისათვის! (ცალკე თემაა, რთულიც, მაგრამ ძირითადში იგივე უნდა ითქვას „ამბოხება-გადატრიალებათა გზით“ ცენტრალური ხელისუფლების დამხობაზე).

...ვაღიაროთ, „გარეშე ძალამ“ შესძლო და მოახერხა „უფრო კომპრომისული ლიდერის“ იმიჯის მოსაპოვებლად დოლში გაეჯიბრებინა ქვეყნის პირველი სავარძლის პრეტენდენტი ჩვენი „დიდი ერისკაცები“: — გააჯიბრეს შევარდნაძე გამსახურდიას (როგორც გამსახურდიაც — შევარდნაძეს), ან შემდგომაც — შევარდნაძე — ჩიკვაიძეს, შევარდნაძე სიგუას და კიდევ ვის და ვის...!!! ყველა ეს გაჯიბრება-ჯირითი საქართველოს სახელმწიფოებრიობას ახალ-ახალ უმტკივნეულეს კომპრომისებად უჯდებოდა. ვინც ყველაზე მეტი დათმო, ნიჭიერადაც ითამაშა, იმან „გაიმარჯვა“... აღარ კმარა?! ნუთუ ჩვენშიც ვერ უნდა გაილვიძოს ბრეხტისეული „კავკასიური ცარცის წრის“ გონიერებამ: „ბავშვს ნუღარ შევიწირავთო“...

— სამშობლო ეწირება დღეს ამ ჭუჭყიან ქიშპობას!

ჩვენს სავალალო ყოფას განსაკუთრებით აღრმავებს ის, რომ ჯერაც პრაქტიკულად და საყოველთაოდ ვერ ამოქმედდა (მიუხედავად პარტიათა ერთობ მრავალრიცხოვნებისა), მძლავრი, თვითმყოფადი მყარი პოლიტიკური ბაზის მქონე დამოუკიდებელი პოლიტიკური ხედვის პარტიები. არსებულთა უმრავლესობა ან ჩრდილოეთზე, ან დასავლეთზე მიბმულ მარიონეტულ თუ პლაგიატურ ძალებს წარმოადგენენ, რაც ქართული ელექტორატის (გარდა ინერტულობისა), გათიშვა, გაუცხოება, დაბნეულობასაც იწვევს. ამით კი ბოროტად სარგებლობს უკვე სახელგატეხილი და კორუმპირებული, ანტიეროვნულ ჭაობში ჩაფლულ-ჩათრეული ხელისუფლება — აშკარად ხორციელდება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სრული პარალიზება და ბლოკირება...

კეთილმეზობლური, ერთიანი კავკასიის მნიშვნელობას ჩვენ ვერავინ გვასწავლის (ალბათ, პირიქით — განსაკუთრებით ილვწის ამისათვის საქართველოს ინტელიგენცია), მაგრამ სახელმწიფოებრივი გაერთიანება (ფედერაცია თუ კონფედერაცია), დღეს მისთვის არაბუნებრივი, მტკივ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

უწინარესად სამძიმარი და ნუგეში მინდა ვუთხრა ლევან მურადაშვილის დედას, თუმცა, ნუგეში შვილმკვდარი დედისთვის არცკი ვიცი არის კი რამე, თვით ყველაფრის გამგებელი დროც კი ვერ უყუჩებს და უურვებს ამ ტკივილს დედას...

მიუხედავად ჩემი თანაგრძნობისა დაზარალებულისადმი, არ შემიძლია უპასუხოდ დავტოვო ქეთი ჩადუნელის წერილი გაზეთ „საქართველოს“ №20-ში „საშინელი მკვლელობა“.

ჩემი პასუხის მიზანი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია: 1. უდანაშაულო ახალგაზრდების სულის გადარჩენა, რათა მართლა არ დავამახინჯოთ და არ მივაახლოვოთ დამნაშავეთა სამყაროს ისინი და მეორე — გამწარებული დედა ისეთ ტკივილს მაინც მინდა ავარიდო, რასაც ე.წ. „მკვლელების“ დაუსჯელობით გამოწვეული განცდები იწვევს.

ანუ იმის დარწმუნებას შევეცდები, რომ „მკვლელებად“ შერაცხული ბიჭები: ბრეგვაძე, გოგიძე და ლუდუშაური ღვთისა და სულმნათი ლევანის წინაშეც მართლები არიან.

მაშფოთებს და მადარდებს მოყვასის სასიკვდილოდ გამეტება ასე იოლად როგორ ძალუძთ და იმდენად მაფრთხობს სიკვდილის აჩრდილი — გახშირებული და გაუბრალოებული, რომ დარჩენილთა სიცოცხლეს უფრო ვეფოფრებით და უფროც უნდა გავუფრთხილდეთ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ სხვა პირებთან ერთად დაკავებულმა ბრეგვაძემ, გოგიძემ და ლუდუშაურმა გულწრფელად აჩვენეს, რომ მკვლელობის ღამეს იმყოფებოდნენ ერთად, გოგონებთან შესახვედრად შემზადებულები და საბედისწეროდ, მკვლელობიდან რამდენიმე წუთში აღმოჩნდნენ შემთხვევის ადგილზე, რასაც ადასტურებს ბრეგვაძის მიერ ნანახი სისხლის გუბე, რომლის დაფიქსირება კრწანისის პოლიციას რატომღაც ხელს არ აძლევდა, რა თქმა უნდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იოლად იპოვეს არიადნას ძაფი, ანუ მოტივი, რითაც შეძლებდნენ გამოუცდელი და გულუბრყვილო ბიჭების მკვლელის როლში გამოყვანას. ეს მიზეზი გახლდათ უბანში მომხდარი უამრავ ჩხუბთაგან ერთ-ერთი, ბრეგვაძისათვის ერთადერთი, რომლის დროსაც, თუ კონკრეტულად ან გარდაცვლილი ლევან მურადაშვილიც მონაწილეობდა, არც კი იცოდა. ამის დასტურია ის, რომ ჩხუბის მერე, როგორც ქალბატონი ზაირა აცხადებს, ბრეგვაძის და ლევანს კი არ ემუქრებოდა, არამედ ვინმე „სიკოს“ საძებნელად წასულა, რადგან უცნობ ბიჭებს თ. ბრეგვაძე „სიკოს“ სახელით უცემიათ და არა ისე, როგორც ქალბატონი ზაირა აცხადებს, თითქოს ბრეგვაძემ სცემა ვინმე აკაკი.

ბრეგვაძის, გოგიძისა და ლუდუშაურის დაკავების მიზეზიც სწორედ ეს ჩხუბი გახლდათ, მაგრამ ის, რაც კრწანისის პოლიციის თანამშრომლებმა გააკეთეს, ოპერატიული მუშაობა კი არ არის, როგორც ქალბატონი ზაირა აცხადებს, სისხლის სამართლის დანაშაულია, რადგან უკანონო გზებით, უფრო პირდაპირი თუ ვიქნები, საშინელი ცემითა და მუქარით მიიღეს „აღიარებებითი“ ჩვენება, რათა როგორმე გაეხსნათ მომხდარი მკვლელობა.

ბიჭები რომ ნაცემები არიან, ამის თაობაზე ჩვენც — ადვოკატებმა და მათაც განაცხადეს და დააფიქსირეს. რაც შეეხება „აღიარებას“, თავად ოპერატიული მუშაკები მიხვდნენ, რომ ძალად დაწერილ ჩვენებას, რომელსაც არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, დიდი ხნის გამძლეობა არ ეწერა, თუმცა დაკავებულები არ ეთმობოდათ და არათუ სასტიკად „ამუშავებდნენ“, ათასნაირ დეზინფორმაციასაც ავრცელებდნენ, რითაც დაზარალებულის ოჯახი ხელოვნურად აამხედრეს ბიჭების წინააღმდეგ.

„კაზ“-ში შესულს ბიჭები თვალცრემლიანები გვთხოვდნენ: „ტყუილად გვლუპავენ, სიმართლეს არ გვალაპარაკებენო“, ჩემი თანდასწრებით ჩვენებას იძლეოდნენ, როგორც იყო და ამის მერე ღამის 3 საათზე ამოყავდათ კამერიდან თ. ბრეგვაძე და ცდილობდნენ აეძულებინათ თავის თავზე აეღო მკვლელობა. ვის რად უნდა ასეთი ან ჩვენება, ან დაბრალებული მკვლელის პოვნა? მე მჯერა, რომ გარდაცვლილის დედას ნამდვილი მკვლელის პოვნა სურს და არა პოლიციელთა მიერ იოლად ნაპოვნი გამოსავალი, ანუ ძალადობით დღეს ყველას ყველაფერს ათქმევინებენ. ვინ ვინ და ამის მაგალითები უამრავი ვიცი.

არადა, ძიება სწორედ იმ გზით უნდა წასულიყო, თუ რატომ და ვინ თხოვდა ფულს ან გარდაცვლილს.

არის სხვა ბევრი ნიუანსი, რომელიც საქმეს ახლავს, მაგრამ უფლება არა მაქვს გამოძიების მასალები გამოვამზეურო. იმ საკით[illegible] ვეხები მხოლოდ, რამაც გაზეთის ფურცლებზე გაიჟღერა.

რაც შეეხება დაკავებულთა ტანსაცმელზე აღმოჩენილ სისხლის კვალს, აქაც შეცდომაში ჰყავთ შეყვანილი დაზარალებული, რადგან თ. ბრეგვაძეს აქვს არა I, არამედ II ჯგუფის სისხლი და ის ლაქაც, მისი წინა დღეებში გაჭრილი თითიდან გამოსული სისხლის წვეთებია.

აღნიშნული ბიჭები სამ დღეში კი არა, მეხუთე დღეს გაუშვა კრწანისის პროკურატურამ, რითაც არა მარტო მათი დაკავების ვადა დაარღვია, უფლებებიც და გაშვების მიზეზიც სწორედ ის იყო, რომ არავითარი საფუძველი უდანაშაულო ბიჭების დაკავებისა არ ჰქონდათ. პოლიციელთა ძალადობით კი ძიება ფონს ვერ გავიდოდა, რადგან დარწმუნებით ვაცხადებ — ბრეგვაძეს, გოგიძესა და ლუდუშაურს მკვლელობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

დასაფიქრებელია, რატომ გაეხიდა კრწანისის პოლიცია მომხდარ დანაშაულსა და დაკავებულთა შორის, რატომ აირია ასე გზა-კვალი და ვინ იცის, ამით როგორ შეეშალა ხელი ნამდვილი მკვლელების დადგენას.

მწამს, უთუოდ გაცხადდება ჭეშმარიტება, რადგან ამქვეყნად დაფარული არაფერია, მაგრამ სწორედ ამ დიდებული ბიჭის სასიკვდილოდ ასე გამეტებამ უნდა ჩაგვაფიქროს, რომ მეტი გაფრთხილება გვმართებს ერთურთის, არ შეიძლება მკვლელებად მოიხსენიო უდანაშაულო ბიჭები... დიდმა მწუხარებამ უფრო უნდა გამოგვაფხიზლოს, რადგან თურმე ასე ახლოა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი...

**ეკა ბესელია**
**ადვოკატი**

**რედაქციისაგან:** *დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, პრესა ვალდებულია ორივე მხარის პოზიცია დააფიქსიროს. ამ შემთხვევაშიც ეს პრინციპი დავიცავით. რაც შეეხება ამ საზარელ მკვლელობას, გვინდა ვირწმუნოთ, რომ კრწანისის პოლიცია, პროკურატურა და სხვა სათანადო ორგანოები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ მკვლელის, თუ მკვლელების ვინაობა დადგინდეს და ისინი მკაცრად დაისაჯონ. ჩვენის მხრით შევეცდებით კონტროლზე ავიყვანოთ ეს საკითხი და პერიოდულად ვაცნობოთ საზოგადოებას გამოძიების მიმდინარეობის შედეგები.*

# საგადასახადო სამსახურს მეტი მხარდაჭერა სჭირდება



განვითარებულ და, შეიძლება ითქვას, ნორმალურ ქვეყნებში გადასახადი არის ძირითადი დამაკავშირებელი მოქალაქესა სახელმწიფოსთან. მოქალაქე გადასახადებს იხდის იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს მის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას მისი სიცოცხლე, ქონება და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი უფლებები. იმ ქვეყნებში მოქალაქე თავის თავს „გადასახადის გადამხდელსაც“ უწოდებს ხოლმე, რაც პრინციპში ერთი და იმავე ცნების ორი სხვადასხვა სახელია. დასავლელ მეწარმეთა აბსოლუტური უმეტესობა შემოსავლის ლამის მესამედს იხდის არა მარტო თავისი უფლებების დაცვაში, არამედ იმაშიც, რომ მის ქვეყანაში შიმშილის, მანანწალობის და უმუშევრობის პრობლემები აღმოიფხვრას. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან სამოქალაქო ცნობიერება დასავლეთში უფრო სხვა გზით ჩამოყალიბდა, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

საქართველოში „გადასახადის გადამხდელის“ ცნების ჩამოყალიბებას მარტო საბჭოურმა რეციდივებმა კი არ შეუშალა ხელი, არამედ მრავალი დამატებითი ფაქტორი გაჩნდა, რომელიც მხოლოდ საზოგადოების მოუმზადებლობას არ შეიძლება დავაბრალოთ. მართლაც, მორალურად რამდენად გამართლებული იქნება, მოსთხოვო გადასახადების გადახდა კაცს, რომელსაც ბანკიდან თავისი დანაზოგი ვერ გამოუტანია, რომელსაც ახდევინებენ ფულს არა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვაში, არამედ მხოლოდ იმაში, რომ ის ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს. (75% საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობისა დღეს უმუშევარია).

გარდა ამისა, აუტანელი გადასახადები (სხვა ფაქტორებზე რომ არაფერი ვთქვათ) გარესით ემუქრება ჯერ კიდევ წელმოუმაგრებელ ქართულ სამოქალაქო საზოგადოებასა და ახლად ფეხადგმულ ქართულ მრეწველობას. საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს, რათა აღმოიფხვრას დღეს გაბატონებული მონოპოლიზაცია და კლანობრიობა, გაიმიჯნოს ის დარგები, რომელთა სტიმულირებაც უნდა სახელმწიფოს, იმ დარგებისაგან, რომლებიც პირიქით, დასამუხრუჭებელია. ამ ფონზე, საგადასახადო სამსახურის მუშაობა, შეიძლება ითქვას, აუტანელია.

გთავაზობთ ინტერვიუს ხაშურის საგადასახადო სამსახურის უფროსთან **შალვა მურჯიკნელთან.**

**— თქვენ გადმოსული ხართ რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურიდან. თქვენი პრაქტიკა და გამოცდილება გეხმარებათ ახალ ადგილზე მუშაობაში?**

— სხვათა შორის, ცენტრალური აპარატიდან რაიონში კადრების გადაყვანის პრაქტიკა შემოღებულ იქნა ბ-ნ დავით სალარიძის მიერ. მე ამ კაცს დიდ პატივს ვცემ. მან ბევრი კარგი დანერგა ჩვენს სისტემაში და ბევრი კარგი გააკეთა. ცენტრალური აპარატიდან გადმოსული კაცი იმას ნიშნავს, რომ იმან იცის საკითხი რესპუბლიკურ დონეზე. იქაური ენაც იცის და რაიონის სამზარეულოშიც არის ჩახედული (თუ ეს კაცი იქ გადავა, სადაც თავისი რაიონია). რა თქმა უნდა, შედეგებიც უკეთესი იქნება. ჩვენც ახლა ჩვენი გადასახედიდან საკმაო პრაქტიკა ჩამოვიტანეთ და შედეგებიც კარგი გვაქვს. ამაზე უკვე სხვებმა უნდა ილაპარაკონ, სხვამ უნდა შეაფასოს. ცენტრალური აპარატიდან გადასული კაცი რაიონში უფრო უკეთეს შედეგებს იძლევა. ამის დიდი პრაქტიკა გვაქვს.

კადრებს რაც შეეხება, კადრი ისეთი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციაში, რომ ჯერ ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს, მერე შესახედაობით უნდა გამოირჩეოდეს, მერე ჩაცმულობაც შესაფერისი უნდა ჰქონდეს და კვალიფიკაციაც. თუ კაცი განათლებულია და თავისი საქმის პროფესიონალი, იმას ავტომატურად პატივს სცემს ის გადამხდელიც. თუ არადა, ის კაცი არაფრად არ აგდებს. ჩვენს სამსახურში, ჩვენს უწყებაში მეტი კვალიფიკაციაა საჭირო. დღეს ისეთი დროა, რომ მხოლოდ დიპლომის ქონა აღარ ნიშნავს კარგ სპეციალისტობას.

**— თქვენი დანიშვნის შემდეგ გადაახალისეთ კადრები?**

— ჩემი ჩამოსვლის მერე რამდენიმე თანამშრომელი გავუშვი იმ მოტივით, რომ არ შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას. მიწის გადასახადების ამკრეფი ინსპექტორების რაოდენობა 43-ია. ჩვენთან ისეთი სისტემაა, რომ ძირითადი საშტატო ერთეული, რომელსაც აფინანსებს რესპუბლიკის ბიუჯეტი, მცირეა, ხოლო მიწის გადასახადების ამკრებ ინსპექტორებს ადგილობრივი მმართველობა აფინანსებს. ძირითადი საშტატო ერთეულიდან გავუშვით 4, ადგილობრივიდან — 12 კაცი. ვფიქრობ, შეიძლება კიდევ გავუშვა რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, გეგმას ვერ ასრულებენ. ჩვენთან ძირითადი არის 33 შტატი და ერთნაირი შემართებით უნდა იბრძოდნენ გეგმის შესასრულებლად.

**— ხელშეკრულებით თუ გყავთ ვინმე?**

— ხელშეკრულებით გვყავს ერთადერთი გამონაკლისი — დამლაგებელი. საერთოდ, არ შეიძლება ჩვენთან ხელშეკრულებით მუშაობა.

**— გეგმა რამდენი აქვს ხაშურის რაიონის საგადასახადო სამსახურს?**

— გეგმა საშუალოდ 250000-300000 ლარის ფარგლებშია. ზოგჯერ არის 350000 ლარი. ეს არის რაიონის ბიუჯეტისთვისაც და ცენტრალური ბიუჯეტისთვისაც.

**— თუ ხერხდება ამ გეგმის შესრულება?**

— როგორც გითხარით, დღემდე ყველა თვის გეგმა შესრულებული გვაქვს. პრობლემები არის, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებთ გეგმის შესრულებას. თქვენ იცით, ალბათ, რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს, გვქონდა შეხვედრები, დაისახა ახალი ამოცანები, დაისახა დამატებითი რეზერვების ძიების გზები და თვის ბოლომდე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ გეგმა შევასრულოთ.

**— რა ძირითად პრობლემებს გამოყოფთ?**

— არის უამრავი ხელისშემშლელი პირობა. საგადასახადო სამსახურს მეტი მხარდაჭერა სჭირდება. გადამხდელი ჯერ არ არის ისეთი გაკულტურებული, რომ თავისი შემოსავლები არ დაუმალოს სახელმწიფოს, ჩვენი საზოგადოება არ არის იმისათვის მომზადებული. მხარდაჭერა საჭიროა ყველა იმ სტრუქტურის მიერ, ვინც უნდა დაგვეხმაროს. ჩვენ ვართ უიარაღო ხალხი, რომლებიც სიტყვითა და კანონით ვებრძვით გადამხდელს. ერთადერთი იარაღი არის კანონი, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, რომელიც ჩვენისთანა ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, ცხოვრების ახალ მშენებლობას იწყებს, კანონი და საგადასახადო ინსპექტორი ბევრს ვერაფერს გააკეთებს. ხელი უნდა შეგვიწყოს სასამართლომაც, პოლიციამაც, პროკურატურამაც, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმაც, ყველამ ერთობლივად უნდა დავაყენოთ ეს სამსახური ფეხზე. ახლა იცით, რომ ხელფასები იგვიანებს, საზოგადოებაში გავრცელებულია ის აზრი, რომ საგადასახადო ინსპექტორი ვერ ღებულობს ხელფასს და შეიძლება არც საჭიროებს, ეს მცდარია. საგადასახადო ინსპექციაში არის ხალხი, რომლებიც 30 ლარზე ცხოვრობს და იმ კვარტალურ პრემიაზე, რომლის აღებას ხან ვახერხებთ და ხან არა. რა თქმა უნდა, ესეც პრობლემაა. იმ დონემდე მივედით, რომ ქაღალდის ყიდვაც არ შეგვიძლია უკვე. რა უნდა ქნა, ხომ უნდა იმუშავო, უმუშევრობას არავინ გაპატიებს.

**— გისურვებთ წარმატებებს.**

 იზოლდა ცირდავა,
ნათია ჭანტურია.

*თვალსაზრისი*

# SOS! მახრჩობელა ილეთის ჩატარება უკვე დაგვიწყეს!...

ნეული იძულებითი აქტი იქნება, ძალზე სავალალო საბოლოო შედეგებით. კეთილმეზობლური თანაცხოვრების, თანადგომის მიმართებით მუშაობის უდიდესი და უძველესი ტრადიციები და გამოცდილებაა საქართველოში, თუმცა სამწუხაროა, რომ ამ საქმეს უკვე მთელი უკანასკნელი ათწლეულია თითქმის მთლიანად გამოეთიშა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. იმედი გვაქვს, რომ ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განახლებული ხელმძღვანელობა და სხვა ტრადიციული კავკასიოლოგიური ცენტრები თუ ქვედანაყოფები უახლოეს ხანში თავის სიტყვას ხმამაღლა იტყვიან.

ამასთანავე, ფედერალიზაციის (და არა ჩვ. ეკონომიკური თანამშრომლობა-ინტეგრაციის) თავსმოხვეული ეს პროცესი თუ ნამდვილად ფატალურად გარდაუვალია, რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ეს ძალადობა დაუშვებელია, მარტო ამით საქმეს არ ეშველება! დროზე უნდა მივიდეთ რაღაც ერთ აზრამდე, სახელმწიფოებრივ გადაწყვეტამდე...

...იქნება ეს, ფატალური ძალის მიერ ორგანიზებული დინება-მიმართულება თუ მოძრაობა, შეძლებისდაგვარად ჩვენთვის უმტკივნეულოდ შედარებით მართვადი გავხადოთ მასში ჩვენივე ჩართვით (ჩანაცვლებით) და თუნდაც ერთობლივად ალტერნატიული მოდელის მოძიება-შეთავაზებით.

„უკიდურესი ვითარებისათვის“ გასააზრებელია საკითხთა მთელი კომპლექსი — როგორ შევხვდეთ ამ ე. წ. ფედერაციას, მათ შორის ისიც, თუ ვისი „მოთავეობით“ მოგვიწევს შესვლა (თუ შეთრევა-შეგდება) მასში და შეგვიძლია თუ არა ალტერნატიული თუნდაც პიროვნული არჩევანი მოვახდინოთ (მოვამზადოთ) და „ვისით შეიძლება“ ეს ჩვენი სახელმწიფოებრივობისათვის მომავალში უფრო სასურველად წარიმართოს (ჩვენგან განსხვავებით მეზობელი სომხეთი ამ მხრივაც „ყოველმხრივ“ მზადაა!). ყოველი შემთხვევისათვის ასეთი ვარიანტიც სასწრაფოდ გასააზრებელი, გადასაწყვეტი და წინასწარ მოსამზადებელია...

...იქნებ, ხსნის „ნაკლები ბოროტების გზაზეც“ ვიფიქროთ — შედარებით საყოველთაოდ მისაღებ თუნდაც მხოლოდ „ერთი მესამედით გარანტირებულ“ შესაფერის „მტკიცე ვარიანტზე“!...

ჩვენ, სამწუხაროდ, ძალზე ვაგვიანებთ და ჯერაც ვერ შევძელით დასავლეთის ჭეშმარიტი ცივილიზაციის არსებითად და გლობალურად დაინტერესება იმ თვითმყოფადი კულტურული ფენომენით, რასაც საერთოდ კავკასია და კერძოდ, საქართველო ჰქვია — დღევანდელ ოფიციალურ მერკანტილურ მსოფლიოს ჩვენში მხოლოდ მომგებიანი ბიზნესის უმნიშვნელოვანესი სივრცე (გზაჯვარედინი) და მათებურად ასათვისებელი „დღემდე უპატრონო“ ეგზოტიკური ბუნება თუ ტერიტორია აინტერესებთ. ამას ემსახურება ჩვენზე ყოველმხრივი ზეწოლა. დღევანდელ ასეთ „ოფიციალურ დასავლეთში“ კი რუსეთთან მიმართებით ერთადერთი კლასიკური ალტერნატივის ძიება რთულდება... ბრძნული ოქროს შუალედია საძიებელი და მისაღწევი!!! უფრო კონკრეტულად, ამას აკადემიური სახელმწიფოებრივი გადაწყვეტა სჭირდება და არა ყბადაღებული საორშაბათო ინტერვიუების სერიალები. „საპარლამენტო შოუსპექტაკლები“, ან კიდევ გაზეთებით და ე. წ. სამთავრობო მიტინგებით გადაძახილი. ამას ნორმალური ხელისუფლება ესაჭიროება...

მიუხედავად კრიტიკული ზღვარისა, არ ვთვლით, რომ კატასტროფის პროცესი შეუქცევადი და გარდაუვალია! იგი მოვლადია, საზოგადოების სახელმწიფოებრივ თვითშეგნებასა და პასუხისმგებლობაზე დაყრდნობით ღია სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის იდეოლოგიის გარშემო მთელი მოსახლეობის, საქართველოს ყველა მოქალაქის კონსოლიდაციით, მისი მძლავრი პოლიტიკური აქტივობის ბაზაზე. ამას ერის ერთსულოვნება, ერთიანი ფრონტის შექმნა და, მუხლჩაუხრელი უშელავათო მუშაობა და ბრძოლა ესაჭიროება!... და რაც უმთავრესია — საქმეს ჭეშმარიტი მამულიშვილის ნება უნდა წარმართავდეს!!!

**დ. დავითიონი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვე გვერდიდან

# „ზანგი რაფრათაა ფრანგი?!“



ანაირად ვერ მოერგება. ერი ერისაგან, ახლა რო მოისურვილეს, რა ჰქვია, ის გვინდაო, მოქალაქეებიო, უამრავი ნიუანსით განსხვავდება. თითოეულ ერს აქვს საკუთარი, განუმეორებელი ხასიათი, ბუნება, კულტურა, განათლება, ტრადიცია, აზროვნება, შრომასთან დამოკიდებულება, ბუნებასა და ქვეყანაზე მორგებული კანონმდებლობა და ამისი ასე ხელაღებით გადმოტანა არცერთ ვარიანტში არ მოგვცემს შედეგს და არც გვაძლევს. მთლად უკან და უკან რო მიდის საქმე, ხომ უყურებ!... რადიოში მოვისმინე ამ წინეებზე, კახეთის გუბერნატორის მოადგილე ლაპარაკობდა, მგონი: შარშანწინ ასი ათასი ჰექტარი დავხანით, შარშან — ორმოცდათვრამეტი ათასი და წლეულს მხოლოდ ოცდათვრამეტი ათასიო!.. ესაა პარლამენტის აგრარული კომიტეტის მუშაობის შედეგი? და კიდევ და კიდევ ასეთი კომიტეტები გვინდა და ამდენი პარტია ამისათვის იბრძვის? რა გაასწორებს ჩვენს ქვეყანას წელში!..

**— აი, გუბერნატორი ახსენეთ და კიდევ ერთი კითხვაც დაიბადა: საჭიროდ და სწორად მიგაჩნიათ თუ არა საქართველოს მხარეებად ანუ გუბერნიებად დაყოფა? პროგრესული სიახლეა ეს?**

— არავითარი გუბერნიები და არავითარი კუთხეებად დაყოფა!.. თუ სამართავად გინდა... მე არ ვიცი, რა მოგვცა მაგნაირმა მმართველობამ, მაგრამ, თუ სამართავად გინდა, კი ბატონო, დაყავი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად და მართე, რამდენიც გინდა!.. რა შუაშია ეს კუთხეებად დაყოფა?! რა მაქვს, ვთქვათ, გასაყოფი მე გურულთან? სამად სამი რაიონია გურიის გუბერნიაში. არაა მეტი გურია და!.. ათი თუ თერთმეტი რაიონია იმერეთში თავის ქუთაისიანად. ეს ხომ თვითონაა რამდენიმე რაიონის ხელა!.. ეგერ, სამეგრელოში, უზარმაზარი კუთხეა, ხომ? ერთ გუბერნიაშია მოქცეული. აგერ, რაჭა რომ ალარაფერ შუაში ალარაა — ორი კაკალი კაცი დარჩა — ისიც გუბერნიად გინდა?! ახლა ლეჩხუმი! მაღლაკი გვაქვს ჩვენ, სოფელ ლეჩხუმზე დიდია ხალხიან-ტერიტორიანა!.. ჩვენ კი გუბერნიას ვარქმევთ მას და შტატებსაც ვუსვამთ?! კი მარა, რა საჭიროა ეს?! ხალხის მოთხოვნაა თუ! პირიქით მგონია!.. რაც ჩვენი ისტორიიდან წაგვიკითხავს, ყველა წინდახედული მეფე საქართველოს გაერთიანებაზე ოცნებობდა და იბრძოდა კიდევაც ამისათვის!.. ვის ვუკეთებთ რევიზიას, დავით ალმაშენებელს?! მეფე აფხაზთა, კახთა და სომეხთაო, რომ წერს მემატიანე, ეს იმას კი არ ნიშნავს — მეფე აფხაზეთის, კახეთის და სასომხეთისაო!..

არა ვართ ჩვენ მაინცდამაინც სანდო ერი! კარგად გავითვალისწინოთ ეს და თვალიც გავახილოთ. არ გვინდა ამნაირები!.. მოჩვენებითობამ დაგვღუპა ჩვენ და დაგვაქცია! კომუნისტებს ჩვენ მაგ ერთ სიკეთეს გამოვრჩით — მოშალეს გვარიშვილობა და ამისთანა რაღაცეები. ძალიანაც კარგი! ახლა კიდევ ის შეუქმნიათ... თავადაზნაურთა კლუბი თუ რაღაც ჯახნაბა!.. მეც მომაკითხეს, მობრძანდითო, თქვენ ხომ ის იყავითო და რაღაც სისულეები!.. არაფერიც არ ვიყავით-მეთქი...

**— როგორ არა, ტახტის აზნაურებად არ მოიხსენიებოდით?!**

— არავითარი მნიშვნელობა ამას არა აქვს! კაცი კაცად ვარგოდეს და ქვეყანა უყვარდეს. ესაა მთავარი!.. ისე კი, ყველა ქართულ გვარს, რა თქმა უნდა, თაყვანს ვცემ.

უწინ ეს ჩვენ არც ვიცოდით. მე, მაგალითად, ისე ჩავედი თბილისში, რომ იმერელი რომ ვიყავი, არც ვიცოდი. თბილისში მითხრეს, ასეაო. ახლა ძალდატანებით ვამკვიდრებთ აზრს, რომ შენ, ქართველი კი ხარ, მაგრამ ცოტა სხვანაირი ქართველი ხარ, ვთქვათ, იმერელი ან აჭარელი, მეგრელი ან ქართლელი. რად გვინდა ეს?!.

ამერიკაში ქუჩებს ნომრები ჰქონიათ, სახელწოდებებით კი არ ყოფილა თურმე გამოყოფილი — ნომრებით!.. მივაწეროთ ჩვენც ნომერი. ვთქვათ, ამა და ამ ნომერ ტერიტორიის მმართველი და არა — გუბერნატორი!.. გარდა ამისა, ტერიტორიულადაც ისე დაყავი საქართველო, რომ დასამხარი იყოს ყველასათვის. იმიტომ, რომ, ვთქვათ, თუ კაცი იმ კუთხისაა, მაგრამ, აგერ, ამ კუთხესთან ახლოს ცხოვრობს, პენსიის მისაღებად მაინცდამაინც იმ კუთხეში იაროს?! რას ჰგავს ეს!..

**— გარდა ამისა, ბატონო ოტია, თუ გაქვს ეს ინსტიტუტი შექმნილი, მაშინ კონსტიტუციურადაც ხომ უნდა გქონდეს დაკანონებული?**

— ეს კიდევ ცალკე საკითხია. რასაკვირველია, კანონმდებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული!.. ეს, მაგ მხრივაც, სადავოა. არაა ჯერჯერობით, კანონში მოქცეული. ვითომ მცდელობა იყო — რამდენად გაამართლებდა. განსაკუთრებულს მაგაში ვერაფერს ვამჩნევ. ვითომ სხვა მიზნისთვისაც იყო ჩაფიქრებული, ოსეთისა და აფხაზეთისათვის, ისინიც საქართველოს გუბერნიებად გადაიქცეოდნენო, მარა... რომ ვერ გაამართლა და ვერც გაამართლებს, ეს ხომ ვიცით!.. ვიმეორებ, არ სჭირდება ეს ჩვენს ქვეყანას!.. გვახსოვს, რაც ხდებოდა ამ კუთხურობის ნიადაგზე უწინ. აგერ, უსაყვარლესი და უახლოესი, თვითონაც რომ უყვართ ხუმრობა — უპირველესი ქართველები რომაა, მეგრელები... მეგრელებისა და გურულების წინააღმდეგ როგორი ბრძოლები ჰქონდა სოლომონ პირველს!.. ისე იოლად არ კვდება ყოველივე, ჩვენ რო სურვილი გვაქვს!.. სადღაც დარჩენილია ის ჭია და არ უნდა იმას გაღვიძება და პეპლად გამოყვანა!..

**— დარჩეს ჭუპრად.**

— ჭუპრად დარჩეს და ჩაკვდეს იმ ჭუპრში!.. ერთი სიტყვით, მართე, როგორც მოგეპრიანოს, მაგრამ ამისთანა რამეს მოეშვი!..

**— და საერთოდაც, ბატონო ოტია, ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ეროვნულ გაერთიანებაზე, შერიგებაზე, მაგრამ ყოველივე ეს ფორმალურად გამოიყურება, საქმით არ მტკიცდება. საქმით შერიგება...**

— რთულია!.. ფორმალურად იმიტომ ჩანს, რომ საქმის წახდენაა იოლი. თუ გინდა, ერთ წუთში გააფუჭებ კაცს. გახვალ ახლა ქუჩაში და შეაგინებ ვინმეს დედას. დაგიფაროს ღმერთმა!.. იტყვიან: მარტო იგი კი არა, მთელი ქალაქი იგინებოდაო!.. მერე მთელი ცხოვრება დაგჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ პატიოსანი კაცი ხარ!..

ჩვენ დიდი, მიუტევებელი შეცდომები მოგვივიდა. აი, ეს ქნა კუთხეებად დაყოფამ. აი, თუნდაც ამის მაგალითი: მიდიხარ, რაღაი არ დაგვინდეს, აფხაზეთში საბრძოლველად, ხომ? წადი, ძმაო, და იბრძოლე. მეგრელიც წამოვა შენთან ერთად და იმერელიც, გურულიც და კახელიც, მარა, რას დაბოდიალობ ამ სამეგრელოში? რას ეძებ აქ? ვისაა, რომ არბევ? კი, მართალია, არმია მშიერ-მწყურვალი იყო და, რა თქმა უნდა, უნდა ილლიტოს, იგლახაოს და ამოიყოროს კუჭი! ერთხელ ჯაბამ თქვა: რა მოხდა ერთი ძროხა, ბიჭებს შიოდათო!.. ძროხა ღმერთი იყო ი კაცისთვის! ინდოეთში ძროხას არ კლავენ, ღვთაებად მიაჩნიათ. რა გინდა აქანე, რომ დაწრიალებ?! ვის, კაცო, ვის ებრძვი, შენს სისხლსა და ხორცს?! არბევ საკუთარ ქვეყანას?!

**— აუპატიურებ კიდევაც!..**

— ამაზე ხომ ენაც ვერ მომიბრუნდება!.. ვის, კაცო, შენსავე დასა თუ დედას? იმათ შენ უნდა იცავდე მტრისაგან და შენ თვითონ?! მოვამთავროთ, თუ კაცი ხარ, თუ არა, გამისკდა გული!.. ან მკითხველს რას ვერჩით!..

**ესაუბრა გიზო ზარნაძე**
*22 ივნისი, წყალტუბო*

მერვე გვერდიდან

# ნოდარ ნათაძე: რაც ვიცი

იმიტომ, რომ ორსავე ბანაკში ზნეობრივი ღირებულებების ერთი და იგივე შკალა სუფევდა. (საქართველოს ისტორიისათვის ამგვარი მოციქულობა უცხო არ არის). მაგრამ ეს არ მოხდა. ასეთი დელეგაცია არ შეიკრიბა არც ხელისუფლების მხარის, არც საქართველოს პოლიტიკური თუ კულტურული ელიტის იმ ქალთა შორის, რომელთაც დიდი მოწიწების ან თუნდაც უბრალო პატივისცემის პრეტენზია აქვთ. ამგვარად, გასაკეთებელი და შესაძლებელი არ გაკეთდა. ამის არგაკეთება მხოლოდ კატასტროფულ და მიუტევებელ სისუსტედ და უუნარობად შეიძლება შეფასდეს, რომელსაც ვერც ხელისუფლებას, ვერ საზოგადოებას ვერანაირი ბრალის სხვაზე გადატანა ვერ მორეცხავს.

თბილისის ზღვაზე მყოფი, რა თქმა უნდა, ვერ ვხედავდი, ქალაქში რა ხდებოდა. სიზუსტე რომ დავიცვა, კი ვგრძნობდი, მაგრამ სრულად ვერ ვიაზრებდი, რომ შეუძლებელი იყო, ქალაქი უკიდურეს აფორიაქებას არ მოეცვა. როგორც მერე მითხრეს, მოსახლეობა ქუჩაში იყო გამოსული. მის განწყობილებაზე უშუალო მოწმობას ვერავის მივცემ, რადგან იქ არ ვიყავი, მაგრამ ვიცი — ისევე როგორც ყველამ იცის, ვინც თბილისში იყო იმ დღეს — რომ იგი გადაუხიდავი კონფლიქტით იყო გახლეჩილი და ერთ ბრბოზე მეორე ბრბოს მისვლის უშუალო საშიშროების წინაშე იმყოფებოდა.

დღის განმავლობაში ორჯერ თუ სამჯერ ჩამოვედი ქალაქში, მაგრამ რუსთაველზე არ გავსულვარ. სალამოსკენ ცნობილი გახდა, რომ რუსთაველის გამზირზე ივერიის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე უზარმაზარი მასა იყო თავმოყრილი და გამყოფი ხაზი ერთის მხრივ „ოპოზიციონერებსა“ და მიუდგომელ შემატკივრებს, მეორე მხრივ კი „ზვიადისტებს“ შორის სადღაც რუსთაველის თეატრთან გადიოდა. უკვე დაბინდებული იყო, თბილისის ზღვაზე ამოსულმა ტელეჟურნალისტმა მამუკა არეშიძემ რომ ამბავი მითხრა „ძალიან დაძაბული მდგომარეობაა, თქვენი იქ ყოფნა საჭიროაო“. ალბათ, იგულისხმებოოდა, რომ, რაკი ტელევიზიამ გადაიღო ჩემი მოწოდება, „გამოდით ქუჩაში და გვარდიაზე დარტყმა არ დაუშვათ-მეთქი“, და რაკი ამ ფირს ატრიალებდა, როგორც ჩემს წინააღმდეგ დესტაბილიზაციაში დადანაშაულების საბუთს, ჩემს იქ ყოფნას და ჩემს ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ თავისი დამაშოშმინებელი მნიშვნელობა ექნებოდა. რა თქმა უნდა, ჩავედი. იყო დაახლოებით თერთმეტის ნახევარი — თერთმეტი საათი. ზევით, ზღვაზე მდგომარეობა შედარებით დაწყნარებული იყო, რადგან მრავალრიცხოვანი მილიცია იქ ახლო-მახლო აღარ ჩანდა, თუმცა გვარდიელები მაინც ხან მასირებულ დარტყმას, ხან ზღვის გაღმიდან სნაიპერების ამუშავებას ელოდნენ (ეს უკანასკნელი, მე მგონი, რეალური არ იყო დიდი მანძილის გამო). რუსთაველზე რომ ჩავედი, იქ მართლა შემზარავი რაღაცა ტრიალებდა. მიჯნის იქით, „ზვიადისტებისკენ“ დინამიკის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა და მასის გუგუნი ისმოდა. აქეთ, ივერიისკენ ხალხი დაბნეული იყო, გაოგნებული, თავზარდაცემული. მასის უმეტესობა, მე გონი, მაინც მიუდგომელნი იყვნენ. მიუხედავად ამისა, დაპირისპირების ისეთი ინერცია იყო უკვე აღებული, რომ მისი დაცხრომის არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა. წინ მყოფნი ორსავე მხარეს აგინებდნენ ერთმანეთს. იყო მეტ-ნაკლებად ცნობილი პოლიტიკური ფიგურების გადათრევა (მე მგონი გადმოთრევაც) და ცემა. ვილაცეებმა „ივერიის“ მხარეზე მყოფებმა მილიციას უბადრუკი ავტომატები წაართვეს (უმეტესად — ლულაგანახვრეტი სასწავლო) და გააქრეს. ხელისუფლების მხრიდან მოხდა ავტომატების სროლა ჰაერში. იმ ლამეს წარმოითქვა მიკროფონში და მთელ პროსპექტზე გაისმა ყოველგვარ რწმუნებას მოკლებული დეპუტატის, ა. რცხილაძის ინსტრუქცია ვილაცისადმი, ვისაც მისი არანაირი მორჩილება არ ჰმართებდა: „დამიზნებით ესროლეთ, ფეხებში (თუ მხოლოდ „ფეხებში ესროლეთ“, ვერ გეტყვით) მოკლე ჯერებით“. როგორც შემდეგ მითხრეს, რცხილაძე მაშინათვე გაათრიეს მიკროფონიდან და ხმა ჩააკმენდინეს.

იმ სიტუაციაში მე, როგორც სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს და, ასე ვთქვათ, გვარდიის დაცვაზე ნაამაგარ კაცს, იქ არავითარი წონა არ მქონდა. პროცესს სხვები მართავდნენ. ჩემთვის თვალსაჩინო იყო, რომ არაფერი შემეძლო. ამიტომ წამოვედი და ღამე შორი-ახლო, ყაზბეგის ქუჩაზე სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში დავრჩი. არ დავმალავ: ჩემს წამოსვლაში შიშიც იყო იმის თაობაზე, რომ ის უზარმაზარი დანაშაული, რაც მზადდებოდა და რასაც სამოქალაქო შეტაკება ჰქვია, ჩემს პირად პასუხისმგებლობას არ შეჰხებოდა. თუმცა ამას უკვე იმასთან შედარებით, რაც ხდებოდა, ნაკლები მნიშვნელობაღა ჰქონდა. შტაბ-ბინაში ბევრნი ვიყავით და სულგანაბულნი ყურს ვუგდებდით, ხომ არ მოვა რუსთაველის მხრიდან სროლის ხმა. სროლის ხმა არ მოსულა, მასის ღრიანცელი კი აქამდე ვერ აღწევდა ვერც მაშინ, თუ შენობაში იყავით, და ვერც მაშინ, თუ ქუჩაში იდექით. ვერ მოვითმინე და გათენების ხანს ალექსანდრე (ნანატრი) ჩიტიშვილთან ერთად მისი „ნივით“ რუსთაველზე ჩავედით. პროსპექტი სრულებით ცარიელი იყო. ხელისუფლება მოერია „ოპოზიციურ“ მასას და ქუჩის გაწმენდა შეძლო. შესაძლოა, გაწმინდა ცეცხლით (ჰაერში). შესაძლოა, ხალხი თვითონ გაერიდა ამ სახიფათო და უპერსპექტივო დაპირისპირებას. ამ კითხვის ცალსახა პასუხი მე არ მაქვს. ხმა, როგორც ვთქვი, ყაზბეგის ქუჩაზე არ მოსულა. ხელმოწერითი წიგნების მაღაზიამდე („ზარია ვოსტოკა“-დან ოცდაათიოდე მეტრის მანძილზე) მივედით და გავჩერდით. პროსპექტზე მეჩხრად მოდიოდა ყვითელი ელფერის „ტრასირი“ ტყვიები — ძირითადად, მეორე სართულის დონეზე (და იშვიათად თუ ჩამოდიოდა მოსიარულის სიმაღლემდე). იმ დღესვე და მერეც თქვეს, ხელისუფლებას ამ ფუნქციისთვის ჩეჩნების ჯგუფი ჰყავს ჩამოყვანილიო. მაგრამ მე ეს (თითქმის კატეგორიულად ჩემიძლია ვთქვა) არ მჯერა.

როგორც მერე მითხრეს, ყველა, ვინც იმ დროს უზენაესი საბჭოს შენობაში იმყოფებოდა, ცივ ოფლში ცურავდა (რაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივია და რაც, რა თქმა უნდა, შიშით ახსნას არ ექვემდებარება). ერთადერთი, ვინც, პრაქტიკულად, ზუსტად მოქმედებდა და საქმეს უძღვებოოდა, იყო გვენცაძე. იმ ღამის კრიზისმა, როგორც იქნა, გადაიარა. გვარდია ზღვაზე დარჩა და შემდგომი გაურკვევლობა დღეებითა და კვირეებით გაიჭიმა. პირადი შემადგენლობა თანდათან შემცირდა და თავისი ძველი რაოდენობის ნახევარზე ქვემოთ ჩამოვიდა. როგორ ხდებოდა ეს, არ ვიცი გარდა ამ პროცესის ერთი ნაწილისა. სახელდობრ, „იმედი“ წამოვიდა გვარდიის განლაგებიდან ზღვაზე ასვლის ორი-ოთხი კვირის თავზე (თარილს ამაზე უფრო ზუსტად ვერ მოგახსენებთ), რითაც რეალურად განხორციელდა ის, რაზედაც ლაპარაკი იყო თბილისის ტელევიზიასთან დგომის დროს /იხ. ზემოთ/. მაგრამ — ხაზს ვუსვამ — ეს მხოლოდ ამის გამო შესაძლოა არც მომხდარიყო, რადგან ზემოხსენებული შვეულმფრენის გამოჩენამ ყველა იქ მყოფი უკიდურესად გაამწარა და, ამგვარად, დადებული პირობა დარღვეულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. გარდა ამისა, სისხლი იყო დაღვრილი, მათ შორის — იმედელის მალხაზ ჯიბლაძისა, რომელიც ზემოთ ვახსენე, ერთი იმათგანისა, ვისაც „იმედის“ თვალი ეთქმოდა. მისი სიკვდილი არაპირდაპირ, მაგრამ ეჭვგარეშე პრეზიდენტს ჰბრალდებოდა და მე მახსოვს პირადად ჩემი ღრმა გამწარებაც, რომელსაც მალხაზ ჯიბლაძის გასვენების დროს ვგრძნობდი.

ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით არ მაქვს უფლება არ ვთქვა შემდეგი. არსებობს ეჭვი და ამ ეჭვით გამოწვეული კითხვა: მალხაზ ჯიბლაძის მოკვლას მიზნად ხომ არ ჰქონდა იმედელების გამწარება, რათა მოეხდინათ მათი სტიმულირება შეიარაღებული მოქმედებისათვის პრეზიდენტის წინააღმდეგ? „იმედი“ ამას არ წამოეგო აუცილებლად მიმაჩნია შემდეგის თქმაც. არც ერთი წამით არ ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა დროის მილიციის იმ ოფიცრობაშიც და რიგით შემადგენლობაშიც, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დაცვას ახორციელებდა (მათ შორის, რასაკვირველია, პრეზიდენტისას), და „ომონშიც„ ანუ განსაკუთრებული დანიშნულების რაზმში არ იყო ძალიან ბევრი პირი, რომლისთვისაც ამ ვითარებაში რუსეთის სასარგებლოდ მუშაობა ანუ საქართველოს წინააღმდეგ მუშაობა სამსახურებრივი მოვალეობის უბრალო შესრულება იყო. ზვიად გამსახურდიამ უნდობლობა არ გამოუცხადა ამ ძალას და მისი დაშლა, გაცხრილვა და ხელახლა აწყობა არ ცადა, არამედ, მათი ადამიანური ბუნებრივი შეგნებით დაიმედებულმა, ისინი პირდაპირ სამსახურში ჩაიყენა. მართალი ვთქვა, მის ადგილას მეც ამას ვიზამდი. მაგრამ ცხადია (იმ დროისთვისაც და ყველა მომავალი ანალოგიური ვითარებისთვისაც): ეს უდიდესი და საბედისწერო შეცდომა იყო.

მალხაზ ჯიბლაძის სიკვდილმა ძალიან გაართულა ფსიქოლოგიური მდგომარეობა „იმედში“. მისი წევრები იმთავითვე მზად იყვნენ იმისთვის, რომ ყოველი მათგანი შეიძლებოდა დაღუპულიყო, მაგრამ არა იმისთვის, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ამ სახით. ამ მძიმე ფონზე შედარებით მცირე გარემოებებმა იკმარა, რომ „იმედში“ განხეთქილება გაჩენილიყო. იქ, თბილისის ზღვაზე „იმედი“ ორად გაიყო. დაახლოებით ორი მესამედი „იმედის“ თავკაცის დ. ხომასურიძის ჩათვლით დაეთხოვა კიტოვანს, იარაღი ჩააბარა და ზღვიდან წამოვიდა, დანარჩენი ერთი მესამედი გვარდიაში დარჩა. წამოსულები, ცხადია, მარნეულში თავისი დისლოკაციის ადგილზე ველარ დაბრუნდებოდნენ, რადგან იარაღი არ ჰქონდათ, ამიტომ შინ წავიდნენ.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ „იმედი“, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, იურიდიულად ამ დროს აღარ არსებობდა, როგორც ცალკე ერთეული, რადგან იგი გვარდიის შექმნისთანავე მთელი შემადგენლობით შესული იყო მასში. ამდენად, იმის გარკვევა, „იმედის“ რომელ ნაწილს ეკუთვნოდა ამ სახელის მემკვიდრეობა — წამოსულს თუ დარჩენილს — უაზროა. მე პირადად უყოყმანოდ ჩავთვალე, რომ იგი ეკუთვნოდა წამოსულ ნაწილს ხომასურიძის ხელმძღვანელობით, და ჩემი შემდგომი ურთიერთობა ამ ორგანიზაციასთან, ისევე როგორც ჩემი წილი ზნეობრივი პასუხისმგებლობისა მასზე, მისი ამ ნაწილით შემოვფარგლე.

მესამე გვერდიდან

# „კაკა ჟვანია 83 წლის იყო, „ვეფხისტყაოსანი" მეგრულად რომ თარგმნა"...

დღეს მაყურებლის წინაშე თავადაც წარსდგნენ.

1914 წ. დაიწყო I მსოფლიო ომი. 1915 წ. კაკა ჟვანია რუსის ჯარში, როგორც განათლებული კაცი, გაუშვეს ექვსთვიან კურსე-

ერთ-ერთი ფრონტის მთავარსარდალს, ბაბუაჩემს რომ აჯილდოვებდა, უთქვამს: „იქ, სადაც თუნდაც ერთი ქართველი ოფიცერია, დარწმუნებული ვარ ის სამხედრო შენაერთი აუცილე-



ქ. ჟვანია კონსულტაციებს აძლევს გიორგი შენგელაიას „მაცი ხვიტიას" გადაღებისას

ბზე და მიანიჭეს ოფიცრის წოდება. შემდეგ კაპიტანი გახდა. მსახურობდა თურქესტანის მე-20 ქვეით პოლკში. მონაწილეობა მიიღო ოთხ დიდ ბრძოლაში. ოთხჯერ დაიჭრა. გამოჩენილი მამაცობისათვის სხვადასხვა ორდენები მიანიჭეს, იყო გიორგის ჯვრის კავალერი. 1916 წ. ტყვედ ჩავარდა. 1918 წელს მეფის ოჯახის მცდელობით იგი 9 ტყვე გერმანელ ოფიცერში გაცვალეს.

ბლად დიდ წარმატებას მიაღწევს".

ტყვეობიდან დაბრუნებული, მოსკოვში, ლეფორტოვოს საავადმყოფოში გაატარეს კომისიაზე და დაადგინეს, რომ დაკარგული ჰქონდა შრომისუნარიანობის 90%. ამ დოკუმენტით და ჩინ-მედლებით ჩამოვიდა იგი საქართველოში. სენაკში მას დახვედრია უჩა დადიანი, რომელმაც მუხლზე დაუჩოქა თურმე, ხელზე ეამბორა და უთხრა: ეს ამბორი გადაეცი დედაშენს, რომ სამეგრელოს ამისთანა შვილი გაუზარდაო.

ომიდან დაბრუნებულს მენშევიკურმა მთავრობამ შესთავაზა აფხაზეთში, სოხუმში, სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობა. მას სულ 80 კაციანი რაზმი ჰყოლია. 1921 წელს, როცა წითელი არმია შემოვიდა საქართველოში, კაკა ჟვანიამ დიდი გმირობა ჩაიდინა, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია და ისტორიკოსების კვლევის საგანი უნდა გახდეს (ამ მომენტზე ცალკე ვრცელი სტატია მექნება). გეტყვით მხოლოდ, რომ ენგურის სანაპიროზე კაკა ჟვანიამ თავისი მცირერიცხოვანი რაზმით ისეთი თავზარდამცემი მარცხი მიაყენა რიცხობრივად ბევრად მეტ წითელ არმიას, რომ მთელი ორი კვირით მათი შემდგომი წინსვლა შეაჩერა. ამის შესახებ ბაბუა საერთოდ არ ლაპარაკობდა (როგორ ილაპარაკებდა, როცა 1924, 1937 წლების რეპრესიებს ბეწვზე გადაურჩა. 1952 წ. „მეგრელთა საქმესთან" დაკავშირებითაც სასწაულებრივად გადარჩა), ეს ამბები მეც გვიან გავიგე მისი მეგობრისაგან.

**— ეს, რაც შეეხება კაკა ჟვანიას, როგორც პიროვნებას, მოქალაქეს, მეომარს. როგორც „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელზე რას გვეტყვით, როდის და რა მიზნით თარგმნა?**

— ბაბუაჩემი 1973 წელს გარდაიცვალა, როცა მე 27 წლის ვიყავი. ამდენად, კარგად მახსოვს, როგორ ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი". 1961 წელს, როცა ბაბუა 83 წლის გახლდათ, დაიწყო აფორიზმების თარმგნა, გარ-



ჟურნალი „საქართველოს ბუნება"

თობის მიზნით (საერთოდ, ღრმა სიბერეშიც ძალიან უყვარდა წიგნის კითხვა). მერე თვითონ ტექსტზე გადავიდა, ჯერ დასაწყისი თარგმნა, არ მოეწონა, შემდეგ სხვა სტროფი თარგმნა. რომელიც მოეწონებოდა, იმას თარგმნიდა. მერე მიყვა და მიყვა. როდესაც სტუმრები მოდიოდნენ, ბაბუა თავის ნათარგმნ სტროფებს უკითხავდა მათ. სტუმრებს ძალიან მოსწონდათ და გაგრძელებას სთხოვდნენ. ბაბუამაც გადაწყვიტა მთლიანად ეთარგმნა ეს შესანიშნავი პოემა. თან 1966 წელი ახლოვდებოდა, როცა მთელი მსოფლიო აღნიშნავდა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავს და ამ თარიღისთვის უნდოდა დაემთავრებინა თარგმნა.

მართლაც, ამ დროისათვის მან დაასრულა თარგმნა. მას მერე 7 წელიწადი იცოცხლა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხვეწდა, „აშალაშინებდა" ტექსტს.

სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც მეგრული თარგმანი წაიკითხა, იყო კონსტანტინე გამსახურდია, რომელთანაც ბაბუა მეგობრობდა. მახსოვს, ერთხელ თქვა: კონია შემპირდა „ვეფხისტყაოსნის" დაბეჭდვასო.

„ვეფხისტყაოსანს" რომ თარგმნიდა, მას ბრწყინვალედ ესმოდა, რომ მეგრული არის დიალექტი, კუთხური და ამავე დროს საყრდენი ენა, ურომლისოდაც ქართული ენა ბევრს წააგებდა (დღეს ამ აზრს ბევრი მეცნიერი იზიარებს). დარწმუნებული იყო, ის მეგრული სიტყვები, რომელიც თარგმანში იყო გამოყენებული, აუცილებლად გამოადგებოდა მომავალ თაობებს.

— *„რაც შეეხება თარგმანის მნიშვნელობას, მე მგონია მეგრული სიტყვის და ლექსის მოყვარულთ ის გარკვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს, ხოლო ბევრი რამ საინტერესო და ღირსშესანიშნავი აღმოჩნდეს". (კაკა ჟვანიას წინასიტყვაობა).*

**— 26 ივნისს, საზოგადოება „კოლხეთის" გაფართოებულ სხდომაზე გადაწყვიტეს კაკა ჟვანიას ძეგლის დადგმა ზუგდიდში ...**

— მე დარწმუნებული ვარ, რომ კაკა ჟვანია ღირსია ძეგლის დადგმისა.

ესაუბრა
**ამრიტა ჯანაშია**

## სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი"-ს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მონაწილეთა

# მიმართვა

## საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მოსახლეობისადმი

სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი"-ს პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ განიხილა გაზეთ „ლიტერატურული საქართველო"-ს №22(3227) — ში გამოქვეყნებული პოეტ მურმან ლებანიძის ლექსთა ციკლი.

სხდომამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტი-ახალგაზრდობა, ერთხმად მიუღებლად მიიჩნია პოეტ მურმან ლებანიძის სამეგრელოსადმი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი დამოკიდებულება.

ამ ფაქტზე, ალბათ, იქნებ არც კი ღირდა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, რომ არა საქართველოში მიმდინარე რთული პროცესები და განსაკუთრებით სამეგრელოში ამ უკანასკნელ წლებში ხელოვნურად დატრიალებული ტრაგედიები, სამეგრელოს მიმართ ზოგიერთი „სწავლულის" ყოვლად გაუმართლებელი გამოხდომები. ჯერ კიდევ მოუშუშებელია ის ჭრილობები, რომელიც სამოქალაქო ომმა და სხვა ნეგატიურმა მოვლენებმა მიაყენა ალალმართალ და ქვეყნის უერთგულეს, უმშვენიერეს სამეგრელოს. და, აი, ასეთ ვითარებაში პოეტი მურმან ლებანიძე უგულებელყოფს სამეგრელოსა და მეგრული ენისადმი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძისა და ქართველი ერის მრავალი სხვა სასიქადულო შვილის, აგრეთვე, აურაცხელ საზღვარგარეთელ სწავლულთა მოსაზრებებს და სახალხოდ, ისიც მწერალთა გაზეთში, ლანძღავს საქართველოს ბურჯს — სამეგრელოს.

დღეს, როცა სრულიად საქართველო ემზადება ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის აღსანიშნავად და ეს სახელმწიფო თავდაპირველად. ჩაისახა კოლხეთის საზღვრებში, სრულიად შემზარავია ასეულ ათასობით ადამიანის ლანძღვა იმის გამო, რომ მეგრელებმა, მურმან ლებანიძის თქმით, „მიჯღარკული" საკუთარი მეგრული ენა დღემდე შეინარჩუნეს.

ალბათ, ნორმალური ადამიანის გონებაში ვერ მოთავსდება ის, რომ მეგრელები დაძრახო მეგრულ ენაზე ლექსების, ნოველების, მოთხრობების, ზღაპრების წერის, თუნდაც, „ვეფხისტყაოსნის" და სხვა შედევრების მეგრულად თარგმნისათვის.

„ვეფხისტყაოსანი" მსოფლიო მასშტაბის ნაწარმოებია!!!

ბედნიერია ერი, რომელსაც ეს ნაწარმოები ეკუთვნის!!!

და, სრულიად გაუგებარია რატომ ეკრძალებათ მეგრელებს მისი ამეტყველება მეგრულად? რატომაა ამის გამო მეგრელები დუშმანები? მით უფრო, თუ ეს მხოლოდ სიყვარულით ანთებული ადამიანების ნახელავია. უყვართ და თარგმნეს! უყვართ და თარგმნეს!..

არ შეიძლება ეჭვი არ შეგეპაროს ბატონ მურმან ლებანიძის კეთილ განზრახვაშიც, ვინაიდან ასე მხოლოდ დუშმანი იქცევა.

ცნობილია, რომ საქართველოში მუდამ არსებობდნენ და დღესაც არიან ისეთი ძალები, რომლებიც მზაკვრულ ხერხს იყენებენ ქვეყნის დაქუცმაცებისა და დაკნინებისათვის. ნებისმიერ აზრს თუ ქმედებას, რომელიც სამეგრელოში წარმოიშობოდა, მიუხედავად მათი მაღალადამიანური ფასეულობებისა, სამშობლოს მტრები ნათლავდნენ როგორც სეპარატისტულს, ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულს.

ამას მტრები სჩადიოდნენ, მაგრამ მურმან ლებანიძემ და სხვებმაც დღეს რატომ უნდა გააკეთონ ეს?!

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვაცხადებთ:

**— პოეტი მურმან ლებანიძე არ არის ღირსი იყოს სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი"-ს პრეზიდიუმის საპატიო წევრი, პრეზიდიუმის შემადგენლობიდან და საზოგადოება „კოლხეთი"-ს წევრობიდან მისი გარიცხვა სრულიად სამართლიანია;**

— მარტო იმ ანტიქართული უსათაურო ლექსის კი არა, საერთოდ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" იმ ნომერში გამოქვეყნებული ლექსთა ციკლის ავტორი არ უნდა იყოს შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის თავმჯდომარე, აგრეთვე, შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. ეს შესაბამისმა სამთავრობო ორგანომ და შოთა რუსთაველის საზოგადოებამ დაუხანებლად უნდა გაითვალისწინოს.

იმისათვის, რათა არ განმეორდეს უმეცრებით უგუნური გამოხტომები ქვეყნის ამა თუ იმ მხარისადმი, გადაუდებელ საქმედ ვთვლით:

— ქვეყნის უმაღლესი სამთავრობო ინსტანციის მხარდაჭერით შეიქმნას და გამოიცეს „ქართველურ ენათა და კილო-კავთა აკადემიური სინთეზური განმარტებითი ლექსიკონი", აგრეთვე, „ქართველურ ენათა პოეზიის ანთოლოგია";

— საქართველოს სკოლებში მიმდინარეობდეს მეგრული და სვანური ენების და საქართველოს სხვა მხარეების კილო-კავთა ზოგადი კურსის სწავლება.

მეგრული და სვანური ენებისადმი, აგრეთვე, საქართველოს ყველა რეგიონის კილო-კავისადმი სახელმწიფოებრივი მზრუნველობის გაძლიერება, ქართველურ ენათა და კილო-კავთა აკადემიური სინთეზური განმარტებითი ლექსიკონისა და ქართველურ ენათა პოეზიის ანთოლოგიის შექმნა-გამოცემა, საქართველოს სკოლებში მეგრული და სვანური ენების და სხვა მხარეების კილო-კავთა ზოგადი კურსის სწავლების შემოღება არა მარტო მოხსნის დღევანდელ მწვავე პრობლემებს, არამედ ამ ნაბიჯით მტკიცე საფუძველი შეექმნება საქართველოს ცისქვეშ მცხოვრებთა ურთიერთპატივისცემას, ურთიერთსიყვარულს, ქართული გენის ძლიერებას, საქართველოს ყველა მხარის ხორციელ და სულიერ უკვდავებას.

**სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი"-ს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მონაწილენი.**

**26 ივნისი, 1999 წელი.**

## ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებითი ძიება

მიმდინარე წლის 19 მაისს ქარვასლაში მოეწყო ახალგაზრდა, დამწყები მხატვრების გამოფენა.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ერთ-ერთი მხატვრის, **ნინო მურვანიძის** ნამუშევრებმა, რომელიც ნიკოლაძის სახელობის სასწავლებლის მე-2 კურსის სტუდენტია. მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ზეთით შესრულებული ტილოები, ასევე აკვარელით შესრულებული ნამუშევრები. ნამუშევრებში იგრძნობა თავისებური სინთეზი, სილაღე და სიმკაცრე, მისი პრინციპულობაც. ის რეალისტიცაა.

დღეს ახალგაზრდა მხატვრები შემოქმედებით ძიებაში არიან. ეს გასახარიც არის, ასე იბადება საერთოდ ახალი ხელოვნება, ახალი სახეები. ნინოს ნამუშევრებში კი იგრძნობა არა ძიება, არამედ თავდაჯერება. ის უკვე ჩამოყალიბებული მხატვარია და არა დამწყები. ეს იგრძნობა მისი ნამუშევრებიდან. როდესაც გადავწყვიტე ნინოს მხატვრობაზე დამეწერა ეს პატარა წერილი, დამთვალიერებლის აზრსაც ვითვალისწინებდი, თითქმის ერთნაირი აზრი დაგვებადა მე და დანარჩენ დამთვალიერებელსაც. მან შეძლო თავისი ემოციები, თავისი განცდები, ნააზრევი ტილოების საშუალებით მნახველამდე მიეტანა. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ახალგაზრდა გოგონას პორტრეტმა, რომელიც



აკვარელში ჰქონდა შესრულებული სურათი აღმოჩნდა მისი დის პორტრეტი.

არაჩვეულებრივად გრძნობს ნინო ფერებს, ფაქტურას, აკვარელით თუ ზეთით შესრულების ტექნიკას. ვუსურვოთ მომავალ მხატვარს წარმატებები მომავალ შემოქმედებით გზაზე.

**ზაირა სვიმონიშვილი**

# „ის დღე დაიქცეს, როდესაც პატარა ვლადისლავი სომხების ოჯახიდან ვიშვილე“...



გაზეთში — „მესამე ათასწლეული“, 4 მაისი, 1999წ. გამოქვეყნდა საუბარი აფხაზეთიდან რუსეთში გადახვეწილ მამაკაცთან, რომელიც ვლადისლავ არძინბას შეუბრალებელ დამოკიდებულებას აფხაზეთის მოსახლეობისადმი იმით ხსნის, რომ ის არც ქართველია, არც აფხაზია (საბჭოური დემოგრაფიის გაგებით). მისი არაადამიანური ქცევით უკმაყოფილო აფხაზმა ხანდაზმულმა მამაკაცებმა დაავალეს დედამისს, მათი სახელით მოლაპარაკებოდა შვილს და ჩაეგონებინა, რომ მისი საქციელი აფხაზეთს დაღუპავს. არძინბას დედა თურქია. მან შესჩივლა აფხაზეთის მოხუცების წარგზავნილებს, რომ დიდხანს ჩააგონებდა ვლადისლავს მისი ქცევის სივაგლახეს, მაგრამ მას ვერაფერი შეასმინა. ის დღე დაიქცეს, როდესაც პატარა ვლადისლავი არმენიელების ოჯახისგან შვილად ავიყვანე, არაკაცი გავზარდეო — უთქვამს მათთვის.

აფხაზეთიდან დევნილმა ერთმა მამაკაცმა, ზ.თ.-მ, მწერალმა, ახლახანს მიამბო: არძინბა რომ არმენიელია, ყველამ იცის. როგორ, თბილისში ეს არ იცოდით? 1993 წელს აფხაზეთში, გალის რაიონში, სოფელ ოქუმში, ჭირის სუფრაზე ჩემს გვერდით მეტად კეთილშობილი მანდილოსანი, ფორთოხალა ანჩაბაძე, ლორიკ მარშანიას დედა, მოხვდა. ემუხვარების ოჯახში ვიყავით, ნათესავები ვართ ყველანი. ცხომიდან ქვემეხების გრიალი ისმოდა. ქალბატონი ფორთოხალა დიდხანს იყო თავჩაქინდრული, გულდამძიმებული, შემდეგ ნაღვლიანად შემომჩივლა: ეჰ, ვის ჩაუვარდა ხელში საჯიჯგნად აფხაზეთი! ღმერთმა დასწყევლოს მისი გამზრდელი, რომელმაც ის არმენიელებისგან იშვილა და აფხაზეთის მომსპობი აღზარდაო. რა გგონიათ, მან არ იცის, რომ არმენიელია? იცის და თვით აფხაზებზეც შურს იძიებსო, უთქვამს ჩემი ნაცნობისათვის ამ მხცოვან ქალბატონს. ცნობილი მილიონერი — ტოპოლიანი მისი ახლო ნათესავია, ეს ტოპოლიანი აფინანსებს მის ოჯახს: მოსკოვში მის ქალიშვილს მდიდრების უბანში ხუთოთახიანი ბინა და ძვირფასი მანქანა უყიდია; საერთოდ, ვ. არძინბა არმენებთან უფრო დაახლოებული, ვიდრე ჩვენთანო.

ის რომ აფხაზი იყოს, განა ასე გააპარტახებდა აფხაზეთსო? ასე მოსთქვამდა ქალბატონი ფორთოხალა...

საქართველოს დელეგაციის წევრებმა ახლახანს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებზე აფხაზეთის საკითხისადმი უცხოელების ზედმეტად თავშეკავებული და გაურკვეველი, ორჭოფული დამოკიდებულება აღნიშნეს ჩამოსვლისას.

საყვედურს უფრო ისინი იმსახურებენ, ვინც საერთაშორისო ექსპერტებს ისეთ ორჭოფულ ტექსტებს აწვდის, რომ ისინი მცდარ გადაწყვეტილებებს იღებენ და ამით გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს სახელს უტეხენ.

აფსუები ხომ აფხაზები არ იყვნენ და არ არიან, რა რჯიდათ მათ, ვინც აფხაზად ძალით ჩაწერილ ქართველებს ვოლგისპირეთში ციმბირიდან ჩასახლებული, იქედან აფხაზეთში შემოსული აფსუების ენა დაუდგინა სახელმწიფო ენად 1978 წელს? აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

**ნათელა ფოფხაძე**

# თამაზ ნადარეიშვილი შერვაშიძეთა შთამომავალია

ახლახანს თბილისში, ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა — „გამარჯობა, აფხაზეთო!“ მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ უდიდესი მონდომებით და ძალისხმევით მოუყარა თავი კერძო კოლექციებიდან აქ გამოფენილ აფხაზეთის მოღვაწეების, თავადაზნაურების, ლიტერატორების ფოტოსურათებს. სურათები აღადგინეს დაზიანებული ასლებიდან, გაადიდეს, ლამაზ ჩარჩოებში მოათავსეს... გამოფენის გახსნის დღეს სტუმრებს ატკბობდა ქართული ჰანგები, რომლებსაც როიალის თანხლებით ასრულებდნენ მოყვარული მომღერლები — თანამშრომლები.

გამოფენის მოსაწვევ ბარათზე აფხაზეთის დღევანდელი ერთ-ერთი თავკაცის, ბატონ თამაზ ნადარეიშვილის წინაპრებია გამოსახული. ბატონი თამაზის დედა — აფხაზეთის მთავრის — ალექსანდრე შერვაშიძის მემკვიდრეა. ეს გამოფენა ყველამ უნდა ნახოს.

შერვაშიძეთა გვარი საქართველოს ისტორიის ქართულენოვან წყაროში პირველად მეცხრე საუკუნეში იხსენიება, ქართველთა მეფის — ბაგრატ მეოთხის დროს. — ოთაღო შარვაშის ძე. ამის შემდეგ შერვაშიძენი აფხაზეთის შეუცვლელი მმართველები იყვნენ. შერვაშიძენი ქართველი თავადების ღირსეული წარმომადგენლები არიან.

შერვაშიძეთა წარმომავლობის ამსახველი ცხრილი




# რატომ ეძლევათ დაუმსახურებელი უპირატესობა?..

გაზეთ „ახალი განათლების“ მე-15 ნომერში საქართველოს განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში 1999-2000 სასწავლო წელს დაშვებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, აგრეთვე, დამხმარე და სხვა ლიტერატურის** სია, მაგრამ ვინაიდან მასში გაპარულა შეცდომები, იმავე გაზეთის მე-17 ნომერში დაიბეჭდა „გასწორებული“ ჩამონათვალი. მათ შორის განსხვავება (მშობლიური ლიტერატურის თვალსაზრისით) იყო შემდეგი: 1. ამოუღიათ ლ. ვაშაკიძის, ლ. თუშურისა და ლ. მანჯგალაძის (ა. როდონაიას რედაქტორობით) VI კლასის „მშობლიური ლიტერატურა“; 2. ამოუღიათ აკ. შანიძის, ალ. ბარამიძისა და ი. აბულაძის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, IX კლასი (აკ. შანიძის რედაქციით) და მის ნაცვლად ჩაუსვამთ მ. გიგინეიშვილის, ლ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას (ავტორ-შემდგენლები) ახალი წიგნი, რომელსაც არ გაუვლია სახელმძღვანელოთა კონკურსი; 3. დამხმარე და სხვა ლიტერატურის ჩამონათვალში (№10) შეუტანიათ ს. ხუციშვილისა და ე. ქურციკიძის „მშობლიური ლიტერატურა“, VI კლასი (რომელიც, რატომღაც არ არის მოხსენიებული ძირითად სიაში); 4. დამხმარე სახელმძღვანელოებში ძალიან წვრილი შრიფტით მიუტმასნებიათ ვ. როდონაიას, ნ. ნაკუდაშვილისა და ე. ქურციკიძის „მშობლიური ლიტერატურა“ კლასის მიუთითებლად.

ამასობაში გამოვიდა „ახალი განათლების“ მე-19 ნომერი (27 მაისი — 2 ივნისი), რომლის მეორე გვერდზე დაბეჭდილი „გასწორება“ გვაუწყებს, რომ სახელმძღვანელოთა ახალ სიაშიც გაპარულა შეცდომები. კერძოდ, „დამხმარე სახელმძღვანელოების“ ჩამონათვალში ავტორთა აზრით (?!), არ უნდა იყოს: მშობლიური ლიტერატურა, VI კლასი, ავტორები: ს. ხუციშვილი, ე. ქურციკიძე. ეს სახელმძღვანელო ხმარებიდან ამოღებულია (?!).

ამავე დამხმარე სახელმძღვანელოთა ჩამონათვალში 69-ე ნომრით წარმოდგენილ სახელმძღვანელოს არა აქვს მიწერილი კლასი. უნდა იყოს: მშობლიური ლიტერატურა, VI კლასი, ავტორები: ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ე. ქურციკიძე“.

ახლა კი უნდა გამოვიყენო ამ წერილის სათაურში ნახსენები სიტყვა **რატომ?** თანაც რამდენჯერმე.

**I რატომ?**

რატომ არის ხმარებიდან ამოღებული ს. ხუციშვილისა და ე. ქურციკიძის VI კლასის „მშობლიური ლიტერატურა“? მით უმეტეს მაშინ, როცა VI კლასი ახალი სიის მიხედვით საერთოდ უსახელმძღვანელოდაა დარჩენილი? იქნებ იმიტომ, რომ უკვე ექვსჯერ გამოვიდა ამავე კლასის პარალელური სახელმძღვანელო (შემდგენლები: ლ. ვაშაკიძე, ლ. თუშური და ლ. მანჯგალაძე ვ. როდონაიას რედაქტორობით), რომელიც საბოლოოდ ალტერნატიული გახადეს.

ამ უკანასკნელის შესახებ გაზეთ „საქართველოში“ (1998 წ. №60, 6-12 ოქტომბერი, გვ. 9-10) დავბეჭდე კრიტიკული წერილი „არა, ეს არ არის სასკოლო სახელმძღვანელო!“ ხსენებულ პუბლიკაციაში დაფიქსირებულია უამრავი შენიშვნა და დასმულია რამდენიმე კითხვა, რომლებზეც პასუხს მოველოდი ავტორებისა და თვით განათლების სამინისტროსაგან, მაგრამ „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!“

მაშინ გაზეთ „საქართველოში“ ვწერდი: „ჩვენი ღრმა რწმენით, ზემოთ ჩამოთვლილ შენიშვნათაგან ბევრი რამ აცილებულია სოლომონ ხუციშვილისა და ენგურ ქურციკიძის მიერ შედგენილ „მშობლიურ ლიტერატურაში“ VI კლასისათვის , რომელიც უბოდიშოდ გამოდევნა ამ ალტერნატიულმა გამოცემამ (იგულისხმებოდა ვ. როდონაიას რედაქტორობით გამოსული წიგნი. საკვირველია, რატომ შეიცვალა უკეთესი უარესით?“

მოტივი დღესაც უცნობია!

ან რას ნიშნავს „გასწორებაში“ მითითებული: „დამხმარე სახელძღვანელოების ჩამონათვალში **ავტორთა აზრით** (ხაზი ჩემია — გ. ბ.), არ უნდა იყოს: მშობლიური ლიტერატურა, VI კლასი, ავტორები: ს.ხუციშვილი, ე. ქურციკიძე?“

პროფესორი სოლომონ ხუციშვილი (ჩვენი ბრწყინვალე ლექტორი და აღმზრდელი, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თავმდაბალი და უმწიკვლო მოქალაქე) ორიოდე წლის გარდაცვლილია, ხოლო ბატონ ენგურ ქურციკიძეს არა მგონია უარი ეთქვა სახელოვან თანაავტორთან შექმნილ და ნაჯაფარ სახელმძღვანელოზე. მაშ, ვინ ავტორთა აზრია გათვალისწინებული და ვინ ამოიღო იგი ხმარებიდან? აკი გარკვევით და კატეგორიულად ითქვა, რომ ამიერიდან დაშვებულია პარალელური სახელმძღვანელოები! თანაც სამი — თითო დისციპლინაში! აკი საგანგებოდ მითითებულია „ჩამონათვალის“ შენიშვნაში, რომ „არჩევანის უფლება ეძლევა სკოლას!“ და არა ნებისმიერ მოსურვილეს!

სხვათა შორის, ბ-ნ ვ. როდონაიასთვის დამახასიათებელია წაყრუება სამართლიანი კრიტიკის მიმართ. ასევე მომექცა იგი მაშინ, როცა დავიწუნე მისი ხელმძღვ-



ანელობით გამოსული, ძვირად ღირებული და გერმანიაში პომპეზურად დაბეჭდილი I კლასის „დედაენა“ (შემდგენლები: ლ. ვაშაკიძე, ქ. თოფაძე, მ. მირიანაშვილი, ელ. ბერძენიშვილი, დ. წერედიანი) და ვამხილე ამ წიგნის ანტიგოგებაშვილურობა (იხ. გაზ. „საუკუნის გადასახედი“, 1998 წ., №1-2, მარტი, გვ. 12-14, „დედაენა“, „დედაენა“! წინ — იაკობ გოგებაშვილისაკენ“!).

დამწუნებელთა შორის მარტო მე როდი ვიყავი. დაიბეჭდა რამდენიმე უარყოფითი რეცენზია ცნობილი სპეციალისტებისა. ერთმა ისიც კი დაწერა, რომ ამ წიგნის სკოლაში შეტანა დანაშაულიაო. მაგრამ რა? შეაყარე კედელს ცერცვი! თავის დროზე მხოლოდ ერთი სასწავლებლის — თბილისის სკოლა-პანსიონ „მერმისისათვის“ — ჩაფიქრებული I კლასის „დედაენა“ დღეს ზემოაღნიშნულ ძირითად სიაში მეორე ნომრად ზის, როგორც პარალელური სახელმძღვანელო ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის.

ასეთივე ფართო გზა გაეხსნა შემდგენელთა: ვ. როდონაიას (ჯგუფის ხელმძღვანელი), ა. არაბულს, ნ. შატაიძეს, ლ. ვაშაკიძის „დედაენას“ II კლასისათვის (1998 წ.). და ისიც წარმოდგენილია ძირითად სიაში (№7), როგორც პარალელური სახელმძღვანელო (ჯობდეს მაინც პროფ. ვ. რამიშვილის „დედაენას“ იმავე კლასისათვის!).

მაშ, რა დააშავა ს. ხუციშვილისა და ე. ქურციკიძის „მშობლიურმა ლიტერატურამ“? რატომ წაერთვა მას ჯერ კიდევ ერთადერთი, შემდგომ კი პარალელური სახელმძღვანელოს სტატუსი?

და, საერთოდ, რატომ გვაყრის თვალში ნაცარს განათლების სამინისტრო?

რაც შეეხება ვ. როდონაიას ნარედაქტორალ „მშობლიურ ლიტერატურას“ VI კლასისათვის, მისი მეექვსე გამოცემა გამოვიდა გასული სასწავლო წლისათვის, მაგრამ ტირაჟის ნახევარი გაუყიდავი დარჩა და გამომცემლობამ საკმაოდ იზარალა. ალბათ, ამ მიზეზით ამოვარდა იგი ჩამონათვალიდან.

**II რატომ?**

„გასწორების“ მიხედვით, VI კლასის „მშობლიური ლიტერატურა“, რომლის ავტორები არიან ვ. როდონაია, ე. ქურციკიძე, ნ. ნაკუდაშვილი, შეტანილია დამხმარე სახელძღვანელოთა ჩამონათვალში (№69). რატომ?

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს სახელმძღვანელო უნდა იყოს ახალი და, როგორც ჩანს, „თავისუფალი“ წინა ავტორებისაგან (ლ. ვაშაკიძე, ლ. თუშური, ლ. მანჯგალაძე). მის ავკარგიანობაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცნობ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მან გაიარა სახელმძღვანელოთა კონკურსის I ეტაპი და ემზადება II ეტაპის გასავლელად. თუ აქაც იმარჯვა, სექტემბერში 500 ეგზემპლარით წარდგება სკოლებში საპრობაციოდ და მხოლოდ მაშინ იქცევა მოქმედ სახელმძღვანელოდ, თუ ეს უკანასკნელი ბარიერიც გადალახა. ამას კი, სულ ცოტა, ერთი წელიწადი დასჭირდება!

მაშ, რატომ შევიდა იგი წინასწარ თუნდაც დამხმარე სახელმძღვანელოთა ჩამონათვალში, ასე ვთქვათ, ურიგოდ და უდროოდ?

**III რატომ?**

რატომ ეძლევა დაუმსახურებელი უპირატესობა მონოპოლისტ ვ. როდონაიას ხელმძღვანელობით, რედაქტორობითა თუ თანაავტორობით შედგენილ სახელმძღვანელოებს?

ყოველივე ამის შემდეგ სამართლიან მოთხოვნად მიმაჩნია: ა) სოლომონ ხუციშვილის სახელი ფიგურირებდეს VI კლასის „მშობლიური ლიტერატურის“ ახალ სახელმძღვანელოშიც. მომავალი სასწავლო წლისათვის გამოვიდეს ს. ხუციშვილისა და ე. ქურციკიძის ე. წ. „ხმარებიდან ამოღებული სახელმძღვანელო“, როგორც პარალელური; ბ) ჩამონათვალში აღდგეს აკ. შანიძის რედაქციით გამოცემული „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, რადგან იგი არ გამოსულა 1994 წლის შემდეგ და მოსწავლეები უსახელმძღვანელოდ არიან; გ) IX კლასის ახალი სახელმძღვანელო, რომელიც ჩამონათვალში ნაჩქარევად ჩაიდო და კონკურსი არ გაუვლია, ბუნებრივია, წელს ვერ დაიბეჭდება; დ) VI კლასის „მშობლიური ლიტერატურის“ ახალმა სახელმძღვანელომ, რომლის გამოცემასაც აპირებს გამომცემლობა „ნაკადული“, ჯერ გაიმარჯვოს კონკურსში და მერეც მოესწრება დაფნის გვირგვინის მორგებას!

რატომ? იმიტომ, რომ ნამუსიც კარგი საქონელია!

***გივი ბოჯგუა,***
***გამომცემლობა „განათლების“ მთავარი რედაქტორი***

**რედაქციისაგან:** შეუძლებელია არ დაეთანხმო წერილის ავტორის გულისტკივილს პუბლიკაციაში მის მიერვე მოხმობილი ფაქტების გამო. გულსატკენი ის უფრო, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ მოაბა თავი სკოლებისთვის ნორმალური სახელმძღვანელოების მიწოდებას, თუმცა, რა თავის მობმაზეა ლაპარაკი, როცა ცნობილმა მწერალმა, შესანიშნავმა მეცნიერმა, ბ-მა რევაზ მიშველაძემ საკუთარი ხელით მოართვა X-XI კლასების გამზადებული „უახლესი ქართული ლიტერატურის“ სახელმძღვანელო ყოველგვარი ჰონორარის მოთხოვნის გარეშე განათლების მინისტრს და ამ უკანასკნელმა კი ისე ამოდო მაუდის ქვეშ, ზედაც არ დაუხედავს. დავიჯეროთ ვითომ, რევაზ მიშველაძეზე უკეთეს სახელმძღვანელოს დაწერენ განათლების სამინისტროს სპეციალისტები ან მათ მიერ მოწვეული ავტორები?

# კურიოზები... კურიოზები...

## ესტრადის მსახიობი ბესო იობაშვილი



**ოხ, გვარი, გვარი...**

სხვათა შორის, თაკარა ქუთაისელი ვარ. თბილისში საესტრადო კოლეჯში ჩამოვედი სასწავლებლად (რა თქმა უნდა, თავის დროზე თვარა, ჩემ ქუთაისს ვეხუტუნე მე, ყველა გაგებაში).

ახლა, კაცმა რომ თქვას, სწავლა სწავლაა და წვერის პარსვა რომ დავიწყე, ისიც ქე გამახსენდა, ცოლი რომ უნდა მეთხოვა.

მეთხოვა კაია... არ გინდა აარჩიო ახლა, ბესოია, შენი შესაფერისი „ბალანა" ამ შუაგულ თბილისში?

ჯერ, კაი გარეგნობის უნდა იყოს (რაზეა საუბარი?), გარეგნობა იქეთ იყოს, პატიოსანი და წესიერი ოჯახიშვილი ხომ უნდა იყოს? შენი მესაიდუმლე და შენი იდეების გამტარებელი? — „საკითხავი აი, ეს არის". ჩავვარდი საგონებელში, არადა, ასაკში ვარ!!! — უცოლოდ ჩემი ცხოვრება „00" და „00"-ია. კურსზე კი იყვნენ „მუხლზე სამტვრევი" გოგონები, მაგრამ შეჩვეული თვალი ლამაზს და წარმტაცს, მოგეხსენებათ, ვერ ამჩნევს. თან ერთი ოჯახის შვილებივით ვიყავით.

დავიწყე ძებნა გარეთ.

„თემქაზე" ბიცოლა ცხოვრობს. ჩემი ამოცანა რომ გაიზეპირა, ოთხი თვე ამ „თემაზე" მუშაობდა.

— გარეგნობით, ვერ დეიტრაბახებს, ბიცოლა, მითხრა ერთ დღეს, არც წრე ყავს მაგარი. მაგრამ კვერცხის შეწვა იცის სასწაული და მამამისს „მოსკვიჩი" ყავს. დედისერთაა, ბიცოლა... ელამია ცოტა, მარა „აჩკები" უხდება. საშენოა, შვილო, და არ თქვა ვარი. არ გადამრიო ამ სიბერეში. ბესო, ბესო... შენ გელაპარაკები. რაზე ფიქრობ?

— ნეტა, ბიცოლა, შენ იყო ერთი ბოთლი კონიაკი — არ დავუმალე. ქალი დამდუღრულივით გავარდა გარეთ. ვინ გგონივართ მე თქვენ? (მკითხველს მივმართავ). მთელი კვირა ვშიმშილობ (არაპოლიტიკური აზრით) და ყოველ ორშაბათს ქუთაისში დავდივარ ხოშიანი „ჩაშუშულის" საჭმელად, მაგის (ბიცოლას) ზემოთ ჩამოთვლილ, ჩამოხასიათებული ქალი მაწყობდა ახლა მეე?! — ჩემით ვიჩალიჩე.

... გავიცანი, მომეწონა. მომეწონა — მოვეწონე... ჩავუყვანე ქუთაისში მამაჩემს ჩემი რჩეული.

— მამა, ეს (მივუთითე საჩვენებელი თითით) მომყავს ცოლად.

მამას გოგო — ანუ სარძლო მართლაც მოეწონა, არაფერი დასაწუნი იმას არ ჰქონდა და რატომ არ მოეწონებოდა?

— რა გვარია, შვილო, ჩემი სარძლო?

— ბლიაძე, მამიკო.

— აუუ!!! — დაიღრიალა მამამ... შე უპატრონო, ჩვენ იობაშვილები ვართ... ეგი ბლიაძე — მოგვეჭრა თავიო და ძლივს მოვაბრუნეთ.

... ახლა თავადის გვარის ქალი მყავს ცოლად. გვარი?.. მობრძანდით, მესტუმრეთ ოჯახში და იქ გეტყვით... გვარს, სახელსაც და ქეც გაგაცნობთ...

**„რა არ ხდება ქუთაისში, ჩემს საყვარელ ქუთაისში"**

— ხომ ხედავთ, ლექსიც გამომივიდა. ნიჭიერი ვარ საერთოდ, მაგრამ თემას ეს ჩემი შედევრი ლექსი არ აწყობს, ანუ რა მომივიდა.

... მაშინ „06" ყველაზე „ელიტარული" მანქანა გახლდათ. მოხდა სასწაული და არ მიყიდა მამაჩემმა? სხვა გზა არ მქონდა, სასწრაფოდ ვისწავლე მანქანის დაძვრა და გაჩერება... დანარჩენი გზაში ვისწავლე, სიარულის დროს.

იმდენი ვიგლახავე, რომ ქუთაისში, ჩემს მშობლების სახლშიც ჩავხლაფორთდი ჩემი „06"-ით თბილისიდან. მაშინ ძალიან განუკითხაობა იყო. ვინ არ დაძრწოდა ქალაქში და მამაჩემს ჭიშკარი შიგნიდან ბოქლომით დოუკეტია, სიმონ... ხო...

ჩავედი და ჭიშკარს რომ ძვრა ვერ ვუყავი, მანქანა „არდიგარდად" მივაყენე იქვე.

— ბესო მოსულაა! — იყვირენ ჩემიანებმა და შემომეხვივნენ (ვენაცვალე ჩემს იმერეთს).

— მთელი ღამე რომ მეძინა, ბიჯო, თვალი მითამაშებდა. ვიცოდი, რაცხა მეწყინებოდაო — გადამეხვია მამაჩემიც. მეწყინებოდა ქუთაისურად „გემეხარდება"-ს ნიშნავს. ბიჯო, პახმელიაზე ვარ, ბარემ წევიდეთ, კაი ხაში ვიცი იოსკა ჯაბირაძესთან.

— კი, მამიკო, რაზეა ბაასი?

— გამოვედით გარეთ, სადაა ჩემი „06"? ამის ადგილზე ამოწვერილი მზის ჩრდილი რიალებს და ოთხი გამწარებული ჭიანჭველა უვლის გარშემო ერთმანეთს — მეცა პირკატა.

სადაა ჩემი მანქანა.

არაა და...

მამიკო ელდისაგან უკვე „გადმოპახმელიავდა".

— ნაღდად იცი, რომ ჩამოიყვანე? — მკითხა შერლოკ ჰოლმსივით.

— კი, კაცო, ნამდვილად მახსოვს, შიგ რომ ვიჯექი, რა დროს მასხრობაა?

— ესე იგი, მეიპარა ვინცხამ, — როგორც იქნა, მიხვდა.

— ასე გამოდის — ჩავიკვნიტე ტუჩი.

— გამოდის კი... „ტოლიატში" გამოდის მაგი მაშინა, შენ რა გეშველება? კიდო გიყიდი — არ გინდა?

მოკლედ, სასწრაფოდ დავტრიალდით. „შავებში" არაა... ორი დღე და ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს.

... მესაზღვრე მეზობელი მყავს, ჯემალია ჯიმშელეიშვილი. მესამე დღეს მირეკავს — ბესო, ისთე არ წახვიდე, ჩემთან გადმოდი, კაი ხაში მაქვს — რძიანიო.

ზარალი ზარალია, მაგრამ ხაშს ხომ არ დავკარგავდი ჩემს ქუთაისში?

დავავლე ხელი მამაჩემს და გადავედით.

შევალე ჭიშკარი და ... აგერ არ დგას მთელ ქუთაისში ნაძებნი ჩემი „06" — გგგ-040?!

— სად იყო, ბიჭო, ეს მაშინა? — ვეკითხები ჯემალის.

— იცის ბიჭმა... — თქვა ამაყად და ხაშზე ჩალიჩობს.

— ბიჭო, ეგი ჩემი მაშინაა — ვთქვი მტკიცედ.

— კაი, რას მემასხრები... არ გადამრიო ახლაო.

ვაჩვენე საბუთები, მანქანის პასპორტი.

— აუუუ! ბესოია, შენ გაგაცივა წელში. შენი თუ იყო, ვერ მითხარი, სიმონ-ბიჭო? სხვისი მეგონა ბესოია, შენ შემოგევლე, თვარა, მაგის მომპარავი ვიყავი ბიჯო მეეე?!... ა, ასთეა, ვიკარგებით ნათესავები და მეზობლები (გამართლებაა, აბა, რა?).

*ესაუბრა*
***მურმან მერკვილიშვილი***

## საინტერესო ამბები

# 300 ჭურვი ამოუცნობ მფრინავ ობიექტზე

ვალერი ევგენის ძე მენიცკი დაიბადა 1944წ. ქ. მოსკოვში. 1965 წელს ტამბოვის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მფრინავი — ინსტრუქტორი იყო.

1968-1969 წწ — მფრინავ-გამომცდელის კურსის მსმენელია ქ. ჟუკოვსკში. 1969წ. მიღებულია გამომცდელად ფირმა „მმ"-ში. 1975 წელს დაამთავრა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი „ინჟინერ-კონსტრუქტორის" სპეციალობით. **О.К.** მიქოიანის სახელობის შეფ-პოლიციის გამომცდელი ხდება.

1992 წლიდან გენერალური კონსტრუქტორის მოადგილეა. საბჭოთა კავშირის დამსახურებული მფრინავი-გამომცდელი, ლენინის პრემიის ლაურეატი, დაჯილდოვებულია ოქროს ნიშნით „იუგოსლავიის საპატიო მფრინავი".

**მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის გმირი, იუგოსლავიის საპატიო მფრინავი ვალერი მენიცკი.**

ამოუცნობი მფრინავი ობიექტი — შემეცნების თვალსაზრისით, ფრიად მიმზიდველად ჟღერს, მაგრამ არა ერთაზროვნად. არ მეგულება ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისებური დამოკიდებულება არ გააჩნდეს ამ მოვლენასთან დაკავშირებით. მიუხედავად თავისი ცნობისმოყვარეობისა, მეოცნებე ხასიათისა და განათლებისა, ალბათ, სწორი იქნება ამ საკითხის მიმართ ასე უფრო მეტი სერიოზულობა და მისი ღრმა შესწავლა. ამო-სთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი აზრის გამო იბადება დახშული ინფორმაცია. ყბადაღებული „არ მიუშვას" მაგვარი.

